


619
1972



ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԿՈՄՄՈՒՆԻՍՏԻԿԱՆ ՊԱՐՏԱԿԱՆ

ՀԱՅԿԱՍՏԱՆ

№ 12 ԲՅՅՅԵՅՅԻՆ 1972



ზ. ბ. ლ. გ. უ. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი. ს. ა. ზ. ი. მ. ო.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ქართული

№ 12 (488) დეკემბერი, 1972 წ.

გამოცემის წელი 50-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-
პოლიტიკური და სალიბერატურო-
სამხატვრო ჟურნალი

ლიალი ღმრსსწაი



„გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“. წერდა რუსთაველი და შემთხვევითი როდია, რომ ჩვენს დროში ეს სტრიქონი იქცა მთელი ხალხის ყველაზე სანუკვარი მისწრაფებების გამომხატველ წარმატებულ პოეტურ ფორმულად. ბრძენი პოეტის ამ სიტყვებს, ვეება ტრანსპარანტებზე წარწერილს, ხშირად დაინახავთ ჩვენი ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში, როცა ჩვენ სტუმრად ჩამოსულ მოძმე ხალხთა შეილებსა ვხვდებით. და, მართლაც, სიყვარული ის ხიდაა, რომელიც ერთი ხალხის გულიდან მეორისაკენ მიდის; ამაზე, სიყვარულის და ძმობის ხიდის აგებაზე ოცნებობდნენ რუსთაველიცა და პუშკინიც, ალიშერ ნავოიცი და ტარას შევჩენკოც, ხაჩატურ აბოვიანიცი და მირზა ფათალი ახუნდოვიცი, ყველა ხალხის მგოსნები, მისი გულის მესაიდუმლენი და მესიტყვენი. ეს საერთო სწრაფვა — ადვილი ასახსნელია — პოეტები თავიანთი ხალხების გულისთქმასა და მისწრაფებებს გამოხატავდნენ, ხოლო ხალხის გული მუდამ მართალი იყო, ალალი იყო და დაუძლეველად ღვიოდა მასში ურთიერთსიყვარულის დიდი გრძნობა. ჩვენმა ფოლკლორისტებმა საქართველოს მთიანეთში, ხევის რაიონში ჩაიწერეს ერთი ძველისძველი ქართული ხალხური ლექსი, რომელშიც ნათქვამია: „წუთისოფელი რა არი, აგორებული ქვა არი, შუაში არი ხმელეთი, გარშემო დიდი ზღვა არი. ყველა ადამის ძენი ვართ, თათარიც ჩვენი ძმა არი, ჩვენსა და სომხების შუა, განყოფილება რა არი! ისეთი გქონდეს გუნება, რო მოწმენდილი კა არი, თუ არ იწამებ ამასა, კაცის სიცოცხლე რა არი!“

ლექსი კი არა, მთელი ფილოსოფიაა ხალხთა ძმობისა და ურთიერთმეგობრობისა. ცასავით სუფთა იყო მუდამ გული ხალხისა და რას არ სჩადიოდნენ „მძლავრნი ამა ქვეყნისანი“. თავკერძა ფეოდალები თუ მათს კვალზე წასული ბურჟუები, ოქროზე რომ იწერდნენ პირჯვარს, რა ხრიკებს არ აწყობდნენ, რა ხლართებს არ აბამდნენ, რომ ძმები წაეკიდებინათ ერთმანეთისათვის, ამოეწყვეტინებინათ ერთიმეორე, გაეთიშათ, სამტროდ და სიძულვილისათვის აღეგზნოთ; მაგრამ რაღაც უკვდავი ძალა ჰქონდა იმ სიყვარულს და ხან აქ, ხან იქ წყაროსავით ამოხეთქავდა ხოლმე.

ამის დასტურია მოძმე ხალხების პოეზია, დაწყებული თვით უძველესი დროიდან. გაბატონებული კლასები, როგორც უკვე ვთქვით, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ერთა და ხალხთა შორის შუღლი ჩამოეგდოთ, ამაზეც ნათლად მეტყველებს ისტორია, აღსავსე ომებით, სისხლისმღვრელი ლაშქრობებით, დარბევებით, ხანძრებით. როცა წყდებოდნენ მილიონები, ფერფლად იქცეოდა სულიერი და მატერიალური კულტურის ფასდაუდებელი ძეგლები.

ხალხები კი კვლავ ოცნებობდნენ იმ სანატრელ დროზე, როცა ძმა ძმის წინააღმდეგ იარაღს კი არ აღმართავდა, სიყვარულით გაუწვიდა ხელს, არა მარტო ოცნებობდნენ, თავგანწირვით იბრძოდნენ კიდევ, რათა ეს ნათელი ოცნება სინამდვილედ ქცეულიყო. ხალხთა ამ დიდ ნატვრას და ოცნებას ხორცი შეასხა დიდმა ოქტომბერმა, ლენინის პარტიამ, რომელმაც გამარჯვებით დაავიკრგინა მილიონიანი მასების გამანათვისებელი მოძრაობა ქვეყნად სიმართლისა და სამართლიანობის დასამკვიდრებლად.

დამსხვრია რა კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრის ბორკილები, ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ გახსნა გზა საზოგადოების სოციალისტურ საწყისებზე გარდასაქმნელად. ნაციონალური

საკითხის წარმატებით გადაჭრა შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის პირობებში. და ეს დაადასტურა განვილიმა ორმოცდაათმა წელმა. თანამიმდევრულად გამოხატავდა რა მუშათა კლასის, ყველა მშრომელის, ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, წარმატებით ატარებდა რა ბრძნულ ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ ერთ მჭიდრო ინტერნაციონალურ ოჯახად შეაჯავშირა ჩვენი სამშობლოს ყველა ერი და ეროვნება, წარმართა მათი ძალები ახალი თავისუფალი სამყაროს ასაშენებლად.

საბჭოთა ხალხების დიდი ოჯახი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო შექმნა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა. რევოლუციის გენიალურმა თეორეტიკოსმა და პრაქტიკოსმა. მან განავითარა მეცნიერული კომუნისმის ფუძემდებლების — მარქსისა და ენგელსის იდეები და შეიმუშავა მწყობრი მოძღვრება ნაციონალურ საკითხზე, განსაზღვრა კომუნისტური პარტიის ნაციონალური პოლიტიკის მეცნიერული საფუძვლები, მრავალეროვნული სოციალისტური სახელმწიფოს პრინციპები. როგორც კი ხელისუფლება მშრომელებმა ხელთ აღდეს და დაიწყეს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა სოციალისტურ საფუძვლებზე, მათ, როგორც ლენინი წინასწარ განუჭვრეტდა, შექმნეს და დააფუძნეს თავისუფალ ერთა ნებაყოფლობითი ძმური კავშირი, რომელიც დღეს თავისი არსებობის ნახევარსაუკუნეოვან იუბილეს აღნიშნავს.

1922 წლის დეკემბერში, მოსკოვში, საბჭოების პირველ საკავშირო ყრილობაზე, საბჭოთა რესპუბლიკების წარგზავნილებმა ერთსულოვნად მიიღეს დეკლარაცია სსრ კავშირის შექმნის შესახებ. ამ დეკლარაციაში გამოთქმული იყო რწმენა, რომ ახალი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფო ღირსეულად გააგრძელებს და დაავიკრგინებს ხალხების მშვიდობიანი ერთად ცხოვრების საფუძვლებს, რომელსაც სათავე დაუდო დიდმა ოქტომბერმა. იმავე ყრილობაზე ერთ მთლიან სახელმწიფოდ გაერთიანდნენ რსდსრ, უკრაინა, ბელორუსია, ამიერკავკასიის ფედერაცია (საქარდევლოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის შემადგენლობით) ... ასე გამოჩნდა მსოფლიოს რუკაზე ახალი სახელმწიფოს სახელი — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

საბჭოთა ხალხების ნებაყოფლობითი გაერთიანება, რესპუბლიკათა თანასწორუფლებიანობა, უზრუნველყოფა ყოველი მათგანისათვის სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტისა, — ყველა ეს პრინციპები, რომელზეც ხალხთა დიდი ოჯახი იყო აგებული, — თავისთავად ხელს უწყობდნენ ინტერნაციონალური გრძნობების აღზრდას, ხალხთა ურთიერთდობას, სიყვარულსა და პატივისცემას.

მომდევნო წლების მანძილზე ჩამოყალიბდნენ ახალი მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკები. დღეს საბჭოთა ხალხების მონოლითურ ოჯახში შედის თხუთმეტი მოძმე რესპუბლიკა — რუსეთის ფედერაცია, უკრაინა, ბელორუსია, უზბეკეთი, ყაზახეთი, საქართველო, აზერბაიჯანი, ლიტვა, მოლდავეთი, ლატვია, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, სომხეთი, თურქმენეთი და ესტონეთი.

საბჭოთა სახელმწიფოს, სოციალისტური წყობილების, ხალხთა მეგობრობის ძალა და უძლეველობა ნათლად გამოვლინდა როგორც მშვიდობიან შრომაში, ისე სამამულო ომის ფრონტებზე. ომის პირველივე დღიდან საბჭოთა ხალხები ერთსულოვნად

17231



საქ. სსრ კ. მარქსის
ხაზ. ხაზ. რესპუბ.
პროლოგობა

აღსდგენენ შემოსეული მტრის შესამუსრაად. სსრ კავშირის ხალხების მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება მეორე მსოფლიო ომში იყო გამოვლენა ჩვენი მრავალეროვნული სახელმწიფოს ურყევი სიმტკიცისა, ხალხთა ძმური ოჯახის ძლევამოსილებისა.

ომის შემდგომ წლებში, აღადგინა რა მტრის მიერ დანგრეული სოფლები და ქალაქები, საბჭოთა ხალხმა მიაღწია ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე. ყოველ მოძმე რესპუბლიკაში სწრაფი ტემპით ვითარდება სოციალისტური მრეწველობა, მექანიზებული სოფლის მეურნეობა, შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურა; ყველგან ლაღად გაშალა ფრთა ხალხის შემოქმედებითა გენიამ, მან სასწაულები მოახდინა, მან უჩვენა მთელი მსოფლიოს ხალხებს გზა ნათელი მომავლისაკენ.



„პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესების ერთიანობა, — ამბობდა ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXIV ყრილობაზე, — უძლევლობას ანიჭებს ჩვენს საზოგადოებას, ანი-

ჭებს იმის უნარს, რომ დასძლიოს ყოველგვარი განსაცდელი პარტიისა და ყველა მშრომელის ურღვევი ერთიანობა — აი რა გვაძლევს საშუალებას გულდაჯერებით ვიაროთ წინ, გადავწყვიტოთ ყველაზე რთული ამოცანები... ჩვენი შესაძლებლობანი უშრეტია. ჩვენი ქვეყანა არასოდეს არ ყოფილა ეკონომიურად ასე ძლიერი. ახალ მწვერვალებს მიაღწიეს საბჭოთა მეცნიერებამ და კულტურამ. უძლეველია ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა“.


ასე ძლიერი, გამარჯვებული ხედება ჩვენი მრავალეროვანი სამშობლო — დიდი საბჭოთა კავშირი თავის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს. სასიხარულოა ჩვენი აწმყო, ნათელი და მზიურია ჩვენი მომავალი. საბჭოთა ხალხი მტკიცედ და განუხრელად მიდის წინ კომუნიზმის ნათელი მწვერვალებისაკენ.

დიდება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის უძლეველ ბურჯს!

დიდება დიდ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს!



სადღესასწაულო
ხალუტი



ნახევარი საუკუნის მანძილზე

მას შემდეგ, რაც შეიქმნა საბჭოთა კავშირი, ე. ი. ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე, ისე ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენი ყოფა-ცხოვრება ყოველი მიმართულებით, რომ ვეღარ იცნობ. ახალმა პოლიტიკურმა წყობილებამ მკიდროდ შეაკავშირა ძმურ კავშირში შემავალი რესპუბლიკები და სულ ახალი გზით წარმართა მათი ეკონომიური განვითარების გზები და კულტურულ-მეცნიერული აღმავლობის საშუალებანი.

სხვას რომ თავი დავანებოთ, მოგვეპოვება მძლავრი უნივერსიტეტი, რომელმაც თავის წიაღიდან გამოჰყო რამდენიმე ინსტიტუტი. უნივერსიტეტისა და ამ ინსტიტუტების ბაზაზე შესაძლებელი შეიქმნა მეცნიერებათა აკადემიის დაარსება ამ საში ათეული წლის წინათ. აკადემიას მოეპოვება რამდენიმე განყოფილება და მრავალი სამეცნიერო საკვლევო ინსტიტუტი. ამგვარ წინსვლას ნახევარი საუკუნის მანძილზე — სიზმრადაც ვერ წარმოიდგენდა კაცი.

ქართველობა ყოველთვის გრძნობდა, რომ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა გენიალური ქმნილებაა, მაგრამ ეს ჭეშმარიტება მსოფლიოსთვის მხოლოდ საბჭოთა ხანაში გახდა ცნობილი და გასაგები, როცა იგი ითარგმნა მრავალ ენაზე და საპატიო და პირველადგილთაგანი დაიკავა მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში. თვით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ხელნაწერთა შესწავლა, ვახტანგისეული პირველი გამოცემის რაობის გამორკვევა, მისი ჩანარფ-დანართებისაგან გაცხრილვა და პირვანდელი ტექსტის აღდგენა — ყველა ეს ჩვენი დროის საქმეა.

უშეველია, რომ შემდგომ კიდევ უფრო სწრაფი ტემპით წავა წინ ჩვენი განვითარება ყოველ დარგში.

აბაკი შანიძე
აკადემიკოსი.



ვამაყობ ჩემი პროფესიით

ჩვენ, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის მუშები, ახალი წარმატებებით შევავებეთ საბჭოთა ხალხების დიდ დღესასწაულს — საბჭოთა კავშირის შექმნის ორმოცდაათი წლისთავის იუბილეს. საბჭოთა სამშობლოს ნახევარსაუკუნეოვან მატთანის ფურცლებზე წარუშლელად არის აღბეჭდილი ჩვენი ქარხნის სახელიც, იმ მუშებისა და ინჟინრების სახელები, ვინც თავისი შრომითა და ღვაწლით განამტკიცებდა ძლიერაშენებელ საბჭოთა სახელმწიფოს.


მე ხარბი ვარ და ვამაყობ ჩემი ხელობით, ვამაყობ იმით, რომ მეც აქტიური მონაწილე ვარ მაღალმწარმოებლური ჩარხების გამოშვებისა, ვამაყობ იმით, რომ ჩემი ძალღონეც და ჩემი ფიქრიც ჩართულია ფიზიკური და გონებრივი შრომის იმ რთულ კომპლექსში, რომელიც საჭიროა დეტალების დასამზადებლად ავტომატური ხაზებისათვის.

საწარმოო გეგმების შესრულებასთან ერთად მე ვცდილობ მოვამზადო ახალგაზრდა მუშები, რომლებიც სრულყოფილად დაეუფლებიან ჩარხსამშენებლის რთულსა და საპატიო პროფესიას. დღეისთვის ჩემს გვერდით ნაყოფიერად მუშაობენ ჩემი ყოფილი მოწაფეები — კოტე ტურიაშვილი, თამაზ სეფიაშვილი, აკაკი ზამბახიძე და სხვები, რომლებიც გამომუშავების ნორმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

ამას წინათ ტელეეკრანზე მე ვუცქირე მუშად დალოცვის ცერემონიალს. ეს საინტერესო და ძლიერ კარგი ღონისძიებაა, რომელიც უკვე საქმოდ არის გავრცელებული ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში. ოღონდ ამას უფრო ფართო პროპაგანდა სჭირდება როგორც პრესაში, ისე რადიოსა და ტელევიზიაში. ახალგაზრდობას ცოცხალ მაგალითებზე უნდა ვუჩვენოთ, რომ მუშად დალოცვა — ეს არ არის უბრალოდ, „სამსახური მოწყობა“, ეს ცხოვრების გზის არჩევანია, საპატიო გზის არჩევანია და ამიტომ მას ზეიმის ხასიათი უნდა ჰქონდეს. მუშად დალოცვის ცერემონიალზე დროშები რომ შემოაქვთ, ეს განამტკიცებს მუშაკაცის სიამაყეს, განამტკიცებს იმის გრძობას, რომ შენ აკეთებ საქვეყნო და სასახლო საქმეს და შენი ხალხი, შენი კოლექტივი, შენი ქარხანა გზას გილოცავს.

გაუმარჯოს ამ სახელოვანი, თავისუფალი შემოქმედებითი შრომის უძლეველ კერას — ჩვენს სამშობლოს, დიდ საბჭოთა კავშირს!

ავთანდილ ხარბთონაშვილი



ძმები ეხმარებიან ერთიმეორას

ჩვენს სამშობლოში, სადაც უნდა მიხვიდე, პეურნობისა თუ კულტურის რომელ უბანსაც უნდა დააკვირდე, შეუძლებელია შეუმჩნეველი დაგვარჩეს ის დიდი მადლი, ის ცხოველმყოფელი სტიმული წინსვლისა, რომელიც ხალხთა ძმობას და მეგობრობას მოაქვს.

საგარეოში მეფრინველეობის ფაბრიკის აგება რომ დავიწყეთ, მაშინვე ბელორუსიაში გავგზავნეთ ჩვენი მუშაკები. ვიცოდით, ამ საქმეში მათ დიდი გამოცდილება ჰქონდათ. ბელორუსმა ძმებმა არაფერი დაიშურეს ჩვენთვის, დაგვეხმარნენ, ჩვენმა ფაბრიკამ ფეხი აიდგა, მომძლავრდა და ახლა თვითონ ეხმარება სხვას.

ეს ძმური ხელის გაწვდენა ერთიმეორისათვის ჩვენი საბჭოური ცხოვრების ძირითადი კანონია, რომელიც შეუფერხებლად მოქმედებს როგორც მრეწველობაში, ისე სოფლის მეურნეობაში — ყველგან, ყველა უბანზე; და მას მუდამ კარგი ნაყოფი მოაქვს; ჩვენ, ყოველ წელს ახალ ფორმებას ვწერავთ, და ვცდილობთ მხარი გავუწოდოთ შრომის, წარმოების და მართვის მეცნიერული ორგანიზაციის განვითარების თანამედროვე დონეს.

ჩვენი საბჭოური ცხოვრების კიდევ ერთი შესანიშნავი ტრადიცია ის არის, რომ ყოველი დიდი ზეიმი, იმავე დროს, არის იმის შემოწმებაც, თუ როგორ მუშაობდა ყოველი ჩვენგანი ხალხის ცხოვრების დონის უფრო ასამაღლებლად. ამ დიდ ზეიმზეც ჩვენ უნდა გადავხედოთ განვილი გზას, შევაჩამოთ ჩვენი მუშაობის შედეგები; ყოველ ახალ გამარჯვებას საფუძველი წინასწარ ეყრება, მისთვის ნიადაგი წინასწარ მზადდება და ჩვენც უნდა ვიზრუნოთ, რათა წარმატებით შევასრულოთ ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოებისა და დამზადების 1978 და მომდევნო წლების გეგმები.

ამისათვის ჩვენ ყველა შესაძლებლობა გვაქვს. ჩვენი კოლექტივი განსაკუთრებულ ზრუნვას იჩენს რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის მშრომელთა მომარაგებისათვის. მომდევნო წლების მანძილზე სულ უფრო და უფრო მეტ კვერცხსა და ფრინველის ხორცს მიიღებენ თბილისელები.

საბჭოთა ხალხების დიდი დღესასწაული — ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს შექმნის ნახევარსაუკუნეოვანი იუბილე — ახალი ენერჯით, ახალი სიხარულით, ძალთა ახალი მოზღვავეებით ადავსებს ყოველი ჩვენგანის გულს, ეს დიდი ზეიმი წინსვლისა და ახალი გამარჯვებებისაკენ მოგვიწოდებს.

თემურ ძარალი
ბრიგადირი



პოეტის ხეა -

წმინდობა ჩემი მამა,
შენს სიყვარულს სხვებს ვუყავს.
არამ დავიცვო რჩა მშობის,
შეგობრობის ფესვს დავიცავ.

ბალახითი ბაიანი



დღე სასიკეთის სანდობელში
ჩვენ ვალს მივხვდით ქვეყნის წინაშე;
შენ — თავისუფალ საქართველოში,
მე — თავისუფალ უკრაინაში.
შემწავს გრძობის აღმავალდანი
გმინის წყლიან შეხედვებში ხაღმ,
სიყვარულებში ჩვენი ძვირია
მზერისაგან უყნისაგან.

ბალახითი ბაიანი



არ იყო ბანი, არ ჯვინდა პური,
ცხვარ-წაბლივ დავყავს მცარდო,
მინც არ დავიბო ცხოვრება მშობი
და ვგანხვავებდი მამაც ახელ.
ველი ტომის და ვველა ასეთს,
თავს ვინახავდი ერთი მუთილი,
მე იქ ვიწევი მშობის კრახს
და ვგმინობი ჩემს მშობის.
თუმცე მშობელი მამაც სხვა არის,
კარგი თუ ვაკვალ ვეცხვო დოლიას,
შენი სანდობლი, შენი სხლავარა,
უფრო მზერისე შენთან ვგვინა.

ბაიანი



მღერე მზეზე, მღერე სიმში,
აღიდე ტაბოლი, მშინა ვიყავი
სათათის ტოლი რომ ვიყავი,
ასმარებდებო ტრან ვეპოფე.

ბაიანი

ქართველი სასიკეთო პოეტები, ვანდელი ნაგვარი ხატუნის მანძილზე მოიღო ვიტაცა
ბოი, მოიღო ველი უმეტრეგნე ხალხი, ღვინეჩა შეგობისა; ვერ დასახლებდნენ ვერც ერთ
ქართველ სასიკეთო პოეტს უფროსი თუ ასაკურადა თათბიდან, ამ წმინდასა და გრძობისა-
ვის არ მიუძღვნეს ღვინე თუ პოემა; ჩვენი პოეტის ატარება, ამჯერად გარდა მშობის
მამაცაც არის, ქვემოთ ჩვენს სანდობლო მოგვაცხადო ცალკეული სტროფები ჩამდგინდნენ ქართვე
ლი სასიკეთო პოეტის ღვინეგან, ამოღებდნენ სასიკეთო კავშირის მამაც ხალხი, უფროსი სხვა-
რგლის გრძობის არის ვამჯავებდნენ.




და თუ ვამჯავებ ვინმე ავთარი,
რომ ხის ფოთლოვანი შეგობილომს,
ჩვენი ღვინეჩა მუდამ მზად არა
უნისთა ხელებს მოიღოს მოლო.

ბაიანი

არ უნდა ქვინდეს ველს დაფრთხილი,
სხლავებდნენ არ მამაც ფოთლოვანი,
მხედვდა უმეტრე ტკბილ სიყვარულით,
მშობი დაბლითი მამაცის თრქმენი.
მას ვგანხვავებდი ჩვენი რუსთველი,
ჩვენი ნაკვი, ჩვენი ფოთლო,
გამტავებელი სიბავთი ველმარცხელი
ვარი სიყვარული მამაცმუთლო.

ბაიანი



მშობის რომ არა, — ვინ ააგებდა
ამ უღვინეში სიღვინე, ქალაქებს;
იქნებო ვინა ვანახებდა
შენს მყოფებზე ტოლ-მამაცგვამი.

ბაიანი



ვამჯავ დამჯავა კავშირს მოიღო,
როი ღვინე შეა ვანდელი ფოთები,
სიბავს ახარებს ქართველის ნაფილი,
არავფელს შეუქრო სიღვინეს ღვინეს;
ქ სხვანაირად ამოღეს მშობი,
მრავლობებს ხაქო სხვლის დინებით
და მიწვევს ძრავლებს სხვარი
შეა ქალაქის მამაცმუთლო.

ბაიანი



ჩვენს ახელ ველებს, ჩვენს მამაც მამაცებს
სიყვარული მშობის სიბავთელი უფეს,
არ დავჩვენებ, არ დავჩვენებ
პარტის სიბავთელი ნაწილი ფოთი.



მე სტრავლს მამაც მამაც ასეთი,
და არ დავჩვენებ, ვიდევი, ღვინეჩა
მე მამაც დავჩვენებ, მე ვინ აწვევდი,
რომ დავჩვენებო მშინა მამაცმუთლო.
ფოთლებზე და უფესზე
პარტის გრძობ სიბავთელი
არ დავჩვენებ, არ დავჩვენებ
ვისაც ამ ვამჯავ მშობის უფესი.


ბაიანი

ხალხის ხეა



თინდები დღია ჩა სანდობელში
ვამჯავებდნენ ჩემს სხლავებს,
მშობისთვის თუმცე ვამჯავებდნენ
კავშირის მოგვინებდნენ
მშობისთვის თუმცე არავფილი
არც მშობი, ღვინე და არც ველები,
თუ ველი ველებს, შეგობდნენ
ვინ სიბავთელი, ჩვენი ველები.

ბაიანი




გამჯავროს ვინ ველი
სანდობლოვანი ფოთილი დღეს,
ვისცე შეგობის მამაცმუთლო
და მშინდობის ციხარტავდნენ,
არ ველები, ცხოველი
ვისცე სანდობელი მშინდობის,
გამჯავროს მამაც შეგობდნენ,
სიყვარულს და შეგობდნენ.

ბაიანი

ბაიანი
დღესაცა,
ვამჯავებდნენ
ბაიანი ვინაგო,
მამაც ფოთი,
მშობის ფოთი,
არ ვამჯავებდნენ
არც შეგობდნენ
და დღეს ჩვენი
მშინდობის
ვისცე მშინდობის
ვისცე მშინდობის.

ბაიანი



ვამჯავ
ვამჯავ
ახელ ველს ვამჯავ
შენს —
ვისაც სანდობელი ველებს,
დღია ხაქო
თინა ხაქო
შინა ხაქო
ცხოველი ხაქო
ეს სხლავ ვინა
ვის ხაქო

ბაიანი



ამ სიყვარული მამაც მოვლენ
თავს ვამჯავებდნენ ღვინე და მრავლობის
სიბავთის ტოლს ხელს ვამჯავებდნენ
და ჩვენს მამაცებს შეგობდნენ
მშობის სიბავთის ვანდობდნენ
ვამჯავ წინაპრის ვამჯავ იღვინეს
და თინდებს სიბავთელს, თინდის იღვინეს,
ჩვენ ვანჯავობდნენ და ვამჯავობდნენ.

ბაიანი

ჩვენ ვარი მშინდობი
და სხვანაირი,
ჩვენს ვარი ბაიანი
და უფესი,
ამ ქვემოთ
ვარი სიბავთელი,
ვინ მამაც
მამაც და უფესი.

ბაიანი



ერთი ტრავლია, ჩვენი ცხოვრება
მშინდობის მამაც და შეგობი ველები,
ვამჯავ ერთი მამაც-მამაც,
სხვანაირი მშინდობის
მამაც ვამჯავებდნენ, ვინა, ვინა,
მამაც, ნაწილი რომ არა,
ღვინეს დამჯავ, ჩვენი სხლავებს,
ჩვენს სანდობელი ვამჯავებდნენ.

ბაიანი



მშინდობის ვინ ველი
თინა ტკბილი თუ მშინდობის —
ერთი მამაც ვამჯავებდნენ ველები,
შეგი მამაც შეგობი მამაც,
ვინა სხვანაირი მამაც,
ერთი ველს სხვა ველი მშინდობის...
შენს სიბავთელი და შეგობდნენ
მამაც, მშინა ხაქო მშინდობის.

ბაიანი

თავილი მამაც მამაც არაფერი,
მამაცმუთლო ფოთი არაფერი,
და სანდობელი ქვეყნის წინაშე
ვამჯავებდნენ ველი მშინდობის
მშინდობის გრძობის ვამჯავებდნენ
მამაც სანდობელი მამაც წელი,
შენს მშინდობის მამაც მამაც
და მამაც ვამჯავ უფესი მამაც.

ბაიანი



ასე ვხვდებით დიდ იუზილეს

ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს იმ ამხანაგებთან ერთად, რომელსაც ჩემთან ერთად მოესწრნენ ამ დიად ისტორიულ თარიღს — საბჭოთა კავშირის 50 წლისთავს: ჩვენ მოწმე და აქტიური მონაწილე გავხდით იმ არნახული გარდაქმნებისა ცხოვრების უოველ დარგში, რაზედაც მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო ჩვენზე უფროს თაობებს.

ამ ნახევარი საუკუნის პირველსავე ათეულ წლებში მომზადდა ნიადაგი ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნისათვის და მასზე — ამ ნიადაგზე — ბრწყინვალედ გაიმარჯვა სოციალისტურმა წყობილებამ და თანდათანობით გადავდივართ კომუნისმის სამყაროში.

პირადად მე, მეცნიერების მრავალ მუშაგზე მეტად ხანდაზმული, მაგრამ არსებული სინამდვილის შემხედვარე და ძალამომატებული, ვფიქრობ, რომ კიდევ შევძლებ განვაგრძო მეცნიერული და საზოგადოებრივი მუშაობა. ასეთ ვარაუდს მიდასტურებს ამ უკანასკნელი წლების მანძილზე ჩემი მუშაობის შედეგები, რაც შეიძლება ჩაითვალოს ამ დიადი თარიღისადმი მიძღვნილად.

დავასახელებ უმთავრესს:

1. ამ დღეებში გამოვიდა ჩემი მონაწილეობითა და რედაქციით ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის წევრთა კოლექტიური ნაშრომი „ენათმეცნიერების შესავლის საკითხები“ (28 თაბახი), რომელიც მეტისმეტად ესპეროება ჩვენს სტუდენტობას, რადგანაც 20 წელზე მეტია, რაც არ გამოცემულა ასეთი სახელმძღვანელო.


2. გამოვიდა ოსური ენის აკადემიური გრამატიკა ორ ტომად (1968-1969) ჩემი რედაქციით. მასზე დიდი და ხანგრძლივი შრომა დაიხარჯა.

3. ამ დღეებში გამოვიდა აგრეთვე ჩემი რედაქციით გამოჩენილი სლავისტის და ქართველოლოგის იარაღი ედლიჩკას „ჩეხური ენა“ (29 თაბ., თარგმნა ჩეხურიდან ელენე ერისთავმა).

4. დავამთავრე ავესტის გათების სრული (17 გათა) თარგმანა ძველი ირანულიდან შესავლითა და კომენტარებით (გადაცემულია დასაბუქდად 80 ტომიან თარგმანთა გამოცემის მერვე ტომისათვის) ყველა 17 გათა არაა თარგმნილი ზოგ დიდ ენაზეც კი, მაგ. რუსულ ენაზე თარგმნილია მხოლოდ ზოგიერთი.

აღარას ვამბობ ჩემი მრავალმხრივი საზოგადოებრივი მუშაობის შესახებ (ლოგოპედია, თეატრი, სტენოგრაფია და სხვ.). ამდენად შეიძლება გაბედულად ვთქვა, რომ მრავალ ჩემ ამხანაგთან ერთად დიად დღესასწაულს არ ვხვდები ხელცარიელი.

აკად. გიორგი ახვლედიანი



ფუნჯითა და საპრეტლით

აი, უკვე ნახევარი საუკუნის ისტორია აქვს ჩვენი ხალხების ძმურ ოჯახს. ამ დიდ ზეიმზე ყველა დარგის მუშაგი, ყველა სპეციალობის ადამიანი გადასცემის განვლილ ათეულ წლებს, ანგარიშს აბარებს ქვეყანას, თუ რა გააკეთა მან და მისმა კოლექტივმა იმ დიადი, თავისუფალი და ლამაზი სამყაროს ასაშენებლად, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება.

მე ჩემს დარგზე — სახვითი ხელოვნების როლზე გიტყვი ორიოდ სიტყვას.

ჩვენს საბჭოთა მხატვრებს შიშველ ნიადაგზე არ დაუწყიათ მუშაობა, ჩვენ წინ სახელოვანი წინაპრები გვიძღოდნენ, მაგრამ მე გაბედულად შემოძლია ვთქვა, რომ უთვალავ გარდასულ თაობათაგან არც ერთს არ მქონია თავისუფალი შემოქმედებითი შრომის ისეთი ფართო ასპარეზი, როგორც შეუქმნა უაღბისა და საჭრეთლის ოსტატებს ჩვენმა დრომ, ლენინის საუკუნემ.

ასეთ ვითარებაში სასიხარულო და საამაყო იყო ის შრომა, რაც ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების ოსტატებმა გასწიეს. მათ უკვე შექმნეს საქვეყნოდ ცნობილი ფერწერული ტილოები, გრაფიკის უამრის ნაწარმოებები, ჭედური ხელოვნების ნიმუშები, ქანდაკებები, რომლებშიც აისახა ცხოვრება, შრომა და ბრძოლა ქართველი ხალხისა, რომელიც მოძმე ხალხებთან ერთად აშენებს კომუნისმის ნათელ შენობას.

ვავლებ რა თვალს განვლილ წლებს, მე, პირადად, კმაყოფილებასა და სიხარულს განვიცდი იმის გამო, რომ ვიყავი - მონაწილე იმ სულიერი საუნჯის შექმნისა, რომელსაც შინაარსით სოციალისტური და ფორმით ნაციონალური კულტურა ეწოდება.

ჩვენ, ქართველი მხატვრები, მუდამ ჩვენს ხალხთან ვიყავით ჭირშიც და ლხინშიც. ომის წლებში, პირადად მე გამოვფინე გრაფიკული ნაწარმოებები — „მტრის დესანტის დატყვევება“, „ვიწ იცის რაში გამოადგებათ“, „ომის უძღები უორანი“, „მანიუნის სამიწე“, „ფაშიზმი“ და მრავალი სხვა. აქ მე ვეცადე მეჩვენებინა რა საშინელ უფსკრულში გადაჩვენას უქადა ფაშიზმი მთელ კაცობრიობას. ომის შემდგომ წლებში ვცდილობდი გადომეცა დიდი მადლი და სიკეთე მშვიდობიანი შეპოქმედებითი შრომისა, რომელსაც ჩვენი ხალხი ეწევა.

მთელი სულითა და გულით მივესალმები და ვულოცავ ჩვენს ხალხს ამ ნათელ და დიად დღესასწაულს — საბჭოთა ხალხების ძმური ოჯახის დაარსების ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ლალო გუდიაშვილი

საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი



კმურად გამოგვიწოდეს ხელი

საგარეოს რაიონში, მთიან ადგილზე არის ერთი პატარა სოფელი, რომელსაც კრასნოგორკა ჰქვია. ეს ჩემი სოფელია.

ჩემი წინაპრები რუსეთის შიდა გუბერნიებიდან მეფის ბრძანებით გამოძევებული მოლოკნები იყვნენ. ისინი აყარეს თავიანთი მიწა-წყლიდან იმიტომ, რომ საეკლესიო რიტუალებს უარყოფდნენ და თავიანთი სექტა მქონდათ.

წამოვიდნენ მოლოკნები სამხრეთისაკენ, როგორც იტყვიან, ცხრა მთა გადმოიარეს და ბოლოს აქ, საგარეოს რაიონში მოიკიდეს მიწაზე ფეხი.

ქართველებმა თავიდანვე ძმურად მიიღეს დევნილები, ხელი გაუწოდეს, დაეხმარნენ...

მას მერე საუკუნეზე მეტი დრო გავიდა.

ისტორიას ჩაბარდა დევნაც, სექტანტობაც; გამოძევებულია შთამომავლობამ თავისუფლად ამოისუნთქა. ეს თავისუფლება და ბედნიერება ოქტომბერმა მოგვიტანა.

მთებში მიყუთული, ოდენაც ჩამორჩენილი, ყრუ სოფელი დღეს მოწინავეთა რიგებშია... ქართველ თანამძემოტთან ერთად, მათთან მხარდამხარ ვაშენებთ ჩვენ ახალ, მზიურ ცხოვრებას.

რას ნიშნავს ხალხთა ძმობა და მეგობრობა, რა სასწაულების მოხდენა შეუძლია მას — ეს ჩემმა სოფელმა თავის თავზე გამოსცა. ეს მეგობრობა ის შუქია, ის მზეა, რომელიც ადამიანის გულს აბრწყინებს; რომელსაც სიხარული და ბედნიერება მოაქვს.

ჩვენი ახლავარდობა ისევე გატაცებით ეწაფება ბრძენი რუსთაველის უკვდავ ქმნილებას, როგორც პუშკინისა და ტოლსტოის ნაწარმოებებს...

ისინი მოწინავენი არიან ფერმეზშიც და მინდვრებშიც, ერთგულად უდგანან მხარში უფროს თაობის ადამიანებს და ყველა ერთად იღწვის სამშობლოს საკეთილდღეოდ.

მთელი სოფელი ამაყობს მოწინავე და შრომაში თავდადებული ადამიანების სახელებით. ასეთები არიან ლენინის ორდენოსანი მწველავი მარია მაღალეტკინა, ზოლტკინოსი ჭავთ იბრაგიმოვი, ნადეჟდა შირინა, ნადეჟდა გლეშკოვა.

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის საზეიმო დღეებში კრასნოგორკელები თავიანთ ხმას უერთებენ ჩვენი მრავალრიგოვანი ხალხების მძლავრ ხმას და პირობას ღებენ, კიდევ უფრო მეტი ენერჯიისა და მონდომებით იზრომონ, ყველაფერი გააკეთონ იმისათვის, რომ ვადაზე ადრე და გადაქარბებით შესრულონ ხუთწლიანი გეგმით მათ წინაშე დასახული ამოცანები.

ნადეჟდა რემიოვზა,

საგარეოს რაიონის სოფელ კრასნოგორკის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

ისპოზიის ახალი ბუკა

ჩვენი სახელმწიფო თავისი არსებობის ორმოცდაათ წელს ზეიმობს.

გადავხედოთ ჩანი ვიყავით, ისტორიული ავალსაზრისით თუ ვიშქრელებთ სულ ახლო წარსულში და ჩანი ვართ ახლა, ამ საუკუნის სამოცდაათიან წლებში.

ოქტომბრის რევოლუციამ მშრომელებს, მთელ ხალხს თავისუფლება დაუმკვიდრა. ცარიზმისაგან ჩაგრულ ერებს დამოუკიდებელი არსებობის გზები გაუხსნა.

ძველი რუსეთის მრავალეროვან სახელმწიფოში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, ჯგუფები ცდილობდნენ გამოემუშავებინათ მათი ინტერესებისათვის შესაფერი ეროვნული პროგრამა. ყველა ეს ცდა უნაყოფო გამოდგა, თვით ეს პარტიები ისტორიულმა ქარიშხალმა აიტაცა და გადაფანტა აქეთ-იქით.

ლენინის პარტია, თავისი არსებობის მთელ მანძილზე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ეროვნულ საკითხს, მის საბოლოო მოგვარებას, სოციალურ პრობლემათა მოწესრიგებას რევოლუციის გამარჯვებას უკავშირებდა.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ველზე ყალიბდებოდა, ახალ ფორმებს იძენდა კლასობრივი და ეროვნული შეგნება.

მაშინდელი სოციალ-დემოკრატიის არც ერთი ცნობილი მოღვაწე იმდენ დროს არ ანდომებდა ეროვნულ საკითხის დამუშავებას, როგორც ვ. ი. ლენინი. პლენანოვის სახლ-მუზეუმში, ლენინგრადში ინახება პლენანოვისავე ხელით, მოსწავლის უბრალო რვეულში დაწერილი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის პროგრამის პროექტი, რომელიც პარტიის II ყრილობას უნდა განეხილა. იმ დროს უკვე კარგად ცნობილ განსწავლულ მარქსისტს ერთი სიტყვიც, ფრაზითაც არა აქვს აღნიშნული, თუ როგორ უნდა მოგვარებულიყო რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ეს ურთულესი პრობლემა. ქართველი მენშევიკებიც, ნოე შორდანაის მეთაურობით, კულტურულ-ნაციონალურ ავტონომიის მოთხოვნის ფარგლებს არ გამოშორებოდნენ. ცნობილია, მაგალითად, პოლონელ რევოლუციონერების, ან ისეთი გამოჩენილი მოღვაწის, როგორც როზა ლუქსემბურგი იყო, უკიდურესი ნიჰილიზმი ეროვნულ საკითხში.

სულ ახალგაზრდა ლენინი, მაშინ ის ოცდახუთი წლისაც არ იყო, საპყრობილის საკანში წერს რსდმპ პროგრამის პროექტს. ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობის მოთხოვნად ლენინი მიიჩნევს ერთა თვითგამორკვევის უფლებას, ეროვნული ენების განვითარებისათვის სათანადო გარანტიების შექმნას.

ლენინი არაერთგზის მიუთითებდა ეროვნული საკითხის სირთულეზე, აღნიშნავდა, რომ ამ საკითხს მრავალი მხარე აქვს, არა მარტო ეკონომიური, სოციალურ-პოლიტიკური, არამედ ფსიქოლოგიური, ემოციური; სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ეროვნული საკითხის კარდინალური მნიშვნელობის პრობლემები უკვე პრაქტიკულ სიბრტყეზე დადგა, წინა პლანზე წამოიწია პროგრამაში დასახული ამოცანების განხორციელების საკითხმა.

ცარიზმის დიდმპყრობელური პოლიტიკა ხალხთა შორის უნდობლობის, შუღლის, ექვის სულიკვეთების გრძობას აშქვიდრებდა. ხალხთა შორის კავშირებს ფსიქოლოგიურ ბარიერებსაც უქმნიდა.

იმპერიის განაპირა მხარეები ეკონომიურად მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდნენ ცენტრს. წარსულში დიდი ეროვნული კულტურის მქონე ერები დათრგუნვილნი იყვნენ; რომანოვების რუსეთში წერაკითხვის უცოდინარობა, უწიგნურობა გამონაკლისი კი არა, წესი იყო, იმპერიის მოსახლეობის 71

პროცენტი წერაკითხვის უცოდინარი იყო.

მეფის მოხელეები ხალხებს ეროვნულ ენებს უსპობდნენ, ართმევდნენ იმას, რაც მათ ათასწლეულების, საუკუნეების მანძილზე შექმნეს.

კომუნისტურმა პარტიამ შექმნა ისტორიაში მანამდე არნახული ერთი დიდი, ახალი სახელმწიფო, რომლის წიაღში მარმონიულად გადაწყდა როგორც ზოგადი, ყველა ერისა და ხალხისათვის უნივერსალური მნიშვნელობის საკითხები, ასევე ის სპეციფიკური პრობლემები, რომელნიც კონკრეტულად, ადგილობრივ ხასიათს ატარებდნენ. ასე მოძებნილ იქნა სახელმწიფოებრიობის ახალი ფორმები, სადაც პოზიტიურად გადაწყდა ზოგადისა და კერძოს შეთავსება-შეხამება.

ეს არ იყო იოლად, უბრალოდ შესასრულებელი ამოცანა. ეს სრულიად ახალი პრობლემა იყო. კაცობრიობის ისტორიას ერების ჩაგვრის, დათრგუნვის, განადგურება-გადაშენების მდიდარი გამოცდილება ჰქონდა; ერების, ხალხების თანაარსებობის, ნდობის, მეგობრობის, ერთობლივ სახელმწიფოებრივი არსებობის ცხოვრების მისაბამი მაგალითი კი არ გაჩნდა.

ჩვენი პარტიის, ლენინის, მისი მოწაფეებისა და თანამებრძოლების მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ფასდაუდებელი დამსახურება ის არის, მათ არა მარტო თეორიულად დასახუთეს, არამედ პრაქტიკულად გადაწყვიტეს ურთულესი ეროვნული საკითხი, აზრთა სხვაობის, მწვავე კამათის შედეგად მოიძებნა მრავალეროვანი სახელმწიფოს ორგანიზაციული ფორმა — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი.

ეს ორგანიზაციული ფორმა ძიების, ფიქრის, განსჯის შედეგად იქნა მოპოვებული. ლენინელებმა თავიდანვე კარგად იცოდნენ, რომ ეს იყო ახალი ისტორიის მთავარი ტენდენცია, რომ სახელმწიფოებრიობის ეს ახალი ფორმა უზრუნველყოფდა დიდ, ერთიან სახელმწიფოში შემავალ ხალხთა ყოველმხრივ განვითარებას, დაახლოებას და ერთსულლოვან მოქმედებას. ეს მხოლოდ თეორიის კი არა, სამეურნეო, ეკონომიური, კულტურული მოღვაწეობის, საქმიანობის პრაქტიკაში მოპოვებული გამოცდილების განზოგადოებაც იყო.

და ახლა, საბჭოთა კავშირის არსებობის ორმოცდაათი წლისთავისათვის, ჩვენ უკვე გვაქვს ფასდაუდებელი ისტორიული გამოცდილება, თუ როგორ შეიძლება კარდინალური მნიშვნელობის ეროვნული პრობლემის მოგვარება.

საკუ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში, „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის ამ წლისთავისათვის მზადების შესახებ“ აღნიშნულია: „სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი მრავალეროვანი სახელმწიფოს მოწყობის ყველაზე სიცოცხლისუნარიანი და სრულყოფილი ფორმაა, რომელშიც მთელი საზოგადოების ინტერესები მარმონიულად შეხამებულია თითოეული ერის ინტერესებთან“.

ჩვენმა სახელმწიფოებრივმა წყობამ, სოციალისტური ერთა კავშირმა გაუძლო ისტორიის ქარიშხალს, სამამულო ომის მანამდე არნახულ სიძნელეებს და სირთულეებს. ერების ნებაყოფლობითმა კავშირმა, რომელსაც ჩვენი პარტია წარმართავდა, დაამხო რეაქციის, მებრძოლი რასიზმის დროშით ჩვენ დასაპყრობად, გასანადგურებლად წარმოგზავნილი ფაშისტური პიტლერული ლეგიონები. გაიმარჯვა ჩვენი ხალხების ურყევმა ერთობამ.

საბჭოურმა სახელმწიფოებრივმა, ერთა ურთიერთდამხარებამ და ურღვევმა კავშირმა უზრუნველყო სოციალისტური ერების შინაარსით სოციალისტური, ფორმით ეროვნული კულტურების აყვავება, დაახლოება და ურთიერთგამდიდრება. დამარცხდნენ შოვინიზმი და ნაციონალიზმი, გაიმარჯ-

ვა სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეოლოგიამ.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXIV ყრილობაზე ამბობდა, რომ ადამიანთა ის ახალი ისტორიული ერთობა, რომელსაც ჩვენ საბჭოთა ხალხს ვუწოდებთ, არის „დასახებისა და სოციალური ჯგუფების, ერებისა და ეროვნებების ახალი, მარმონიული ურთიერთობა — მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა... პარტიის ხელმძღვანელობით გადაიღდა ახალი ნაბიჯები ყოველი მოძვე საბჭოთა რესპუბლიკის ყოველმხრივი განვითარების გზაზე, ჩვენი ქვეყნის ერთა და ეროვნებათა შემდგომი თანდათანობითი დაახლოების გზაზე. ეს დაახლოება მიმდინარეობს ეროვნულ თავისებურებათა გულდაგულ გათვალისწინების, სოციალისტური ეროვნულ კულტურათა განვითარების პირობებში. როგორც მთელი ჩვენი კავშირის საერთო ინტერესების, აგრეთვე მასში შემავალ თითოეული რესპუბლიკის ინტერესების მუდამ გათვალისწინება — ასეთია პარტიის პოლიტიკის არსი ამ საკითხში“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ზემოთ აღნიშნულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ „ჩვენი ქვეყანაში ეროვნული საკითხის წარმატებით გადაჭრის დიდმნიშვნელოვანი შედეგია საბჭოთა კავშირის ყველა სოციალისტური ერისა და ეროვნების ენათა ყოველმხრივი განვითარება“.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მრავალი ეკონომიური, სოციალური ასპექტი, უახლოესი ისტორიის გამოცდილება, რთული საერთაშორისო ვითარება, თავდაცვისუნარიანობის შემდგომი სრულყოფა და განმტკიცება, მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა განსაკუთრებული სიმძაფრით გვიკარნახებს, რათა მაქსიმალურად შემიძღვრებულნი ვიყოთ. ყველა სოციალისტურმა ერმა ხელისხელჩაკიდებულმა ერთად უნდა ვიაროთ ისტორიის მტკაღ ძნელად სავალ გზებზე.

1920 წელს, როდესაც უკვე არსებობდა მრავალეროვანი სახელმწიფოს მართვის გარკვეული გამოცდილება, ვ. ი. ლენინი წერდა: „ეროვნული და სახელმწიფოებრივი განსხვავებანი ხალხებსა და ერებს შორის... კიდევ ძალიან და ძალიან დიდხანს დარჩებიან პროლეტარიატის დიქტატურის მსოფლიო მასშტაბით განხორციელების შემდეგაც კი“. ეს უდიდესი პრინციპული მნიშვნელობის დებულება შეეხება როგორც მსოფლიო მასშტაბებს, ასევე მრავალეროვან სოციალისტურ სახელმწიფოებს, სოციალისტურ ერებს, მსოფლიო სოციალისტურ სახტემას, რასაკვირველია, სოციალისტური ერებს შორის მყარდება სულ ახალი კავშირები, ეს იქნება ერთი, განუყოფელი, ურყევი, ურღვევი ერებისა და ხალხების ძმური ოჯახი.

საბჭოთა ხალხების მტკიცე ერთიანობა და ურღვევი მეგობრობა ჩვენი მომავალი გამარჯვებების უპირველესი საწინდარია.

ეროვნულ საკითხის გადაწყვეტის უმდიდრეს საბჭოურ გამოცდილებას დიდი ყურადღებით სწავლობენ მთელ მსოფლიოში. ახლო წარსულში კოლონიალიზმის უდიდეს ქვეშეყვანილ ხალხებს ახლა ძალღებს იკრებენ, ეროვნული დროშის გარშემო ირავებიან, ახალ ეროვნულ სახელმწიფოებს აშენებენ.


იმპერიალიზმის პოლიტიკური უდიდესი განთავისუფლებული ერები, ხალხები ეძებენ ისეთ ცხოვრებისეულ მოდელს, რომელიც მიზანშეწონილად, ისტორიული პერსპექტივის სწორი გათვალისწინებით, მისცემს მათ საშუალებას ააშენონ ეროვნული, მრავალ შემოხვევაში კი მრავალეროვანი სახელმწიფო.

ამ მხრივ ყველაზე დიდი და დადებითი გამოცდილება სწორედ ჩვენს ქვეყანას გააჩნია. მრავალეროვანი ახალი სოციალისტური ტიპის სახელმწიფოს მშენებლობის ბრწყინვალე ნიმუში სწორედ ჩვენ შევქმენით.

ვლადიმერ მაშაპარიანი

თხუთგასი სის უკუკანდელი

პახანგ მორბანელი



რა საჭიროა
ვარსკვლავებზე ჩამოპკრა კვესი.
ახლა უცეცხლოდ
განათებს გომბორი სივრცეს.
გაშაღეთ სუფრა
მზით ავსებულ კახეთის ზვრებში
რომ გული ძმობის
ჭერ არსმენილ სიმღერად იქცეს.

მოხადეთ უველა
სიხარულის უძირო ქვევრი,
ცა დაარბიეთ
სამაისო ეშხით მღიმარი,
ოქროს ლერწაში
მოაქციეთ მქუხარე თერგი,
რომ სიყვარულის
ურუანტელმა შეესძრას მუინვარი.

ჭიხვის უანწებში,
არწივებო, ფიცვერცხლი თაღეთ,
აქ გადმოშაღეთ,
თუკი სადმე უვავილი იწვის,
ლაჟვარდებიდან
ჩამოვიდეს კოლხეთის მთვარე,
რომ არ მოგვაკლდეს
სილამაზე კოლხური მიწის.

რა უხილავად
ენტებთან წუთები ღელვის,
ციხკრის ფრიალით
რა გულდაგულ არავი მორბის
წინ შეაგებეთ
მოსულ სტუმრებს შირაქის ველი,
რომ პურის მადლმა
დაგვილოცოს სათავე ძმობის.

აბა, მოვიდნენ,
რომ ნატრობდი, მშობელო დედავ.
მშობელო დედავ,
შენი თბილი დაგვხურე კალთა.
დღეს შენს წინაშე,
როგორც ახლა დავმდგარვართ ერთად.
ჩვენ ასე ვდგევართ
ამ ცხოვრების დიდების კართან.

ის, რომ უყურებ,
მის ხმაში რომ ირწევა ვოლგა.
მე მასთან ერთად
რაიხსტაგის შეველწე კარი
და შიგ ბერლინში
გამარჯვების გავშაღე დროშა.
რომ აღარ ატყდეს
არასოდეს ომების კარი.

მის გვერდით რომ ზის
და მზესავით ღაღად იცინის,
შეეჩენკოს ლექსებს,
რომ აჩიბრებს აკაიის ბწყარებს.
იმისი პაპის
მკლავზე მოკვდა გურამიშვილი
და შეუნახა
მისი წიგნი მშობლიურ მხარეს.

პირდაპირ რომ დგას
და ავენესებს ძმობისთვის დომბრას
და მკლავლონიერ
ამანგელდის ფილტვებით მღერის,
ის არის, დედი,
ბრძოლის ველზე ვინც სისხლი მომცა
და დამიბრუნა
გონდაკარგულს სიცოცხლის ფერი.

ის უზბეკია,
თან რომ მომყუა ფერგანის ველი.
ვინაც ტაშკენტში
გაიყვანა რუსთველის ქუჩა.
ეს თურქმენია,
რომ მოხვია მოლდაველს ხელი
და მინსკელ ვაჟაკს
შეაყარა ღიმილის ბლუჭა.

ვარდს რომ გვთავაზობს,
ზანგეზურის შვილია, დედი,
აბა, ჩახედე.
მის თვალეში ბორგავს სევანი.
არარატივით
ძლიერია ხმისი მკერდი,

მადლით სავსეა
სიყვარულის ახლა მტევანი.

თარს რომ დასძახის
და სიმებზე უზის ბულბული,
მისი ხმაც ბაქოს
ლაშპარივით იქცა სინათლედ.
იხე შეგვხარის,
რომ ნატრობდა სამედ ვურგუნი
და ამ ნატვრაში
იღვრებოდა სულის სინაზე.

ტაჩიკს შეხედე,
აქაც მხრებზე არწივი უზის,
მე მასთან ერთად
სტალინგრადში ვიცავდი თბილისს.
უირგიზმა ლამის
ესტონელი ჩაისვას სულში
და მათ სიხარულს
უხვად აფრქვევს ლიტველი ღიმილს.

ეს რიგელია,
შენებაში რომ გვეჩიბრება,
ვთქვი და შენს მანდილს
არ შევარცხვენ, მშობელო დედავ.
მიზნისკენ სწრაფვას
თუ საქმე არ მოხდეს ზვირთებად.
მაშინ რისთვისღა
დამირწიე აკვანი ქვეყნად!


დედავ ძვირფასო,
სულ სიკეთის იყავ მდომელი
და აღვასრულე,
თხუთმეტი მზე მიიკარ გულთან.
კალთა დედური
დააფარე ძმობას, რომელიც
ჩემს მშობელო ენას,
ჩემს ხალხს, ჩემს მტკვარს იმედად უდგას.

ვაშა ამ ძმობას,
მტერს რომ ხვდება გულზე ლოდივით,
წინ რომ მიგვიძლივს
და უოველთვის დროშად ვარხევდით...
მის სიყვარულში
ცოტნესავით ვარ მუხლმოყრილი
და თავს მეველება
თხუთმეტი ცის შარავანდედი.

ქსენოფონი ქართველთა

ოლგა
რომანენკო

მწერალი ოლგა რომანენკო მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა საქართველოში. ამან საშუალება მისცა გაეცნობოდა ჩვენს ხალხს, ჩვენს ლიტერატურას, დამეგობრებოდა ბევრ ქართველ მოღვაწეს. მწერლის კალამს ეკუთვნის წიგნები იაკობ გოგებაშვილისა და ალექსანდრე პავლევიჩის ცხოვრებაზე. გათავაზობთ ოლგა რომანენკოს სამ პატარა ჩანახატს ციკლიდან „შეხვედრები ქართველებთან“.



თამარ აბაქელია

არ მახსოვს როდის გავიცანიე ერთმანეთი. ასე მგონია, რომ თამარს მთელი ჩემი სიცოცხლე ვიცნობდი. როცა მას გავიხსენებდი, უშალ თვალწინ დამიდგებოდა თბილისის ერთი დიდი შენობის ბარელიეფი. დაუჩერებელი იყო, რომ იგი ქალის ნაწმა ხელმა გამოვეთა. როგორც ძველი ოსტატების თვალსაჩინო ნამუშევრებს, თბილისელები ისეთი მოწიწებით შეპყრებულნი არიან აბაქელიას ყოველ ქანდაკებას.

ცხოვრებაში, ადამიანებთან ურთიერთობაში უბრალო, მოსიყვარულე და გულისხმიერი იყო. გაცნობისთანავე ისეთ მეგობრად გავიხსენებოდა, რომელსაც იშვიათად ხვდები, მაგრამ მისი სიკეთით სავსე გული ყოველთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია შენთვის.

თამარი უყურნებელი სენით იყო დაავადებული და ეს გულს გვიკლავდა ყველას.

უკანასკნელად მოსკოვში შევხვედი, როცა მან ტელეფონით დამირეკა და თბილისიდან თავისი ჩამოსვლა მამცნო, ისეთი შეება და სიხარული ვიგრძენი, თითქოს იგი სამუდამოდ განკურნებული უოფილიყო.

ერთი შეხედვით ეს თითქოს მართლაც ასე იყო. თამარი იხევ მხიარული, მოძრავი და ბალისიანი ჩანდა, სანამ მე დამირეკავდა, სპარაკმახეროში შეერბინა. რომელიღაც უნათლო ხელოსანს მისთვის ძალზე ცუდად ღებავდაცხა თმა. თამარი ბრავოზობდა. ის ზომ ყოველთვის სათუთად ეკიდებოდა ყოველ თავის ნამუშევარს. თავისი ნაწი ხელებით ნაძერწს.

მერე, თითქოს ხვთათმორის, თქვა:

— ზო, მართლა, ამას წინათ მე ისე მოულოდნელად დაგტოვეთ ყველანი. გავიქეცი. მართლა გეუბნები, გავიქეცი. წარმოიდგინეთ, ექიმებმა ტვინის სიმსენე აღმომიჩინეს.

მის უკანასკნელ სიტყვებში იგრძნობოდა რაღაც ისეთი ბავშვური წყენა, რომ მე ძალა არ შემწევდა მისთვის სახეში შემეხედა.

— მართლა, მართლა, მაგრამ... უველა გავაცურე. ვუთხარი, რომ მე მხოლოდ ქართველ ექიმებს ვენდობი-მეთქი, — მაშინვე ეშმაკური გამომეტყველება კმუნვით შეიცვალა, — დღემდე მაწუხებს სინდისი. აქ ისეთი უურადლებიანი, მზრუნველი ექიმები იყვნენ... რასაკვირველია, მათ ეწუინებოდათ. მე კი მინდოდა, რაც შეიძლება ჩქარა ჩემგადარიყავი თვითმფრინავში, მორჩა და გათავდა.

მან ამაყად ჩამხედა თვალეში და თითქოს რაიმე მეთქვას, ისე შემეკამათა:


— არა, არა, სხვანაირად არ შემეძლო. მე ხომ ღესია უკრაინკას საკონკურსო ქანდაკებაზე ვმუშაობდი. სწორედ ამ ერთ წელიწადში დავამთავრე, როცა საავადმყოფოში უნდა ვწოლილიყავი. ჩემო ძვირფასო, მე თუ განწირული ვარ — ძალიან კარგად ვიცი, რომ ეს ასეა, — სწორედ ახლა მჭირდება დრო... დრო!

თამარი სწრაფად გამოშორდა, გახსნილ ჩემოდანში რაღაცას დაუწყო ძებნა. უწესრიგოდ ჩამოშლილმა თმამ სახე დაუფარა. რამდენიმე წუთის შემდეგ მაგიდაზე ფოტოსურათები დამიწყო, რომელზედაც ღესია უკრაინკას ბიუსტი იყო აღბეჭდილი. ეს იყო მისი ნამუშევარი, კონკურსზე პირველი პრემია რომ შიიდა.

სარეცელს მიჭაჭვულმა ღესია უკრაინკამ სიცოცხლის უკანასკნელი წლები საქართველოში, დაბა სურამში გაატარა. აქ შეიყვარა და შეითვისა საქართველოს გმირული რომანტიკა. მოკვდა ღესია, მაგრამ დატოვა სიცოცხლისაღმში, ადამიანებისადმი სიყვარულით აღსავსე ღიქსები. არავინ იფიქრებს, რომ ეს ღიქსები სასიკვდილოდ განწირული ქალის მიერაა დაწერილი. იქნებ ბევრმა არ იცის, რომ მისი დაუფიყარი სახის გამოქანდაკებელიც უყურნებელი სენით განადგურებული მოქანდაკე იყო. ორი საოცარი ქალი ორი დიდი პიროვნება! ღესია უკრაინკას ბიუსტი, რომელიც სურამში დგას, თამარ აბაქელიას ძეგლიცაა.

ეს იყო მისი უკანასკნელი ნამუშევარი. მადე მას ობერაცია გაუქეთეს, მაგრამ გვიანდა იყო.

გავიდა წლები, მაგრამ იგი ცოცხალივით მუდამ თან დამყვება. ვფიქრობ ამ მამაც ქალზე, ვფიქრობ, რადღენ დიდი სიყვარული უნდა მქონოდა, რომ ასე ვაყვაცურად შეტკონა ნერვები, სასოწარკვეთილებას არ მიეცა, არავის მოუხმო საწველად, უარი თქვა მკურნალობაზე, ყველაზე ახლობელსაც კი დაუმაღა ავადმყოფობა, თვლი თვალში გაუხწორა სიკვდილს, ძალით გამოსტაცა მას ყოველი დღე, ყოველი საათი საყვარელი საქმიანათვის. იქნებ ეს არის ერთი დიდებული საფეხური უკვდავებისაკენ?



ელისო ვირსალაძე

შოპენის სამშობლო, პოლონური დაბა ვილიზოვა ვოლია...

ჩვენ, საბჭოთა ტურისტებმა, ვიცოდით, რომ აგვისტოს ერთ კვირა დილას ძველი ტრადიციონალური შოპენის სახლში კონცერტი ეწყობოდა.

მთელი მსოფლიოს მუსიკოსებს თავიანთ მოვალეობად მიაჩნიათ ერთხელ მაინც გამოვიდნენ სახლში, სადაც დაიბადა შოპენი. ეს არა მარტო მოვალეობაა, ეს არის დიდი პატივი.

უზარმაზარ ხალში ადამიანს ბუნებისათვის მიუცია თავისუფლება, ხოლო თვითონ კი ნამდვილი მხატვრის ალღოთი შეიქცა ოდნავ შესამჩნევ შესწორებანი ბუნების სტიქიურ შემოქმედებაში.

პატარა, მაგრამ მკვირცხლი მდინარის ამწვანებულ ნაპირზე კვარცხლბეცი დგას შოპენის მიუხედავად, რომელსაც ერთი თარიღი „1810“ აწერია.

გავიკვირდებოთ, როგორ თუ ერთი თარიღი იქნებ იფიქროთ კიდევ, ეს აღმათ იმითომ, შოპენი შორს გარდაიცვალა და ამ ადგილზე მხოლოდ მისი დაბადება ახსოვთ. მაგრამ არა, ყოველ დიდ ადამიანს კაცობრიობის მიერ მადლიერების გრძნობით აღბეჭდილი მხოლოდ ერთი თარიღი აქვს: ის, როცა იგი ამ ქვეყნად გაიწდა.

ბრწვინვალე პარკში შოპენის სახლი ხაოცრად პატარა მოჩანს. შესასვლელში მოგვცეს პროგრამა. თითქოს განვებ მოგვიწუეს, იმ დღეს ჩვენთან უნდა დაეკრა. აღმათ ისე გაოცებით წარმოვთქვით ილღო ვირხალაძის სახელი, რომ მოხუცმა პოლონელმა უყრუხანოდ განვებმარტა:


— ელისო ვირსალაძე ქართველი პიანისტია. შოპენის კონკურსზე ჩამოვიდა და პირველხვე დღეს დაიპყრო ვარშაველეების გული.

თითქმის ყოველმა ჩვენთაგანმა ისე მივიღეთ ეს სიტყვები, როგორც პირადი კომპლიმენტა, ელისო ხომ ჩვენია.

გავიარეთ დაბალტერიანი, პატარა ოთახებში. ჩურჩულით დავათვალიერეთ კედლებზე გამოფენილი ფოტოსურათები.

წითელი მოქალაქე

ზაქარია შერაზალიშვილი



1.

ეს მოედანი —
სივრცე დიადი,
ეს მოედანი —
სივრცე ვეება,
ამ მოედანზე
ეს განთიადი
გაუთენებელ
ღამეს შეება.
ეს მოედანი
ვინ არ ადიდა,
ეს მოედანი
იცნეს მითებმაც,
რევოლუციურ პეტროგრადიდან
აკ მოალწია
დიდმა ზვირთცემამ.
ეს მოედანი —
ადგილი წმინდა,
ო, ამ მოედანს
ტოლი არა მყავს,
რევოლუციამ ამ მოედნიდან
შეუღო კარი
კრემლის ალაუაფს.
ამ მოედანზე
დაემხო გვალვა, —
შავი წყვილი ნათელს დანებდა...
ამ
მოედანზე
ლენინის
გავლა
მთელი ძველ სამყაროს
ატორტმანებდა.
ეს მოედანი —
მნათი ცხრათვალა,
ეს მოედანი —
შუქი ცხრაკარა,
ამ მოედნიდან საქმემ მართალმა
ტანჯვა, სისხლი და
კრემლი გვაკმარა.
ორმოცდაათი წელი გვიმართლებს,
ორმოცდაათი არის მას უკან,
ამ გარეუბრამა,
შუქმა,
სინათლემ
ამ მოედანზეც
ამოაშუქა.

2.

ეს იყო ახლა,
კოტა ხნის წინათ,
იმ ბრძოლის ფერფლი
ახლაც გვედება,
იმ ბრძოლის გმირებს
ბურანში სძინავთ
ამ მოედანზე,
მაღალ კედლებთან.
რომ დაიდვარა სისხლი

წინიდან „დიადი კავშირი“

უზადო,
ახლაც იმ სისხლის
ფერები ბრწყინავს,
ამ მოედანზე
ფხიზელი ძილით
უმუზარადო
მებრძოლებს სძინავს.
ეს მოედანი —
მთავარი ძარღვი,
და ბარაკადა
უველაზე წინა,
ამ მოედანზე
ბრძოლებში დაღლილ
რევოლუციის
შემოქმედს სძინავს.


3.

ომში
სტალინმა,
წვითა და გზნებით
რომ არიგებდა იმედებს განძად,
ჭარისკაცები
დიდების გზებით
ამ მოედანზე
გადავლით
დასძრა.
ეს მოედანი —
მშვიდობის კერა,
მისგან
უოველი უინული გალხვა,
ამ მოედნიდან კოსმოსის ერა
დაიწყო
დიდმა
საბჭოთა
ხალხმა.

4.

ცისკარი ცისკრად
რომ იწყებს ფრთხილს
და მოისურვებს მიწა
დაცვაროს,
ჩვენ ამ მოედნით მივდივართ
ფრთხილად,
რათა
დაქანცულს
ძილი
ვაცალოთ.
მიდი-მოდიან
ქარები,
წყლები...
და გვმსკვალავს მისი

სოტკვის სიმკვევრე...
რაც უფრო ბევრი
გაივლის წლები,
მის
სიკვდილს
უფრო
ვერ
დავიჭვებთ.
ეს მოედანი —
მთავარი ძარღვი,
ციხე-სიმაგრე
უველაზე წინა,
ამ მოედანზე
ბრძოლებში დაღლილ
რევოლუციის
გენერლებს
სძინავთ.
ეს მოედანი —
ზეიმი ფერთა,
ციაგი,
ბრწყინვა
სხივის მადლურის,
ეს მოედანი ხალხთა და ერთა
დიდი
საერთო
ძმური
აღლუმბი!
და იგი აწვდენს ხმას
ბარაკადებს
უველა გრძელის და
უველა განედის,
მატერიკიდან მატერიკამდე,
ოკეანიდან ოკეანემდის.
ამ მოედანზე
დაემხო გვალვა,
რომ არ შეეძლო ნამის მოტანა,
ამ მოედანზე
ლენინის გავლამ
მთელი სამყარო
შეატორტმანა.
ეს მოედანი —
სამყაროს ფილტვი,
სმენა და ზედვა,
ხმა,
გულის ძგერა,
ეს მოედანი რასაც კი იტყვის,
ხალხებს და ერებს
წინასწარ
სჭერა!



დიდი ნახევარი საუკუნე

წელს, დეკემბერში ნახევარი საუკუნე შეუსრულდა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაფუძნებასა და დაკანონებას. 50 წელი, ნახევარსაუკუნე!

საწესდაროდ, მტად შორალია თითქმის მთლიანად ფორმულაზე და რიცხვებზე გადასული თანამედროვე უსტი დარგების ენა იმ აღფრთოვანების და სიამაყის გრძობის გადმოსაცემად, რომელითაც ჩვენ, საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის პატრიოტები, საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტის ქმიკოსები ვეგებებით ამ დიდებულ თარიღს — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს არსებობის პირველი საუკუნის პირველი ნახევრის ბრწყინვალე დამთავრებას და მეორეში გადასვლას, რომელიც აღბეჭდილია ჩვენი მეცნიერებისა და ტექნიკის ესოდენ დიდი, თითქმის უღაბრული წარმატებებით: კოსმოსში გახვლით, თვალუწვდენელი კოსმოსური სივრცეების დაუფლებით.

დიად თარიღს — საბჭოთა კავშირის შექმნის ნახევარსაუკუნის იუბილეს უსტად ემთხვევა ერთი შედარებით პატარა თარიღი: ესაა ჩვენი შოხობლიური პოლიტიკური ინსტიტუტის დაარსების და სწრაფი წრდის ასევე ორწლიანი წლისთავი — 1922-1972. ასი და მტი წლის ოცნებას მსოფლიო საბჭოთა ებქამ შეახსა ხორცი, წარმოიქმნა ჩვენი პირველი, დედანაზე ამტკველებული უმაღლესი საინჟინერო კერა — საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტი.


და, რაც ყველაზე მთავარია, ჩვენ დიდებულად გაგვიმასპინძლდა ეს ნახევარი საუკუნე. უხვად აგვიწვდნო ყველაფერი, რაც დააკლო ჩვენს შუქმიმწერაჲ მრავალბანტულ სამშობლოს აღრინდელ, გარდასულ ებქათა მძიმე ვითარებამ და ბედის უკუღმართობამ. ახლა კი, საბჭოთა კავშირის წიადში, ჩვენ უმაღლე ვივლით ყველა საფეხურის მდიდარი სასწავლო ქსელიც, მეცნიერებისა და ხელოვნების დაწესებულებებიც — სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია და ეს დიდი აღორძინება დაგვიარგინა თბილისში მეცნიერებათა აკადემიის გახსნამ, ახალთუშანში კი, ყანობილის მთაზე კოსმოსის განმკვერტი მეცნიერული თვალის — ასტრონომიული ობსერვატორიის დაარსებამ.

რამდენი სიტყვა დასჭირდა „უენო“ ქმიკოსის იმის გამოსათქმელად, რაც ჩვენმა მზის მოტრფილედ პოეტმა აღექსანდრე აბაშელმა ასე მოკლედ გამოხატა თავის „მზის სიცილში“:

ლამის ჩამქრობის მნათობის
ვიხილე აღმოცენება,
ოქროდ შლილისა დილისა
ვიხილე აღმოცენება.

ეს ხომ ჩვენი გულითქმაც არის! ყველას ფიქრი და აზრი მამ, მეც ამით დავამთავრებ ჩემს საიუბილედო გამოსვლას...

რუსუდან ნიკოლაძე,
მეცნიერების დასახურებული მოღვაწე.



ურღვივ დუღაზე

ჩემი სოფელი სანიორე თელავის რაიონში მდებარეობს.

საბჭოთა ხელისუფლებამ ბედნიერი და ნათელი ცხოვრება დაამკვიდრა ერთ დროს უბადრუკ სანიორეში. აი, თუ გნებავთ, ჩემი მაგალითი ავიღოთ. უბრალო, რიგითი კოლმეურნე ვარ, მთავრობამ დიდად დააფასა ჩემი შრომა და სოციალისტური შრომის გმირობა მომანიჭა. ოჯახი ბარაქითა და დოვლათითა მაქვს ხავსე. ჩემმა ოჯახმა წელს კოლმეურნეობიდან 8.000 მანეთი ფულადი შემოსავალი მიიღო; აბა ახლა ამას დაუმატეთ საკარმიდამო ნაკვეთიდან მიღებული დოვლათი და თქვენ თვითონ განსაქეთ როგორ წელგამართულად ცხოვრობს ჩვენებური გლეხკაცი.

მადლობის მტეტი რა გვეთქმის ჩვენი პარტიისა და მთავრობის მიმართ. ერთ მშურ, მტკიცე ოჯახში შესმატებულბულად ვცხოვრობთ სხვადასხვა ერგუნების შვილები და იმედის თვლით გავცქერით კიდევ უფრო ნათელ მომავალს.

ამ დიდი ძმობის მადლს ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობთ და ვხედავთ. ამას წინათ ჩვენთან, თელავის რაიონში მომე უკრაინიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან მშრომელთა დელეგაციები ჩამოვიდნენ, ისინი ესტუმრნენ წინადალს, იყალთოს, აკურას, ნავარეულს, რუისპირს და ჩვენს სანიორეს. ათვლიერებდნენ ჩვენს მიწებს, ვენახებს, ფერმებს, სწავლობდნენ ჩვენგან და ჩვენც ვვასწავლიდნენ — ათი წელია, რაც ერთმანეთთან სოციალისტურ შეჭიბრებაში ვართ ჩაბმულნი; მათი ჩამოსვლა ზემოც იყო და უადრესად საქმიანი შეხვედრაც, შეჭიბრების შედეგებსაც ვამოწმებდით და ჩვენს ყველაზე სანუკვარ ოცნებებსაც ვუზიარებდით ერთმანეთს; ვიხსენებდით ჩვენს წარსულსაც, როცა ერთიმეორის მხარდამხარ, მმადმეციულნი ვიდევით და ვიცავდით ჩვენს დედასამშობლოს სამამულო ომის ფრონტებზე. უკრაინელები იხსენებდნენ მამაც ქართველ ოფიცრებსა და მეომრებს, რომლებიც უკრაინის მიწაზე თავგანწირულად იბრძოდნენ შიტლერის ურდოების გასანადგურებლად. ჩვენი ძმობა და მეგობრობა უმტკიცეს და ურღვივ დუღაზეა აწინებული და არ არსებობს ძალა, რომელსაც მისი შერყევა შეეძლოს.

ამ ზემის დღებში, მე მინდა ალალი გულითა და კახური ღვინით ბედნიერება, დღეგრძელობა და მარადუამს გამარჯვება ვუსურვო ჩემს საბჭოთა ხალხს.

მრავალუამირ!

გიორგი შავაძე,

თელავის რაიონის სოფელ სანიორეს კოლმეურნე, სოციალისტური შრომის გმირი.



მეფოლადეთა სიტყვა

თოხმტეოდ წლის ბიჭი ვიყავი, როცა სოფელში რუსთაველ მეფოლადებზე გადაღებულ კინოფილმი ვნახე. აღტაცებული შევცქეროდი დაბადებას პირველი ქართული ფოლადისა, რომელიც ტანგროგის მტეალურგიულ ქარხანაში აღწერილმა მეფოლადემ შალვა კუხალიშვილმა ჩამოასხა. აბა რას ვიფიქრებდი მაშინ, რომ გაივლიდა რამდენიმე წელი, მეც მეფოლადე გავხდებოდი და სწორედ იმ სახელოვანი ოსტატის შალვა კუხალიშვილის ხელმძღვანელობით მომიხდებოდა მუშაობა.

ბრიგადაში სამი ვართ: ოთარ მუმლაძე, ტარიელ კუდავა და მე. ერთ ცვლაში ჩვენმა ბრიგადამ გეგმის მიხედვით 170 ტონა ფოლადი უნდა გამოაღწოს. ბიჭებმა მოვითათბირეთ, ყველაფერი ავწონ-დავწონეთ და გადაწყვიტეთ, საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ ვახტზე დავმდგარიყავით. პირობას შესრულება უნდა და არც ჩვენ შეგვირცხვენია თავი. ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ვასრულებთ. 170 ტონა ფოლადის ნაცვლად დღეში 180-200 ტონა ფოლადს ვაღწობთ.

ამას წინათ სუმიგაითელი მტეალურგები გვეწვივნენ. სტუმრად. მეგობრებს გულლიად შევხვდით. დავათვლიერებინეთ ჩვენი კობა ქალაქი, საამქროები, უბნები. საყოველთაო დღესასწაული — საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის იუბილედ უკვე კარზე იყო მომდგარი, როცა რუსთაველმა და სუმიგაითელმა მტეალურგებმა საერთო ძალით მეგობრობის ფოლადი გამოვადნეთ. დაე, ეს ძმობის ფოლადი ჩვენი სამშობლოს სიმტკიცესა და შემდგომ ძლიერებას მოხმარდეს.

სიმართლე ვითხრათ, ძალიან მემამყება, რომ, მე, უბრალო, სოფელი ბიჭი მტეალურგი ვავხდი და რუს ვიტორ შეგლოვთან, უკრაინელ კოლია პანაპარჩუკთან, ოს სერგო კახისოვთან და, კიდევ ვინ მოთვლის, რამდენი ერის წარმომადგენლების მხარდამხარ ვადნობ ქართულ ფოლადს. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ალბათ ჩემი კარგი შრომის შედეგი იყო ის, რომ ქარხანაში დიდი პატივი დამდეს და ას მემილიონე ტონა ქართული ფოლადის საზეიმო გამოღწობაში მიმაღებინეს მონაწილეობა.

რუსთაველ მეფოლადეებს თავის შერცხვენა არ სჩვევიათ. ამ ზემის დღებში ჩემი კოლეგების სახელით ვაცხადებ, რომ კიდევ უფრო უკეთესად ვიშრომებთ, უფრო მტე და მაღალხარისხოვან ქართულ ფოლადს მივცემთ დედასამშობლოს.

ე. შუგითიძე

მეფოლადე.




კოეზიისა და მეგობრობის ზეიმი საქართველოში

ქართველი მწერლები გულთბილად შეხვდნენ ზეიმზე ჩამოსულ სტუმრებს.



მთაწმინდაზე.


ფოტო
ს. თევზაძისა
და
ი. დავითაშვილისა



მთაწმინდის პანთეონში.

ზეიმი სოფ. რუსთავში (ასპინძის რაიონი).

თბილისი. მირზა ფათალი ახუნდოვის ძეგლთან.





კ. სანაძე. „სამაია“.



გ. თოიძე. „ენგურის ვახაზე“.



ე. უკანლავილი. „შემოდგომა ჩემს სოფელში“.

საიუბილეო გათვინიდან

ბ. ტუღუში. „შვიდობის მტრედები“.



მ. შვეტაძე. „საბჭოთა კავშირი — ჩემი სამშობლო“.

მ. გაბუნია. „ჩაი“.





ახალგაზრდა მექანიზატორი.

ფოტო თ. არჩვაძისა.

კახეთის ში

კვირა დღით ფოსტალიონმა ახალ გაზეთებს უცნობი კაცის წერილიც მოაყოლა. გამივირდა ვინ უნდა იყოს-მეთქი. კონვერტი გახსენი. სტავროპოლის მხარის, სოვეტსკის რაიონის მცხოვრები ნიკოლოზ ჩარიკოვი მწერდა:

„პატივცემულ გიორგი, ერთი ქართველი სტუმრისაგან გავიგე თქვენი მისამართი და გთხოვთ დაგეხმაროთ — ჩემი ქართველი მეგობარი მინდა მოეძებნო, რომელიც ბრძოლის ველზე დაგვარგე. მას შემდეგ აღარ ვიცი რა ბედი ეწვია. თუ შინ ველარ მობრუნდა, იქნებ მისი ოჯახი მაინც ეპოვნო, რომ მოვიხსნა მისი კერა. საქმე შემდეგშია: ქართველი არტილერისტი გიორგი გელაშვილი, რომლის მამის სახელი და მისამართი აღარ მახსოვს, ომის დაწყებისთანავე შორეულ აღმოსავლეთში გავიქანა, მაშინ იგი ქვემეხის გათვალს მეთაურობდა. ცხრაასორმოცდა ორი წლის მარტში დასავლეთის ფრონტზე გადმოგვიყვანეს და ერთ ასეთში ჩავვრიცხეს. მე ოცეულს ვმეთაურობდი, გიორგი კი ათმეთაური იყო.

ბევრჯერ მოვიგვირეით მტრის გაათრეული შემოტევა და ბრძოლის ველზე მრავალი ტანკი და ქვემეხი დავატოვებინეთ. ქალაქ კახოვსთან გარემოცვაში მოვყევით. ილეოდა საბრძოლო მასალა, შეუკოტავდა მეომართა რიცხვი. უმწეო მდგომარეობაში ჩავარდნენ დაჭრილები.

მტერი წინადადებებს გვაძლევდა დაგვინდითო, მაგრამ მეზობლებს შორის სულმოკლე არავინ აღმოჩნდა.

გადაწყვეტილთ გამომგვრდნენ მტრის რკალი. როგორც კი სიბნელე ჩამოწვა, გიორგი ტყვიამრქვევით საიმედოდ ადგილას ჩასაფრდა. მე ოცეულს წინ გავუძეხე. გელაშვილი ძლიერი ცეცხლით გვიფარავდა. მტრის რკალი გავარდნივით და გათენებისას ჩვენთანგებთან ვიყავით.

მომდევნო ბრძოლაში გიორგი დაიჭრა და პოსტიტალში წაიყვანეს. მალე მოიწერა წერილი უკვე გამოგვანმრთელდი და ამ დღეებში თქვენთან ვიქნებო, მაგრამ სანამ იგი ოცეულში მოვიდოდა, მეც პოსტიტალში გამგზავნეს.

ასე დაეშორდით ერთიმეორეს. მას მერე ძალიან დიდი ხანი გავიდა, მე მაინც დავეძებ ჩემს მამაც მეგობარს და აი ახლა თქვენ გაწუხებთ, — იქნებ გამოგოთ მისი ასავალ-დასავალი“.

წერილმა დრმად დამაფიქრა. ვინ იცის, საქართველოდან რამდენი გიორგი გელაშვილი იყო ფრონტზე, გელაშვილები ძალიან დიდი გვარია. ისინი ქართლშიც ცხოვრობენ, კახეთშიც, ხევშიც, იმერეთშიც...

ისევ ტელეგრაფი მოვიშველიე, და აი, ცისფერმა ეკრანმა ამ მაქაც ქართველ მეომარს საშურის რაიონის სოფელ უწლივში მიაკვლია.

გიორგი ახლა 70 წელსაა გადაცილებული, მაგრამ ისევ მხნედ არის. სუსთი შვილი და ცაშტი შვილიშვილი მყავს.

გიორგი სახლის დირეჯ იყო ჩამომჯდარი, როცა უთხრეს, რომ ტელეგრაფში ვადმოსცეს — ყოფილი მეთაური ჩარიკოვი ეძებს თავის ფრონტულ მეგობარს გიორგი გელაშვილს, ეს თქვენ ხომ არა ხართო.

— უბ, შინ ვენაცვალე, ბიჭო, ცოცხალი ვადარჩი? აცნობეთ ტელეგრაფს, რომ ეს მე ვარ, მეც ბევრი ვეძებ ჩემი მეთაური, მაგრამ ვერაფერი გავიგე, დაღუპული მეგობარო, — თქვა გიორგიმ და სისხარულის ცრემლი მოიწმინდა.

მოსუტვა შვილებს მოუხმე: — ამაზე დიდი სიხარული, სიხერის უამს რა უნ-

და მქონდეს, აბა გაშალეთ ბურ-მარლი, მეზობლებს დაუძახეთ, ვადღეგრძელოთ ეს ბედნიერი დღე, ჩემი მეგობრის ხელახალი დაბადების დღე...

დიდი ხნის უნახავ მეგობარს მალე ჩარიკოვიც ესტუმრა, მშათეფიცულებმა სასიხარულო ლხინით ცამდე ასწიეს ტერი.

შემდეგ გიორგი და მისი ოჯახის წევრები ესტუმრნენ ჩარიკოს სტავროპოლში. მამათა მეგობრობას შვილები აგრძელებენ.

* * *

იდგა მრისხანე ორმოცდასამი წლის იანვარი. ფრონტებზე დიდი გარდატეხა დაიწყო, — სტალინგრადის გმირმა დამცველებმა 1942 წლის 19 ნოემბერს გატეხეს მტრის წინააღმდეგობა, საბოლოო იერიშზე გადავიდნენ და ალყაში მოაქციეს ფელდმარშალ პაულუსის 630-ათასიანი არმია; თავი ისახელეს კავკასიის დამცველებმა — 8 იანვარს გაანადგურეს ფაშისტური გენერლის იუნგზულციის სამხედრო შენაერთები და საბოლოოდ გაათავისუფლეს ქალაქი მოზდოკი, დარიალის გმირმა დამცველებმა სძლიეს ფაშისტური გერმანიის მე-17 არმიას და შორს დასავლეთისაკენ გაირქვეს.

რაკი ფაშისტურმა არმიებმა ჩრდილოეთიდან ვერ შეესძლეს გაჭრილიყვნენ ბაქოსაკენ, „ფიურერმა“ სამხრეთის ფრონტის ქარებს უბრძანა გამაგრებულიყვნენ ყირიმის ნახევარკუნძულზე, შეენარჩუნებინათ საბოლოო ქალაქი ნოვოროსიისკი, გაბატონებულიყვნენ შავი ზღვის აუზში და აქედან დაეწყათ ახალი იერიშები.

მტრის ამ განზრახვას თავისი გეგმა დაუპირისპირა საბჭოთა არმიის მთავარსარდლობამ და მე-18 არმიის სარდალს კონსტანტინე ლენელიძეს უბრძანა მოეხდინა თავისი ქარების კონცენტრაცია ტუაფსის რაიონში და მოემზადებინა გაბედული საზღვაო დესანტი ნოვოროსიისკის სამხრეთით მდებარე მისხაკოს კონცხზე გადასახმელად, რომელიც პლაცდარმს მოაშენებდა მთავარი ძალების გადასხმისათვის.

პირველი გაბედული დესანტისათვის მეზღვაურებისაგან შეიქმნა ბრიგადა მათორ ცუზარ კუნძოვის მეთაურობით, რომელშიც მოქმე ხალხთა შვილებთან ერთად იყო ორი ჩვენი თანამემამულეც — სოსუმელი ოთარ ჭაიანი და მცხეთელი შალვა თათარაშვილი.

8 თებერვლის ღამით 275 მეზობლისაგან შემდგარი კუნძოვის სადესანტო რაზმი კაბარდინსკაიას მიადგა.

მეზღვაურები ფიცს ღებულობდნენ და საბრძოლო კატერებში სხდებოდნენ. შუალაშე გადასული იყო, რომ რაზმის სომადლებმა კონცხ მისხაკოს ნაპირს მიადწიეს. ნაპირზე წყალი თხელი იყო და კატერები შორს გაჩერდნენ. მეზღვაურებმა წყალში გასცურეს და სმელითვე ამოსულნენ ციფქარში ზედ შემოაყენა ტანსაცმელი. დაკავებულ ზღუდზე დიდხანს რომ გაჩერებულიყვნენ, მეზობლები სიცივით გაითოშებოდნენ. საჭირო იყო მოძრაობა. მაშინ კუნძოვმა თათარაშვილი იხმო და უბრძანა შეტევის მანიშნებელი მაშხალა აეშვა.

ნიშანზე მეზღვაურები წამოიშალნენ და მტრის სანგრებში შევიდნენ, სიშითა და ხელის ყუმბარებით მოსპეს მტრის თავდაცვა და სამხრეთისაკენ გაიქრნენ. ხელჩართული ბრძოლა სამ დღეს გაგრძელდა.

რაზმმა ამოცანა შეასრულა — მთავარი ძალების



ნიკოლოზ ჩარიკოვი და გიორგი გელაშვილი.

გადასახმელად პლაცდარმი მოაშენა. 225 დღეს გრძელდებოდა მტერთან უთანასწორო ბრძოლები ამ ერთი ციციქნა კონცხზე, რისთვისაც მას მეზობლებმა „მცირე მიწა“ უწოდეს და იგი დიდი სამამულო ომის ისტორიაში ამავე სახელით შევიდა.

15 თებერვლის შუადღე იყო. ბრძოლა მიწყნარდა. მეზობლებმა, როგორც იტყვიან, მუხლი ჩახარეს, საბრძოლო საჭურველი წესრიგში მოიყვანეს, ორცხოხილათი და ძეხვით დანაყრდნენ.

მოულოდნელად შალვა თათარაშვილმა იკითხა: დღეს რა რიცხვიაო. როცა უთხრეს 15 თებერვალიაო, გაიღმა და თქვა: დღეს ჩემი დაბადების დღეა, ოცდასამი წელი შემისრულდაო.

ახლომხლო სანგრებიდან მეგობრებმა შალვას დაბადების დღე მიულოცეს და პირობა მისცეს, რომ მისი დაბადების ანგარიშში დღეს თითო ფაშისტს მაინც გაისტუმრებდნენ საიქიოს, ხოლო მის გვერდით მყოფმა პეტრე ვერერმაჯინმა შალვას ოცდასამი ვაჟა გადაუთვალა.


— დღეს ამდენი მტერი გაისტუმრე საიქიოს, ხოლო როცა ნოვოროსიისკს გავანათავისუფლებთ იქ ადვინიშნით შენი დაბადების დღე...

პეტრემ ძლივს მოასწრო ამის თქმა, რომ ფაშისტებმა ინტენსიური ცეცხლი გახსნეს და შეტევაზე გადმოვიდნენ. ჩვენებმა მალე ხელთ იგდეს უბრატესობა და მტერს კონტრშეტევის უპასუხეს.

ხელჩართულ ბრძოლაში პეტრე მძიმედ დაიჭრა ხელსა და ფეხში, სისხლისაგან იცლებოდა. მედციკის და გალია ვორონინა სხვა დაჭრილების დახმარებით იყო დაკავებული და პეტრემდე ვერ მოაღწია. შალვამ მეგობარს ტრილობები შეუხვია, ყუმბარებისაგან ამოთხრილ ორმოში მოაფარა და კვლავ ბრძოლაში ჩაება.

ცოტა ხნის შემდეგ შალვაც დაიჭრა, მაგრამ მეგობარზე ფიქრი მაინც არ ასვენებდა. როცა პეტრე თავშესაფარამდე მიხობდა, უკვე გრძობას ჰქარავდა. საჭირო იყო საშედიციწო დახმარება და მისი „იდე მიწაზე“ გაგზავნა.

შალვამ ძალღობი მოიკრიბა. მეგობარი ზურგზე მოიკიდა და ზღვისპირისაკენ მუცელზე ხოსვით გასწია. ეწვოდა ტრილობა, მაგრამ მეგობრის გადარჩენის სურვილი ძალას მატებდა. ღია ადგილას მდინარეზე გადასახველი იყო, რომელიც ფაშისტებს გამოთოფილი ჰქონდათ. ქართველმა ვაჟკაცმა ხიფათი არაფრად ჩააგდო. გაბედულად გახობდა წინ. და ის იყო, იწვილა მტრის ტყვიამ. გადარჩა მეომარი. მეორე, მესამე... და აი ერთმა მათგანმა დახვდა თემოს თავი, მაგრამ შალვა მაინც არ შეჩერებულა. სიკვდილთან კიდილში ქარ-



სოსო ხვედელიძე და ზაგირა მაგომელოვი.

აქ კი ველარ მოითმინა სერაფიონ ხვედელიძემ: „ჩვენ თუ ემაგრე ხელი ავუქნიეთ, მართლაც წავლენ-წამოვლენ აქეთ-იქით. მოდი, ჩვენი და მაგათი მეგობრობის ხათრით ეს ბიჭი სკოლაში მიიღე. ჩვენი მეზობლები არიან და ჩვენვე უნდა მოვუვაროთ“. გასტრა კახელი გლეხკაცის რჩევამ და ჭიკაძის საშუალო სკოლის მოსწავლე გავხდი.

მე, სოსო და ჭემალი სულ მუდამ ერთ კლასში, ერთიმეორის გვერდით ვისხედით. საუზმისათვის მე ყველი მომქონდა, იმათ კი პური. საშუალო სკოლაც ერთად დავამთავრეთ და საბჭოთა არმიაც ერთად გავვიწვიეს.

— იქნებ პოლკშიც ერთად იყავით?

— არა, მაგრამ მე და სოსო არმიიდან ერთად დავბრუნდით და თელავის პედინსტიტუტში ერთად ჩავაბარეთ გამოცდები. ქულებიც თანაბარი მოვაროვეთ, მაგრამ მე ჩამრიცხეს, სოსო კი არა. როგორც შემდეგ გამოირკვა, მიმღებმა კომისიამ ასეთი არგუმენტით იმართლა თავი: „ჩვენს ლეკებსაც ხომ უნდა ჰყავდეს თავისი პედაგოგებიო“. სოსომ მეორე წელს თბილისის პოლიტექნიკურ ტექნიკუმში დაიწყო სწავლა, ამჟამად სარემონტო კანტორაში მუშაობს ინჟინრის თანამდებობაზე. მე და სოსო დღესაც ვმეგობრობთ, ჭირშიც და ლხინშიც ერთადა ვართ.

სოფლები — თივი და ჭიკაძანი — ერთმანეთს ესაზღვრება, ერთში ლეკები ცხოვრობენ, მეორეში — ქართველები. ერთშიც ისეთივე ზვრები, ისეთივე კოხტა აივნისანი სახლები, ისეთივე მაღაზიები და სკოლაა, როგორც მეორეში. სოფელი თივი ჩამოხიზნულმა ლეკებმა დააარსეს და სწორედ ამ სოფლის რვაწლიანი სკოლის დირექტორია ამჟამად თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული ზაგირა მაგომელოვი.

— ჩვენი ბავშვები ყველა საგანს ქართულ ენაზე სწავლობენ, პარალელურად მშობლიური ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებიც ეძლევათ. წიგნები მშობლიურ ენაზე ჩვენ თვითონ ჩამოგვაქვს და დავსტინდინდებ; მომავალ წლიდან საქართველოს განათლების სამინისტრო თვითონ მოგვა-

მარაგებს ამ წიგნებით. პედაგოგების უმეტესობა ქართველები არიან.

— დალესტანში ხომ რვა თუ ცხრა ენაზე ლაპარაკობენ. რომელია თქვენი მშობლიური ენა?

— ავარიული.

— რასულ გამშათოვიც ხომ ამ ენაზე წერს, — ვუბასუხე და ჩემი „ერუდიცია“ უცბად გამოვამუშავებ.

— დიას, დიას, — მიპასუხა კმაყოფილებით, კარადა გამოალო, ერთი წიგნი გადმოიღო და მე გამომიწოდა.

— მცირედზე უარს ნუ მეტყვიან და რასულის „ჩემი დალესტანი“ მიიღეთ ჩემგან საჩუქრად. გუშინწინ ყვარლის წიგნების მაღაზიაში ვიყიდე რამდენიმე ცალი.

„ჩემი დალესტანი“, და ისიც ქართულ ენაზე, მართლაც კარგი საჩუქარი იყო.

თარსან არჩიბაძე

ზაგირა მაგომელოვი თავის მოსწავლეებთან.



— ვინმე თუ გყავთ დალესტანში?

— როგორ არა, უფროსი ძმა. ჩვენ, საერთოდ, თარატის რაიონის სოფელ შიდიბიდან ვართ.

— დიდი ხანია არ გინახავთ იქაურობა?

— არც ისე დიდი ხანია. მაგრამ გულახდილად გეტყვი: ორ-სამ დღეზე მეტს იქ ვერა ვძლებ, მე ხომ აქ, კახეთში დავიბადე და გავიზარდე.

მართლაც, ზაგირა მაგომელოვის სამშობლო კახეთია, იგი 1938 წელს დაიბადა ყვარლის რაიონის სოფელ ჭიკაძანში.

— ქართველ ბიჭებთან ერთად ვიზრდებოდი, ჩემი განუყრელი მეგობრები სოსო ხვედელიძე და ჭემალ ცერცვაძე იყვნენ. სკოლაშიც ერთად მიგვიყვანეს, მაგრამ სასწავლო ნაწილის გამგემ ჩემს მიღებაზე ხვედელიძის მშობლებს უარი უთხრა: „ეგენი დღეს აქ არიან და ხვალ ვინ იცის სად იქნებიან, მე კი ბავშვი განთესვაში ჩამეთვლებო“.

თველი მეომრის გამბედაობამ გაიმარჯვა — მძიმედ დაჭრილი მეგობარი ზღვის პირას, სანიტარულ ბატალიონში მიიყვანა. იქ ორივეს შეუხვიეს ჭრილობა.

ერთ დღეს შალვა თათარაშვილმა ბრძოლის ველზე მეგობრის წერილი მიიღო: „გამარჯობა ძმაო შალვა! მე არ ვიცი მიიღებ თუ არა ჩემს წერილს. მადლობას გიხდის ჩემი სიცოცხლის გადარჩენისათვის. მე ახლა ქალაქ ერევანში ვწევარ, ჰოსპიტალში და კარგად ვგრძნობ თავს. ვწუხვარ, რომ ალბათ ვეღარასოდეს ჩავდგები მებრძოლთა რიგებში. მოკითხვა ჩემს მებრძოლ მეგობრებს“.

შალვამ ქალაქი და ფანქარი მოიშარჯვა. იმჟამად მისი და მარამი, დედასთან ერთად, თბილისში ცხოვრობდა. შალვამ დას პეტრე ვერეშაგინის მისამართი გაუგზავნა და მისწერა:

„ჩემო მარო, ეს კაცი ჩემი მებრძოლი მეგობარია, ძალიან გთხოვ ინახულო და მოუყარე როგორც საკუთარ ძმას, როგორც მე მომივლიდი. მან უნდა იცოცხლოს...“

დამ შეასრულა ძმის თხოვნა. ჰოსპიტლიდან გამოწერის შემდეგ პეტრე თბილისში წამოიყვანა და სამ თვეს თავის სახლში ამყოფა. დედა-შვილმა პეტრეს მართობა არ აგრძობინეს, გამოაჯანმრთელეს და იგი კვლავ მებრძოლთა რიგებში ჩადგა. ვერეშაგინი საძულველ მტერს ბერლინამდე მიჰყვანა და ნანატრი გამარჯვება თანამებრძოლებთან ერთად იწვიმა.

1948 წლის აგვისტოში ომგადახდილი მეზღვაური შალვა თათარაშვილი მშობლიურ კერას დაუბრუნდა.

ერთხელ, როცა ჩვენს დედაქალაქში „მცირე მიწის“ ბრძოლების მონაწილენი ტრადიციულ შეკრებაზე შეგხვდით ერთიმეორეს, შალვამ პაკეტი გამომიწოდა და მითხრა — წაიკითხე, პეტრეს დის წერილიაო.

ვერეშაგინის და, ნინა იწერებოდა:

„ძვირფასო ქართველო მეგობრებო! მე თქვენ პეტრესაგან გიცნობთ... თქვენი გულის სიკეთესა და სითბოს ჩვენ არასოდეს არ დავვიწყებთ.

მადლობა თქვენ, შალვა დავითის-ძე, თქვენც

მარიამ დავითის ასულო, მიიღეთ უბრალო რუსი ქალის დაგვიანებული მადლობა. ომმა მე ორი ძმა წამართვა, მესამე კი თქვენ გადაიარჩინეთ...

ჩვენ დღემდე უშედეგოდ ვეძებდით ქართველ მეგობარს. არ ვიცოდით გადაურჩა თუ არა მტრის ტყვიას. და აი, არც ისე დიდი ხნის წინ გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ საშუალებით შევიტყვეთ, რომ შალვა დავითის ძე ცოცხალია და ჯანმრთელი, მუშაობს თავის მშობლიურ ქალაქში სკოლის დირექტორად. ჩვენს სიხარულს საზღვარი არა აქვს, ჩვენი ქართველი ძმა ცოცხალია, მან ხომ ჩვენი პეტრე გადაარჩინა!

გმაღლობთ მისი სიცოცხლისათვის, ჩვენი ჩაუქრობი სიხარულისათვის. ამიერიდან მე ორი ძმა მყავს — პეტრე და შალვა. თქვენი და ნინა“.

კითხულობ ამ წერილს და მთელი არსებით გრძნობ, თუ რა დიდი ძალა აქვს საბჭოთა ხალხების მეგობრობას, რომელმაც სძლია ყოველგვარ განსაცდელს.

გიორგი გოჩიაშვილი



ხალხის დიდი საუწყა


განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ დიდი უარადღება მიიქცია საბჭოთა კავშირში შემავალი ერების ნაციონალური კულტურის ძეგლების დაცვისა და მეცნიერული შესწავლის საქმეს. დიდი ლენინის თაოსნობით 1922 წლის 20 ივნისს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება. რომლის საფუძველზე საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას გადაეცა სამუზეუმო და საარქივო კოლექციები, ძველი ქართული ხელნაწერები, ხელოვნების ნიმუშები, რომლებიც წადებული იყო საქართველოდან მეფის მთავრობის მიერ და ინახებოდა პეტერბურგის არქივებსა და მუზეუმებში. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკიდან და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საჯარო მუზეუმიდან მიღებული იქნა ქართული ხელნაწერებისა და ისტორიული დოკუმენტების ძვირფასი კოლექცია. ამას გარდა, საქართველოს გადაეცა ძვირფასი საგანძური, რომელიც ინახებოდა ბოტკინის კოლექციაში, ქართული რელიგიური ქანდაკების თვალსაჩინო ნიმუშები და სხვ.

1944 წლის მიწურულში საფრანგეთის მთავრობამ საბჭოთა მთავრობის მოთხოვნის საფუძველზე საქართველოს დაუბრუნა ის დიდი ისტორიული მნიშვნელობის განძი, რომელიც წადებული იყო ჩვენი ქვეყნიდან მენშევიური მთავრობის მიერ 1921 წელს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაძაბული მუშაობის შედეგად შეკრებილ იქნა ქართული კულტურის, ხელოვნების, ძველი მწერლობის თვალსაჩინო ძეგლები, რომლებიც მანამდე ინახებოდა ქართული კულტურის ცალკეულ ძველ ცენტრებში. ამ ახლად შეკრებილი სამუზეუმო კოლექციების რაციონალური განაწილების შედეგად 1934 წელს ჩამოყალიბდა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, რომლის კოლექციებში დაცულია ქართული ხელოვნების მსოფლიო მნიშვნელობის ნიმუშები, რუსეთის, დასავლეთ ევროპის და ირანის ხელოვნების უნიკალური ძეგლები. მუზეუმის მუდმივი ექსპოზიცია ხუთი ძირითადი განყოფილებისაგან შედგება, რომელთა შორის ახალი და საბჭოთა პერიოდის ქართულ სახვით ხელოვნებას მთავარი ადგილი უჭირავს. ქართული საბჭოთა ხელოვნების ყველა დარგი აქ წარმოდგენილია სრული სახით.

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის მთელი კოლექციები თავდადებით ემსახურება მშობლიური ხალხის კულტურასა და სახვითი ხელოვნების ნამდვილი საუნჯის დაცვას, ზრუნავს გამაღიაროს სამუზეუმო ფონდები ახალი ექსპონატებით, ცდილობს მუზეუმის საგანძური მისაწვდომი გახადოს ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფართო მასებისათვის.

აკად. შალვა ამირანაშვილი



მოწინავე ტექნიკის ძველად


1921 წელს, როცა თბილისის ცაზე აფრიალდა სოციალისტური რევოლუციის დროშა, მე საქართველოს ფარგლებს გარეთ ვიძულებოდი. როგორც კი შევიტყე ეს სასიხარულო ამბავი, მაშინვე გამოვემგზავრე ჩემს მშობლიურ ქალაქ თბილისში, რათა მთელი ჩემი ძალ-ღონე და ცოდნა მიმეცა უდიდესი საქმისათვის — საქართველოში საბჭოთა წყობილების განმტკიცებისათვის. მომდევნო წელს შეიქმნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელშიც საქართველოც შევიდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველო. სხვა მოძვე რესპუბლიკებთან ერთად, დადგა ტექნიკის სწრაფი განვითარების გზაზე — დაიწყო შენობების, ნაგებობათა და გზების სწრაფი ტემპით მშენებლობა; ამას მოჰყვა პირველი ელსადგურები — ზაშქის და რიონის. ინჟინერი-ინტელისტები არა მარტო მშენებლობით იყვნენ გატაცებულნი, არამედ დიდ უარადღებას უთმობდნენ კადრების მომზადებას, რაც ასე აუცილებელი იყო მშენებლობის ტემპების გაზრდისათვის; შედეგად არ დაყოვნა. უმოკლეს დროში საქართველო დამშვენდა შესანიშნავი ნაგებობებით, მაღალი ლამაზი სახლებით, შესანიშნავი გზებითა და ხიდებით, ელსადგურებით და თბოელექტროსადგურებით.

ამჟამად შენდება ენგურის ჰიდროელექტროსადგური თაღვანი კახალით, რომლის სიმაღლე აღწევს 270 მეტრს. სამრეწველო ობიექტების მშენებლობამ წინ წასწია მრეწველობა. რომელიც სწრაფი ტემპით ვითარდებოდა. სასოფლო მშენებლობამ ააყვავა სოფლის მეურნეობა, შეიქმნა საქართველოს მდიდარი რესურსების გამოყენების ფართო შესაძლებლობა. საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლამ მოითხოვა დიდი რაოდენობით სასკოლო შენობების მშენებლობა.

ამის შედეგად, შედარებით მოკლე დროში, 50 წლის მანძილზე საქართველო იქცა მოწინავე ინდუსტრიისა, სოციალისტური მიწათმოქმედებისა და მაღალი კულტურის ქვეყნად; მომზადდა სოციალისტების დიდი არმია, რომელთა მეშვეობით რესპუბლიკა წინ გასწევს უფრო დაჩქარებული ტემპებით და ჩვენც არ დავიშურებთ არც ძალასა და არც ცოდნას იმისათვის, რომ მუდამ ვიყოთ ჩვენს წინაშე წამოჭრილი ამოცანების დონეზე.

აკად. პირიბა ზაპრიაძე, საქართველოს სსრ მეცნიერების და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე.



გილოცავთ, მეგობრებო!

აკაც, ჩვენთან, ამ მაღალმთიან პატარა სოფელ ახალბიულაში ბევრია ისეთი მაგალითი, რომლებიც ჩვენი ხალხების უნაგარო მშობაზე და სიყვარულზე დადიან.

ანა ბალაბელი მზიურ მოლდავეთში დაიბადა და გაიზარდა; მეორე სამშობლო მან საქართველოში ჰპოვა. იგი ჩვენი სოფლის ძმური ოჯახის წევრია. ოთხი შვილი ჰყავს და მოწინავე კოლმეურნეების მხარდამხარ თავდადებით შრომობს, ყოველთვის დიდი გადაქარბებით ასრულებს წვეალდობის გებებს.

მოსკოველი ქალიშვილი ირა იანკოვსკია ახლა ჩვენი სოფლის პატარძალია. იგი ინსტიტუტში დაუსწრებლად სწავლობს და ჩაის ფოთოლსაც კრეფს. თავის ქებაში ნუ ჩამოხარბმევთ თუ ვიტყვი, რომ ირა ჩემი მოწაფეა და ჩემი დახმარებით შეისწავლა ეს მეტად რთული და საპატოო საქმე. მე ვამაყობ კიდევ ჩემი კარგი მოწაფით.

წარმატებებით ვეგებებით საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს, ამაზე ბევრი საგულისხმო ფაქტი მეტყველებს.

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენი სოფლიდან რამდენიმე კომლი აიყარა და ქალაქში გადასახლდა. გავიდა ხანი. ჭერ ერთი კომლი ამობრუნდა სოფელში, მერე მეორე. ბოლოს კი ყველამ ისევ სოფლისაკენ იბრუნა პირი და შრომის საერთო ფერხულში ჩება. ცხადია, ეს აღამიანები მარტო სოფლაშია და მშობლიური კუთხის სიყვარულმა როდი დაუბრუნა სოფელს.

უკანასკნელ წლებში ჩვენი სოფელი კიდევ უფრო აყვავდა და გაიფურჩქნა. გავიყვანეთ გზები, ავადებთ ხიდები, კეთილმოვაწყეთ სოფელი, მრავალი ახალი საცხოვრებელი სახლი და კულტურული საყოფაცხოვრებო დაწესებულება ავაშენეთ. განვლილმა ნახევარმა საუკუნემ ისე შეცვალა სოფელი, ვეღარ იცნობ. და განა ეს მარტო ჩემს სოფელში მოხდა? ასეთი სურათია ყველგან, მთელ საქართველოში, დიდი საბჭოეთის მთელ მიწაწყალზე.

თავდადებით ვშრომობთ და შრომაც კარგად გვიფასდება. მარტო ჩემმა ოჯახმა შრომის ფულადი ანაზღაურების სახით 10 ათას მანეთამდე მიიღო. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ჩემი ოჯახი ხუთი სულიდან შედგება და ხუთივე კოლმეურნეობაში ვმუშაობთ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და უფრად „დროის“ მკითხველებს, მთელ ჩვენს ხალხს გულითადად მივულოცო დიდი დღესასწაული — საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავი. სულითა და გულით ახალ წარმატებებსა და ბედნიერ ცხოვრებას გისურვებთ. მეგობრებო!

მანინა ბაღინია,

ხობის რაიონის სოფელ ახალბიულას კოლმეურნეობის მუშაი.

ამბობენ, თითქოს მთელ მსოფლიოში, პერიფერიებიდან დაძრული სამგავ-
რო მატარებლები დედაქალაქებში დილით ადრე შედიან. თუ ნამდვილად ეს
ასეა, მას საქართველოს მაგალითიც ადასტურებს.

თბილისშიც თითქმის ყველა სამგავრო მატარებელი დილით შემოდის
ბოლომდე.

რა შორ და რთულ მანძილს არ გამოვიდნენ ისინი, ერთმანეთს გადაჭაყუ-
ლი, ლითონის თვლებზე შემდგარი მუქ-მწვანე სახლები!

ბევრი მგზავრი პირდაპირ დაწესებულებებს მიასურებს, ზოგი სასტუმროს
ეხსენება, სხვები ნათესავ-მეგობრებს ინახულებენ... დამით კი მოპირიან მატა-
რებლები შორით-შორითიდან და ელექტროფარებთან ერთად ღამის ჰკვეთს
მემანქანის ფხიზელი თვალი.

ღიახ, მგზავრებო, ეს მან გაფრინათ ელექტრონით ნაკვები მერანით. რახა-
ნია საქართველოს რკინიგზებზე აღარ არის მასუთის ბოლიანი, ქვანახშირის
ქვარტიანი ორთქლმავლები.

ქართველი ხალხის ნახევარსაუკუნოვანი შრომის ნაყოფია ჩვენს მიწაწყალ-
ზე აგებული საქვეყნოდ განთქმული შიდროელექტროცენტრალები და თბო-
ცენტრალები. ელექტროენერგია დააქროლებს ახლა უამრავ მატარებელს მა-
გისტრალებზე. სულ რაღაც ხუთიოდე საათში, გამოძინებასაც რომ ვერ მოას-
წრებთ ვაგონში, ჩვენი სამშობლოს ერთი კიდიდან მეორეში ხართ; მაშინ რო-
ცა ამ გზის გავლას უწინ სამი-ოთხი დღე სჭირდებოდა. ან რა ხატულა გუე-
ბია, რა ფერები და რა სანახები სწორუბოვარ, მშვენიერ ბუნების წიაღში
მიემართებიან ღიანდაგები.

ეს მშვენიერება ერის ერთობლივი ნიჭის აღმასიბა და საცადელით შეგ-
ვიქმნია, გამარჯე შრომის ფასად მოგვიპოვებია. მარჯვე შრომამ გაამდიდრა
და დაავუკაცა საბჭოთა რკინიგზა. დღეს ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს,
დიდი საბჭოთა კავშირის რომელ კუთხეში არ ნახავთ თბილისურ ელმავლებს.
შორს გაითქვეს სახელი ელმავალმშენებელმა ინჟინრებმა, ხელოსან-ოსტატებმა.
მათ სამშობლოს სამსახურში გაჯიბრებიან მემანქანეები, რომლებიც დღითა
და ღამით დააქროლებენ სამგავრო, თუ საბარგო მატარებლებს. ნუ იფიქ-
რებთ, რომ ისინი რაღაცა განსაკუთრებული ყაიდისანი იყვნენ. თბილისის სა-
ლოკომოტივო დეპო. დიდი წარსულის, ნათელი აწმყისი და უფრო კარგი
მომავლის მქონე უბანია. ელექტროდეპოს მრავალრიცხოვანი კოლექტივი მუ-
შათა რევოლუციურ ტრადიციებზე აღზრდილი, გამობრძმედილი კოლექ-
ტივია.

საბჭოთა კავშირში პირველად საქართველოს რკინიგზაზე აიდგა ფეხი
ელექტროლოკომოტივი. თბილისმა კიდევ უფრო მეტი გაბედულება გამოი-
ჩინა: ახლა აქ ჩინებული ელმავლები შენდება.

— ჩვენებური, ქართული ლოკომოტივები, — სიამაყით ამბობს სალოკო-
მოტივო დეპოს უფროსი იგორ მელქაძე, — ქართველი ტექნიკურად მოაზ-
როვნე ინტელიგენციის დაუღალავი შრომის ნაყოფია. ეს მძღავრი, ლაშაზი
მანქანები ყოველ პირობებში თამამად მუშაობენ. საქართველოს ფო-
ლადის გზებზე, თბილისური ლოკომოტივების წინმძღოლობით, პირველ ტექნი-
კურ, ტვირთიძვის უნარიანობის გამოცდას აბარებენ მოსკოვში, უკრაინაში,
გნებავთ ურალში ანაგები ელექტროლოკომოტივები. თუკი საქართველოს
რკინიგზებზე ივარგა მანქანამ, მასხადადამე ის ყველა სხვა გზაზე გამოდგება.

ტექნიკურად უთამაგონებელია ამ ინჟინერთან გაბასება. ელექტროტექნი-
კის ამ შესანიშნავ მოღვაწეს ჭერ ოცდაოთხმეტი წელიწადიც არ შესრულე-
ბია დაბადებიდან. ერთი ნახეთ რა სახელგანთავსებელი უდგას სათავეში რთულ მეურ-
ნეობას. იგორს დამთავრებული აქვს როსტოვის სარკინიგზო ტრანსპორტის
ინსტიტუტი, დღესაც სტუდენტით სულ წიგნებს ჩასჩიჩინებს და კიდევ უფ-
რო ოღრმავებს ცოდნას. პრაქტიკული მუშაობა ხომ ყელამდე აქვს. დეპოში
ყველას ასწრებს მისვლას. ბაღღური თინით უყვარს დეპოს ყოველი მერე-
მონტე, მექანიკოსი, მემანქანე, მთელი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. დე-
პოს ხანდაზმულ თანამშრომლებთან ერთად შეხვედებით თექვსმეტ-ჩვიდმეტ-
წლიან ბიჭებს, ხელთ იარაღი რომ უპყრიათ. ეს ყმაწვილები, დღეს არა ხვალ,
რემონტის ოსტატები, მემანქანეები, ბრიგადირები დადგებიან. მათი დეპოში
მიზიდვა იგორის დაუღალავი ზრუნვის შედეგია. დეპოს თავი და თავი პერიო-
დული სამაქროს. მის ვეება ფარდულში დღე-ღამის განმავლობაში მალღმალ
შედიან მთებში და ველებზე სამგავრი ლოკომოტივები. მათ პირველ რიგში
მასპინძლობს პერიოდულ სამაქროს უფროსი, დახელოვნებული ოსტატი გაი-
ოზ იაკობიძე.

— მა, მოდი, აქ დადექ, გზაგამოვილილო. აბა, გნახო რა გუნებაზე ხარ? ხომ
არ დაიღაღე, ძმობილო? — როგორც სულიერს ისე შეებშიანება ელმავალს.

— ვაპ, ჭურთო! აქა ხარ? — გამოიხმარება მემანქანე და თითქოს მას-
პინძლის სიტყვები ლითონის შენობამ ისმინაო, ლოკომოტივი მორჩილად ჩერ-
დება გრძელი თხრისის ზემოდან. ცამეტ-თოთხმეტ კაცისაგან შემდგარი ბრი-
გადა კი „ჭურთს“ უკვე მზადა ჰყავს. მაშინვე შეუდგებიან ელმავლის შემოწ-
მებას. შესაკეთებელს შეაკეთებენ, განახლებენ...

გაიოზ იაკობიძე ერთი პირველთაგანია პერიოდულ სამაქროში. ამ შე-
გვრემანი ვაქაცის გარეშე ძნელია წარმოიდგინო პერიოდული სამაქრო. ეს ოს-
ტატი ყოველთვის რაღაც კარგს, სახიხარულოს გეტყვის, არც კეთილი რჩევა
ეზარება. ამხანაგებს ახარებს მისი მხიარული კალამბურები. შეგვგრძმანი რომ
არის, ამიტომ მოფერებით ჭურთს ეძახიან. მისი ნამდვილი სახელი ვის ახსოვს,
წედმეტით უნდა იკითხოთ.

გაიოზ იაკობიძეს რამდენიმე ბრიგადა ექვემდებარება.
— მეორე კომპლექსურ ბრიგადას ანდრია ივანეს ძე ჩიტიაშვილი მეთაუ-
რობს, — გააცნობთ გაიოზი ერთ ხანდაზმულ მერემონტს.

ჩიტიაშვილმა დიდი ხანია სამოც წელს გადააბიჯა. მოხუცი ოსტატი პენსიას
იღებს, მაგრამ წარმოებიდან გასვლა სულ არ უფიქრია, დასვენება უცხო
ხილია მისთვის. ვერც ომიდან მოყოლილმა კრილობებმა ააღვინებს ხელი საუ-
ვარედ საქმეზე; ვერც ხნოვანებამ დაჯახნა. ელექტრონისა და რკინის შემშობი-
ლებში ანდრია ვერაინ შეედრება. წინათ ორთქლმავალზე მუშაობდა. ორთ-
ქლმა ელექტრონამდე მოაცილა. ბაღღი მივიდა ორთქლის ქვაბთან და აგერ
სამოცდაათიც მალე გაუხდება. ორიოდ წელიწადი გამოაქლდა დეპოს. ეს ის
ორი წელიწადი იყო, როცა ანდრიას სამაქრო მასალებით დატვირთული მატა-
რებლები ფრონტზე მიჰყავდა.

ანდრია ჩიტიაშვილს მხარს უმშვენიებს პლატონ ალექსის ძე ცაცანაშვილის
ბრიგადა. პლატონიც პენსიონერი ვახდავთ. ანდრიას არც ხნოვანებით ჩამორ-
ჩება. არ ამხელს, თორემ უფროსიც არის. მან და ანდრია ჩიტიაშვილმა პირვე-
ლებმა მოიხელთეს ელექტროენერგიით მოძრავი მანქანების რემონტი. მათ-
ვე მოაწადეს ელექტროწვევის მრავალი ოსტატი. ამ დედაწლმოსილ ოსტატებს
არ აკლიათ სახელმწიფოს ყურადღება, ჩილდოები, ნაცნობ-მეგობართა სიყვა-
რული და პატივისცემა.

პლატონ ცაცანაშვილს გვერდით უდგანან მისი ვაჟები. ერთი გამოჩენილი
ოსტატია, მეორე სადაც არის ინჟინრად „ეკურთხება“, დიალომზე მუშაობს.
როგორც გაიოზ იაკობიძე ხუმრობს, მამის კონსულტაციით. პლატონის ქა-
ლიშვილი რკინიგზებზეა შეირთო; ცოლ-ქმარი ახლა ხაშურის დეპოში მუშა-
ობენ.

— ერთი მითხარით, — შევეკითხე პლატონს. — ვინ არ მუშაობს შენი ოჯა-
ხიდან რკინიგზაზე?

— მხოლოდ ჩემი მეუღლე. ვინმე ხომ უნდა იყოს შინ? შვილიშვილებსაც
მიხედვა უნდათ, — ღიმილით დაუმატებს ბედნიერი პაპა.

პირველ ბრიგადას იმავ სამაქროში აღზრდილი მემანქანე და ახლა უკვე და-
ბელოვნებული ინჟინერი ჭემალ რუსია ხელმძღვანელობს. ოცდათერთმეტი
წლის ინჟინერი სამაქროს თვალის ჩინია.

ანდრიასა და პლატონს უმაღლესი ტექნიკური განათლება არ მიუღიათ,
სწავლაში ხელი მოეცარათ, მაგრამ როცა პოლიტექნიკური სწავლება ფართოდ
გაიშალა, ორმოც წელს მიტანებულმა ოსტატებმა ისდა მოახერხეს ზინოვი ხა-
იკინის ნახაზებს დედაენასავით ადვილად კითხულობენ. ყველას ნაცვლად პლა-
ტონ ცაცანაშვილმა „იყარა გულისჩავრი მეცნიერებაზე“, თვითონ ვერ მისწვდა
მეცნიერების მწვერვალს და შვილებს ასწავლა.

ახლა მოდით ღიანდაგებზედაც ვაკვირეთ. დეპოში ნამოღვაწარი ფრლადის
გზებზე უკეთ ჩანს. იქ არის წარმოადგენილი მთელი მისი სახით თვითონ მან-
ქანა და მისი გამმართველი მემანქანის კაიკაცობა, ოსტატობა.

ლაგრენტი გორგაძემ მატარებელი ხაშურიდან სამტრედიაში ჩაიყვანა. შედ-
გენილობას მოხსნა ლოკომოტივი და დეპოში შეიყვანა გასახიჩქავად, ხომ არა-
ფერი წამოსტკივდაო. თვითონ თავის თანამემწით დასასვენებლად გასწია.
ამასობაში ბათუმიდან შემხვედრი მატარებელი შემოგრიალდა სადგურში. ვა-
გონებს კოლა ლაცაბიძის ელმავალი ჩაუბეს. მთელი მემანქანე საათით მუ-
შაობს. დაძვრის წინა წუთს კოლა ლაცაბიძე შემოუვლის თავის მანქანას, რო-
გორც მხედარი თავის ბედაურს, ისე უათვალეირებს, შედგენილობასაც გახე-
დავს. გრძლად გაწვილილა საბარგო მატარებელი, ბოლოში თვალს ვერ მიუწ-
ვდენ.

— კოლა ლაცაბიძეს მიყავს მძიმე წონის მატარებელი. — კმაყოფილად შე-
ნიშნავენ სამტრედიაელი რკინიგზელები. ამ თქმაში სიამაყე იგრძნობა, ამხანა-
გების სიყვარული და პატივისცემა. კოლა ლაცაბიძეს რთული უბნის მემანქა-
ნედ თვლიან რკინიგზაზე. კოლა ტანად საშუალო, ქერა, თვითგრძმანი, გონი-
ერი, აღმასიანი კაცია. საუბარი მოკლე ფრაზებით სჩვევია. მას რაღაც, თით-
ქოს თანდაყოლილი ქაღალკური ალღო აქვს, უმაღლე გაუგოს რკინა-ელექ-
ტრონის შემშობილებას მათთვის დამახასიათებელი ავ-კარგი. მასავით ბევრი
როლი ატარებს მატარებლებს რთულ უბანზე. სწორად გვიან, დაღამებისას
უწევს ხოლმე კოლას შინისკენ, ხაშურისაკენ, შედგენილობის წამოყვანა. სამ-
ტრედია-ზესტაფონის ღიანდაგები რიონის ჭაღებსა ჰკვეთს. ფარების სი-
ნათლემ შემაქვებლად პრიალებს ლითონის ორზოლი. აქეთ-იქით სოფლები,
ქალაქები, დაბები, უბრალო სადარაჯოებიც კი გაუნათებიათ. მგზავრს ეგონე-



ბა გაბდღვრიალბულ, ბუმბერაზ ხეივანში მივსრიალბო. საკვირველია, მაინც, სად არის ამდენი ელნათური, თითქოს ვაშლებივით ხშირად ჰქიდა ხის ყოველ გამოშვებულ ტოტზეო.

ლიანდაგის მხარდახარ, ხშირად მდინარეს მეორე მხრით რომ მოექცევა, რკინიგზას საავტომობილო გზატკეცილი მოყვება განუყრელი ძმასავით.

მომხიბვლელია ღამით მგზავრობა იმერეთის დაბლობზე. უკიდვანო ველებზე ქროლვა სიცოცხლის წყურვილს გიხელებთ.

ძირულა-ჩხერიმელას შესართავიდან ტყერ-ქვიშხეთამდე, სანამ ხაშურ-სუ-რამის ვაკეებს, ღორინაკალის მინდორს, წანწარა შოლას გადმოხედავ, ცთამდე აუუდებელი, მთლად ტყეებით შემოსილი მთების, ღრმულების, ქედების სამე-ფო იშლება. მთების ფერხითი, ფერდობზეც ვენახიანებით მოიკვლევს გზას მატარებელი.

სილამაზე, ამბობენ, ღებნის უფროსი დაი არისო, კოლამ ეს კარგად იცის. როცა მატარებელი უძნელესი ხეობის და უმშვენიერესი ბუნების წიაღში მი-კავს, ასი თვალი და ასი ყური აქვს გამოსხმული, სილამაზედაც ისა სწამს, რომ მგზავრები—დედები, ბალები, დიდ-პატარანი შინ მშვიდობით მიიუვანოს, შემ-ხვედრების აღტაცებული ყოინა გაიგონოს.

დაბლობის რკინიგზა თუ ერთხანს ვაკეებით მოდიოდა, ჩხერიმელას ხე-ბაში ის მკვეთრად შეიცვალა. ფოლადის ორძაფს, სულერთია მარჯვნივ ან მარ-ცხნივ, ბრაგუნის, ბუეთაბუნის, ლეღვან-ღვისის, მოლით-წიფის ბუმბერაზი, წიფლნარიანით და წიწვოვანით დაბურული მთები გადმოჰყურებენ. ხანდახან ისე გადმოხრილან, გეგონებთ ეს არის გადმოინგრივანი, მატარებელს ქვეშ მოიყოლებნო. გრძლად გაქიმულ გვირაბებს ყიფად მოხვეულები ენაც-ვლებიან. ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, ეს არის შედგენილობის თავ-მა მის ბოლოს პირი უნდა ჩაავლოსო. მერე, თუმცა სწორზე, მაგრამ კლდესა და წულის პირის ვიწრო გასასვლელში აღმოჩნდება მატარებელი. სურამის მთაგრეხილის ნაჟური, ნაკალმახარი ჩხერიმელა, რომლის წყალიც უსვამთ აღ-მოსავლეთის ქვეყნებში მოგზაურ ელინებს, რომელებს, ფრანგებს, პატარა და საშიშარი არ არისო, ნუ დაიჭრებთ. ხშირად, იმერეთის გამუდმებულად თავსხმა წვიმების დროს, სიგუფე წამოუვლის. მაშინ რაა მასთან შედარებით მოვარდნილი ღიახვი, ილტო, უვირიალი თავზე ხელაღებით მოდრიალებს, მოშ-ხუის. გზად ლოდებს მოაგორებს. ყუმბარებევით უშენს მათ ნაპირებზე ჩაშე-ნებულ დამბებს, ციხიანივით აძაგაგებს ხიდებს. გამძვინვარებულად მიუხტე-ბა ხოლმე კლდეებსაც.

კოლა ლაცაბიძეს არაერთხელ უნახავს ჩხერიმელას გადარევა. მდინარე კი ვერაფერს აკლებს მტკიცედ ნაგებ გზას ამ ძნელად გასატეხ ხეობაში. მემან-ქანე მაინც ფრთხილობს, თვალი ფხიზლად უქირავს, სმენა გაუმახვილებია.

მატარებელი რაც უახლოვდება ხაშურს, მით უფრო მალდა აწვდილან მთე-ბი. მით უფრო ხშირ კრიებზე, საშიშარ ციცაბოებზე გადადის მატარებელი. ახლა უკვე ამ ადგილებში მეორე წყვილი გზაც გაჰყავთ. მალე მატარებლები გზაზე ერთმანეთს ჩაუჭოლებენ და როგორც ზღვაში შემხვედური გემები, ისინიც საყვირით შეეხმინან ერთმანეთს, მშვიდობის გზას უსურვებენ.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო ერთი წუთითაც არ აკლებს უუ-რადღებს სალიანდაგო რთულ მეურნეობას. უღელტეხილებზე, ბევრში, ბო-გირების, ხიდების, გვირაბების მიხვეულ-მოხვეულების სამყაროში ტვირთსა-შიდავად ღრმად დაოსტატებული, ნაცადი მემანქანეები შეურჩევიათ. მიხეილ დანგაძე და ლავრენტი გორგაძე ლაცაბიძეზე ნაკლები ოსტატები როდი არიან.

მაგრამ ხეობა და რთული გზა უღვევი არ არის. აი განვლო წიფის გვირა-ბიც თბილისისაკენ მომავალმა მატარებელმა. გამოჩნდა შიდა ქართლის შუა-გული.

ღორინაკალის მინდორზე, რომელსაც ოდესღაც თავად ამირაჩიბების, ვეზი-რიშვილების, სუმბათაშვილების, კვალაშვილების, ციციშვილების მოურავე-ბი თბილისიდან გამოთვლით მეხუთე და უკანასკნელ მინდვრად მოიხსე-ნიებდნენ, ხაშური უნთებს ჩირაღდნებს ქართლის მალად ცას. ოდესღაც პატა-რა დაბა გაზრდილა. ერთი მხრით ქვიშხეთ-ტაშისკარს მიხმია, მეორით სურამს შეერთებია, აღმოსავლეთით ოსიანურს გადაჯაჭვია. ხაშურის ქუჩათა დახალი-ერთან ნელად მოდუღუნებს მტკვარი, ქართლის მოუწყინარი დედილო მდინა-რე. მოდით, ხაშურიდან მდინარის გაღმაც გაიხედეთ. ბორჯომის, ბაკურიანის, გუჭარეთის ნაადრევი თოვლით შეწათხული მწვერვალები აღმასებრ აუბრწყე-ნებია მთვარე-ვარსკვლავებს; მათ პირდაპირ ჭანლიან ღიბს ღამის ცისარტყე-ლები გადაგრაგნია. ჩრდილოეთით თეთრად ქათათებს ბრუტსაბქელა და მთელი კავკასიონი.

ამ ტილოზე გასულ საუკუნეში გაავლეს რკინიგზის ორზოლი ინჟინრებმა ჭორჭაძემ და შაბუღაგოვმა. მერე თავიანთი ნახელავი ისე მოეწონათ, რომ

ვენაში ალბომად გამოსცეს თავიანთი ნახაზები და ფოტოპირები. ამ ალბომის ნახვა რკინიგზის სამმართველოში შეიძლება, იგი ბიბლიოგრაფიულ იშვიათო-ბას წარმოადგენს.

ხაშურში კვლავ იცვლებიან მემანქანეები. აქეთ, დედაქალაქისაკენ ხშირად დიმიტრი ილურიძეს მოყავს მგზავრები. სასიამოვნოა ამ კაცის გაცნობა, მას-თან დაახლოება და საუბარი. უამრავი მედალი, ქების სიგელი და სხვა ჭილ-ღო მიუღია სანიშნო, თავდადებული შრომისათვის.

მეხუთე მინდვრის საკვანძო სადგურ ხაშურიდან ილურიძე მატარებელს ქართლის ტრამალებზე მოაქროლებს, მოიხწვრავს თბილისისაკენ. მართალია ამ გზაზე ისე დაძაბული არ არის მემანქანე, როგორც ხევ-ხუევების სახიფათო გზებზე, მაგრამ ილურიძეს ერთი წუთითაც არ ავიწყდება, რომ აქაც ასი თვა-ლი და ასი ყური უნდა ჰქონდეს. ასობით მგზავრი ხომ მას ენდობა, მას, ერთს!

აგერ მეოთხე მინდორიც. დოღლოურ-დედოფლის ვაკეები. დოღლოური მტკვრის ნაპირს გასდევს კარგა მანძილზე. დედოფლის მინდორი საღოლაშენ-არა-დეთის შემადგენელზე გაფენილა, პირი კავკასიონისაკენ მოექცევიდა. დოღლო-ურ-დედოფლის მიდამოებს სამხრეთით კიდეებზე შემოწკრივებთან მარცხნიდან თიღვის ჰაეროვანი კათედრალი, აწ დანგრეული ატოცის ძველი, თავლია კედლები. მარჯვნივ ხცისის და წრომის სავანეები. ქება არ უნდა ამ ადგილების სილადეს, ისტორიულ ძეგლთა თვალწარმტაცობას, ჰაერის სისაღეს, მიწის ნო-ყიერებას. დოღლოურისა და დედოფლის მინდვრებს ზედ აკრავს ქარელის ვა-კეები. ელექტრონით გაჩახახებულ კუნძულები გეგონებთ პურის მომ-წვევი, უძველესი სოფლები: მოხისი, რუხისი, ხვედურეთი, ვარდიგორა, ფლევე-ბი, შორს ჩორჩანა. მთლად სინათლეში ჩაყურყურულავებულა მტკვრის, ღია-ხვის, მეჭუდისა და ტანას შესაყარზე ღამაში გორი. მესამეს, ყველაზე დიდ სტეპს, ტირიფონას, თავის ლოკომოტივიდან ვეღარ დაგანახებთ დიმიტრი ილუ-რიძე. მას კერნაკის სერ-გორები ეფარება. სერ-გორებს იქით დიმიტრის სამ-შობლო — მეჭვრისხევია.

ზაბესის გამოცილებულზე დიღმისაკენ გაშლილია უბის მსგავსი ტაფობი — რიცხვით მეორე მინდორი. პირველზე კი, სადაც ახლა ავჭალა, თბილისის ზღვა და ნაძალადევი, მინდორი აღარ ითქმის. ის, რასაც გლდანელები, მამ-კოდლები ქვეყრილის ვაკეს იძახდნენ, ბუმბერაზ ფაბრიკა-ქარხნების სამო-სახლოდ ქცეულა. საელმავლო დეპოც იქ აუშენებიათ.

ილურიძეს თბილისში იმ დროს შემოჰყავს მატარებელი, როცა მზე წვერსა ჰკრავს ცის კაბადონს. ელმავალი მაშინვე შეტყავს დეპოს პერიოდულ სამაქრო-ში და რას ხედავს: გაიოზ იაკობიძეს, ანდრია ჩიტაშვილს, ჭემალ რუსიას. პლატონ ცაცანაშვილს თავისი ვაჟებით უკვე გაუჩაღებიათ მუშაობა.


— გამარჯობათ! — ეხმინება მათ ილურიძე.
— სიცოცხლე და გამარჯვება! — ერთხმად უპასუხებენ დეპოელები.

ილურიძეს წამით არ სცილდება მისი აღზრდილი ახალგაზრდა თანაშემწე დათა იგონინი. ეს ის იგონინია, რომლის მამა, გიორგი, ილურიძის მეგობარი მემანქანე, ფაშისტებმა მოჰკლეს და მისივე ორთქლმავლის ღუმელში ლაზო-სებრ დასწვეს. ძმადნაფიცს დიმიტრი ილურიძემ ვაჟი მამასებრ მემანქანედ გა-მოუწარდა. ახლა გვერდიდან არ იცილებს. რაც შეიძლო, ის პატივი დასდო ამხანაგის ნათელ ხსოვნას.

ილურიძის ფხედაფხე დეპოში მიხეილ დანგაძეც შემოვიდა. მანაც უმაღლე დააყენა ლოკომოტივი გასასინჯად. მაშინვე ჩაება დილის გუნებეირ საუბარში. მალე მათ შემოუერთდა დეპოს სახელოვანი ინჟინერი ზინოვი ხაიკინი. ამ მა-ლაკულტურული და ღრმად განსწავლული ინჟინრის ნახაზებით ფართოდ სარგებლობს დეპო ხაიკინი დეტალურად სწავლობს თუ როგორ მუშაობენ რთულ გზებზე მანქანეები. ჭგუფს უერთდება სწავ-საცხები მასალებისა და ელექტროენერჯის ეკონომიურად ხარჯვის მეთვალყურე ინჟინერი ონიკ ბო-იაჩიანი. მასზე ბევრი რამ არის დამოკიდებული დეპოში. ენერჯის და სწავ-ვის დაზოგვა მოძრაობაში ერთი მთავარი მუხლთაგანია. რალა თქმა უნდა, ასეთ თავშეყრას, რაც არაერთხელ უნებურად გადაქცეულა საწარმოო თათბირად, წამით არ დააკლდება იგორ მელქაძე. მას არა ურჩევნია რა ოსტატების, მემან-ქანეების, პარტიული მუშაკების, ინჟინრების შინაურულ საუბარსაც მოუსმი-ნოს ხოლმე.

ახლადშეკეთებულმა ნაწილებმა როგორ იმუშავებს? — ყველაზე მეტად ეს აინტერესებს ზინოვი ხაიკინს.

გაიოზ იაკობიძის, ანდრია ჩიტაშვილის, ჭემალ რუსიას, პლატონ ცაცანა-შვილისა და მისი ვაჟების მარჯვნივ ნამოქმედარი უკველთვის უძლებს მკაცრ გამოცდას, მათი ნახელავი უკველთვის საიმედოა. ეს სახელოვანი პლეადა ჩვე-ნი სახელოვანი მუშათა კლასისა მუდამ ღრმა რწმენითა და დიდი პასუხის-მგებლობით დგება ვახტზე. ისინი სიამაყის გრძობით ხვდებიან ნაჭად მემან-ქანეებს, რომლებმაც ღამის გზა გაიარეს და მზის ამოსვლას სახელოვან კო-ლექტივში — თბილისის საელმავლო დეპოში შეხვდნენ.



ეს ვინაა, სოციალისტური

ნამდვილი ამბავი

რაც თავი ახსოვს, ასე ბედნიერი არასოდეს არ ყოფილა ქეთო ბებია. ამაყად ყელი მოედრებინა, წელში გამართულიყო და ისე მიამბიჯებდა, როგორც ამ ორმოციოდე წლის წინ. გუშინდელივით ახსოვს ის დღე, საქორწილოდ რომ იყო გამზადებული, თეთრ კაბაში მორთული როგორ მიდიოდა სოფლის საბჭოში ხელის მოსაწვრად. უკან მეგობრები და ნათესავები მიჰყვებოდნენ, ყრიაშლით და სიცილ-ქოქოთით.

ახლა შავებში იყო ჩაცმული ქეთო ბებია, უკან არავინ მოსდევდა, დღეს სადილის თადარიგიც არ დაუჭერია; მაინც უხაროდა შინ მოსვლა — იქ თავისი სისხლი და ხორცი, თავისი მაცვალა ელოდებოდა.

სკოლაში მაცვალა მეორე ჯერზე დადიოდა, მაგრამ დილით მაინც ვერავინ ასწრებდა. საყვარელ ბებოს საუბრებს გაუშვადებდა. საღამოთი თითქმის ერთ ღროს ბრუნდებოდნენ: ვინც ადრე შეადგამდა ფეხს სახლში, მავიდასაც ის გააწყობდა. ანდა რადიო სუფრა ჰქონდათ გასაწყობი ბებიასა და შვილიშვილს: ორი თეფში და წყვილი დანა-ჩანგალი. შემდეგ დასხდებოდნენ ერთად ქალები და მთელ დღეს ერთმანეთს მონატრებულნი გააბამდნენ გრძელ საუბარს, არ ადგებოდნენ, სანამ კარგად არ ჩამობნელდებოდა.

მაცვალა სკოლას ამთავრებდა, სამეცადინო და შინაური საქმეც გამოუღეველი ჰქონდა და იშვიათად თუ გადგამდა გარეთ ფეხს; იცის ბებია, რომ მაცვალა ახლაც გაკვეთილებს უზის და სანამ საქმეს არ მოითავებს, საწერ მაგიდას არ მოშორდება. როგორც კი ბებია ჰქონდა შეადგებ, გოგო აივანზე გამოეგებება, გულში ჩაეკერება და ასე შეიყვანს შინ... მიდის მოხუცი ქალი და ფიქრშია წასული, ირგვლივ ვერაფერს ხედავს და ვერავინ ამჩ-

ნევს, აგონდება ის მძიმე ორმოცდასამი, ორ თვეში მისი სიცოცხლე რომ წაიღო. ჯერ ნიკას დაღუპვის ამბავი მოვიდა, მერე ერთადერთი ვაჟიშვილის — ზაქარას სიკვდილიც შეატყობინეს — ბრძოლის ველზე გმირულად დაეცაო. მაშინ დაიქცა მისი ოჯახი; მაშინ გაცივდა ეს კერა და აღარ ეგონა, თუ აქაურობას სიცოცხლე დაუბრუნდებოდა. კვირა ისე გაივლიდა; პირში ლუქმას არ ჩაუშვებდა. ეგონა მიეწეოდა თავის ქმარ-შვილს და ამით უშველიდა თავს, მოისვენებდა...

იმ წელწადს სოფელში უბედურება ყველას კარზე იყო მიმდგარი, სხვისი ნუგეშისათვის არავის ეცალა, არც ქეთო გახსენებია ვინმეს. ორ თვეში დარბა ისე დალია, ფეხს ძლივს ადგამდა. ადამიანის ხმის გაგონება აღარ უნდოდა, ჰიშკრის გაღებას გადაეჩვიო, გარეთ აღარ იხედებოდა; ფრინველი და საქონელი რომ არ ჰყოლოდა საპატრონო, ალბათ ოთახის კარსაც არ გამოაღებდა. მშვიერი პირუტყვი ბღვილს რომ დაიწყებდა, მის საცოდაობას ვეღარ უძლებდა და იძულებული ხდებოდა მიეხედა. მეზობლებსაც დაავიწყდათ მისი სახელი, აღარავინ კითხულობდა, არავინ აწუხებდა. ერთადერთი მისი ძიძიშვილი, ქოქარიან სონა თუ შეიხედავდა და ზოგჯერ ორიოდ ცრემლს ვადმოდვრიდა, ძალად ერთ ლუქმას ჩასჩრიდა პირში და წავიდოდა. კარგ დღეში არც სონა იყო: სამი ვაჟკაცი ჰყავდა შინიდან წასული და არც ერთის ამბავი არ იცოდა, თუმცა არ ტყუდებოდა და იმედით ცხოვრობდა. სონა ყოველდღე საგარეჯოში ფეხით გადადიოდა, ექთანად მუშაობდა იქაურ საავადმყოფოში. ამ ქალს დარღს ალბათ ის უქარწყლებდა, რომ ხალხში ერთა და სხვისი ტანჯვის და უბედურების შემსუფრეხი თავისი უკეთ ვადაჰქონდა... ნიკასა და ზაქარაზე სონა სიტყვას არა სძრავდა, მოვიდოდა ორიოდ ცრემლს ვადმოადგებდა, წაიფიქრებდა, ერთი-ორჯერ — „შე უბედურა“, მიამახებდა ბებოს და წავიდოდა.

იმ დღეს კი სონა თავის თავს აღარ ჰგავდა, ეზოში გალიმებული შემოვიდა, ბებოს შეუტია კიდევ — „რასა ჰგავხარო“, შავი თავსაფარი მოგლიჯა და რომ არ სჩვევოდა, ის მოიმოქმედა: კონცა დაუწყაო. შემდეგ, როგორც იყო, ხმა ამოიღო და ერთ უპატრონო მეზობელ გოგოზე ჩამოაგდო ლაპარაკი. ის უბედური ვილაცას შეეცდინა და ფეხმძიმედ მიეგდო. ჯიუტ გოგოს ბავშვი არ მოეშორებინა, ბოლომდე ეტარებინა, მაგრამ ბედს მაინც უმუხთოლია, მოშობირობას გადაუყოლოდა. „ექიმმა მარტო ბავშვის გადარჩენა შესძლო“, თქვა სონამ. ბედმავეს სული მის ხელში დაელია.

რატომ დაიწყა სონამ იმ გოგოზე ლაპარაკი, ბებო ჯერ ვერ მიხვდა. სხვის უბედურებას ახლოს არ იკარებდა, გულგრილად უსმენდა. ალბათ ასე ვაგრ-

ძელდებოდა, რომ უცებ სონას სიტყვა არ შეებრუნებინა და საოცარი რამ არ ეთქვა: „ქალო, გაიგე... თურმე ი გოგოსა და შენს ზაქარას პირობა ჰქონათ ერთმანეთში. ბაღი ზაქარასია. თუ საიქოში მისი სულის წაწყენდა არ გინდა, წადი და ბაღს უპატრონეო“...

ქეთომ ეს რომ გაიგონა, თითქოს ცა გაეხსნა, გიჟივით გავარდა საგარეჯოში. ბავშვი არ დაუხვდა. უშვილო ცოლ-ქმარს წაყევანა და დათმობა არ უნდოდა. მთელი რაიონი ფეხზე დააყენა. ყველა დაარწმუნა, თუ ვისი შვილიც იყო პაწია მაცვალა. ღმერთი და სამართალი ორივე მის მხარეზე იყო და აბა წინ რა დაუდგებოდა. უბედურ ქალს ბავშვმა ჩამქარალი კვირა აუნთო, სიცოცხლე დაუბრუნდა და შვილის ნათელი სსოფნა ცოცხლად და ხორციელად ატარებინა გულში...

ჩვიდმეტმა წელმა გაიარა მას შემდეგ, რაც მაცვალა შინ მოიყვანა. მანამდე სიკვდილი ენატრებოდა, ახლა მისი გახსენებაც აღარ უნდოდა, პირიქით, ახლა სიცოცხლე სწყურებდა, რომ მაცვალას ბედნიერებას მოსწრებოდა და მისი შვილების დაზრდაც მოესწრო. მოასწრებს კიდევ, უსათუოდ მოასწრებს და უფლებას არავის მისცემს, რომ სისულელე ილაპარაკოს და სიბერე მოუშხამოს. აბა რაები მოჩამახა იმ ჩემი ცოდვით სავსე სონამ... თუმცა მოეტევა, საწყალი სიცოცხლეს ეთხოვებოდა და ნამდვილად სრულ ჭკუაზე აღარ იყო. „მაცვალა შენი ღვიძლი არ არის, მეშინოდა თავი არ მოგვეკლო, ცოცხალი ადამიანი გვერდზე რომ გეყოლებოდა. გულს გადააყოლებდიო, ახლა ვკვდები და აღსარება უნდა გითხრაო“... იმეორებდა სონას სიტყვებს და ბრაზი ერეოდა. „მე რა მდგელი ვარ, აღსარებას რომ მეუბნებოდა“, ბუტბუტებდა თავისთვის მოხუცი ქალი.

— თუნდა ვგრეც იყოს. ყველა ჩემი ღვიძლია, ვინც მე გამიზრდია. მაცვალა კი სულ სხვაა. სწორედაც რომ ჩემი ღვიძლია, ჩემი სისხლი და ხორცი. აბა რა არის... — ეკითხებოდა თავის თავს...

— ზოგი დედა შვილის სახელზე ხეს ვაზრდის და ცოცხალ ადამიანს ესახება, მე კი ადამიანი გამიზრდია, გესმით, ხალხო! — წამოიყვია ქალმა და მაშინ მიხვდა, რომ გვერდზე არავინ ჰყავდა. თავის თავთან საუბარში გართულს არც კი შეუღმჩნევია, ისე მიადგა ჰიშკარს. მაცვალამ ფანჯრიდან მოჰკრა თვალი და ზღურბლზე ფეხის გადადგმა არ დააცალა, უმალ მასთან გაჩნდა და გულში ჩაეკრა. ბებიასა და შვილიშვილის ალერსი ალბათ კიდევ დიდხანს გაგრძელდებოდა, მაგრამ ღობის იქიდან მეზობელმა ვადმოსძახა: „გეყოფათ, ცოტაც ხვალისთვის დაიტოვეთ“.

ვახტანგ შვანიძე
დამსახურებული იურისტი

მივხედოთ ბეთანიას

თბილისიდან თხუთმეტ-თექვსმეტი კილომეტრის მანძილზე, მდინარე ვერეს მარცხენა ნაპირზე მდებარეობს უმნიშვნელოვანესი ისტორიული ძეგლი — ბეთანიის მონასტერი. აქ შემონახულია უნიკალური ფრესკა, რომელზეც თამარ მეფის სახეა გამოხატული.

ბეთანია აუარებელ ხალხს იზიდავს. ზაფხულობით აქ ზოგჯერ დღეში ექსკურსანტთა ოთხი-ხუთი ჯგუფი მოდის. ყველას აინტერესებს ეს შესანიშნავი ძეგლი, მაგრამ აქ მომსვენდეს დიდად აწუხებს უგზოობა. ექსკურსანტები ხელოვნულად შექმნილი უნდა ჩავიდნენ ძალზე ვიწრო, საცალფევო და დაქანებულ ბილიკზე, რომ ხიფათს თავი აარიდონ.

ბოლო წლებში ყურადღება მიექცა ბეთანიას, ტაძარს გამოეცვალა სახურავი და დღეს წვიმა აღარ ჩამოდის, მაგრამ საჭიროა სასწრაფო ზომები, რომ გაკეთდეს გზაც.

კარგი იქნება, თუ გზას გავიყვანთ მდინარე ვერეს ნაპირით, საბურთალოსკენ, უნივერსიტეტის ახალი კორპუსიდან.

უნივერსიტეტის ახალ კორპუსებთან ერთად აქ ვერეს მარჯვენა მხარეზე შენდება სტუდენტთა ქალაქი და აქედან ბეთანიაში გზის გაყვანას და გამწვანებას უნივერსიტეტისათვისაც დიდი მნიშვნელობა ექნება, როგორც სტუდენტთა

დასვენების, ასევე პრაქტიკული მეცადინეობისათვისაც.

ბეთანიიდან ნახევარ კილომეტრზე მდებარეობს სოფლები ზემო და ქვემო კვესეთი. რამდენიმე წლის წინ აქ მრავალი კომლი იყო. ისინი კიქეთის ზონაში გადასახლდნენ. ახლა მხოლოდ 4 კომლი დარჩა; ძეგლის ყარაულად იოსებ წიკლაური მუშაობს. მას ეხმარება ყველა მოსახლე, მაგრამ უგზოობის გამო ისინიც აქედან წასვლას აპირებენ. მათი წასვლის შემდეგ, ცხადია, გართულდება ძეგლის მოვლა-პატრონობა.

ბეთანიამდე გზის გაყვანის შემდეგ აქ შეიძლება აშენდეს საბავშვო სახლები, მოეწყოს პიონერთა ბანაკები; გზას დიდი სამეურნეო მნიშვნელობაც ექნება. აქ, ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია იმისათვის, რომ შეიქმნას მეცხოველეობისა და მეფუტკრეობის საბჭოთა მეურნეობები, გაშენდეს ხილი და ვენახი, განვითარდეს მეხმარეობა.

კოჭორის სადაბო საბჭომ თავის სესიაზე განიხილა ბეთანიაში გზის გაყვანის საკითხი და თავისი გადაწყვეტილება აცნობა ძეგლების დაცვის საზოგადოებას, მაგრამ დღემდე შედეგი არა ჩანს.

ისეთი დიდი ქალაქისათვის, როგორც თბილისია, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს ბეთანიამდე გზის გაყვანა და ამ მიდამოების გამწვანება; ეს შეიძლება მოხდეს შაბათობის წესით. ამით ჩვენ დიდ ეროვნულ საქმეს გავაკეთებთ

ვლ. გოგიბერიძე

ჩ ე მ პ ი ო ნ ი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

გაზაფხულის ერთ საღამოს ქუჩაში ზეინაბი მილიოდა. მის დანახვაზე მამაკაცები ნაბიჯს ანელებდნენ და მრავალმნიშვნელოვანი მზერით აცილებდნენ ქალის მშვენიერ, მოქნილ ტანს. ვიღაც შავკოსტუმშიანი ახალგაზრდა ფეხდაფეხ აეკიდა ზეინაბს. აი, თითქმის გაუსწორდა კიდევ ლამაზ ქალს, და... სპორტის სასახლის შენობიდან გამოვიდა მალალი, ახოვანი ახალგაზრდა კაცი გულზე ჩემპიონის ნიშნით.

— სადა ხარ აქამდე, ზეინაბ? — ნაზად მოჰკიდა ხელი ქალს მხარზე ათლეტმა, შემდეგ ერთი ისე ახედ-დახედა ქალს აკიდებულ ახალგაზრდას, რომ ამ უკანასკნელს შიშისაგან ცივმა ოფლმა დაასხა და კუდამოძებულები გასხტა ქუჩაში.

— როდენ, — დაიძახა ათლეტმა.

— აგერ ვარ...

იქვე, ათლეტის ზურგს უკან წვრილკისრიანი და ვეებაბათინეებთან გამხდარი ბიჭი იდგა, ათლეტის ჩემოდნით ხელში. როდენი ხაზგასმული მოწიწებით მიესალმა ათლეტის მეუღლეს, მაგრამ ქალი ქმარს უღიმიდა და ვერ შეამჩნია ვაჟი. ვაჟმა კიდევ დაუქინა ქალს თავი. ამჯერად ზეინაბმა რცნო როდენი.

— გამარჯობა, როდენ, — კეთილად გაუღიმა გამხდარ ახალგაზრდას.

როდენის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

— წაგიდეთ, ახლა უკვე გასახდელში უნდა ვიყო, — თქვა ათლეტმა, ნაზად მოხვია ცოლს ხელი და კარისკენ წაიყვანა. როდენი ენერგიულად გაჰყვა უკან ცოლ-ქმარს.

როდენმა ქალი ლოჯაში შეიყვანა და სკამი გამოსწია.

ზეინაბი დაჯდა და თვალი მოავლო დარბაზს.

— მე ზუსტად დაწყების წინ მოვალ, — უთხრა როდენმა ქალს და ფიციკენ გაეშურა.

— გამარჯობა, როდენ, — მიესალმა წვრილულვაშებიანი ახალგაზრდა.

— გაგიმარჯოს, — ნაბიჯი კი არ შეუწელებია, ისე უბასუხა როდენმა.

— გაჩერდი ერთ წუთს, საქმე მაქვს, — წვრილულვაშებიანმა მკლავზე ხელი მოჰკიდა როდენს და შეაჩერა.

— რა საქმე გაქვს? — გულგრილად ჰკითხა როდენმა. წვრილულვაშებიანმა მრავალმნიშვნელოვნად ჩაუქრა თვალი როდენს.

— თქვე, ჩქარა, რა საქმე გაქვს, ხომ ხედავ, მეჩქარება.

— გამაგებინე, თუ ძმა ხარ, ვინ არის ის მშვენიერება, ლოჯაში რომ შემოიყვანე წელან? იქნებ გამოიწიო სამსახური და გამაცნო...

— რაო? — აღშფოთდა როდენი, — იცი, ვინ არის მეგ ქალი? ანზორ მაჩაბლის ცოლი. გაგიგონიათ ასეთი?

— ააა? — უკმაყოფილოდ თქვა ლოველასმა. როდენმა გასახდელ ოთახში შეიბრინა. ანზორს უკვე ტანთ გაეხადა.

— იგვიანებ, იგვიანებ! — მიადხა ანზორმა შემოსვლისთანავე. როდენმა წუთში გაიხადა პერანგი და საბრძოლო პოზა მიიღო.

ანზორმა მოჰკიდა წელში ხელი და ბუმბულოვით გადაისროლა მხარზე. შემდეგ ნელა ჩამოიყვანა ძირს, შემდეგ სხვა ილეთებით კვლავ ასწია მალდა, ჭერ მარცხენა მხარზე დააწინა, შემდეგ მარჯვენაზე, კიდევ ერთი სხარტი მოძრაობა და როდენი ჩემპიონის ზურგზე აღმოჩნდა.

მთელი ამ პროცესის განმავლობაში როდენის სხეს არ მოშორებია სერიოზული და დამაბული გამომეტყველება. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, რომ თვითონ მაჩაბელს შეჭიბრების წინ გაუწიო მუთაქის მაგივრობა?

— ყველაფერი რიგზეა, — კმაყოფილმა ანზორმა ხელი დაარტყა ზურგზე როდენს, — აბა ვიტამინები!

როდენმა ჯიბიდან ტაბლეტები ამოიღო.

— არ მინდა, არა, — გაიცინა ჩემპიონმა, — აბა წადი ახლა, არ დაგაგვიანდეს.

როდენი მურღულივით გავარდა დარბაზიდან. გაირბინა ცარიელი დერეფანი, გამოვიდა ტრიბუნაზე და დიდის ვაი-ვაგლახით მიიკვლევდა გზას ხალხით გაქედილ დარბაზში — ლოჯისაკენ. როგორც იქნა, მიაღწია და ზეინაბის გვერდით დაჯდა.

— ბრძოლა გაგრძელდება ზუსტად ერთი წუთი. აი, ნახავთ...

— არა მგონია, — გაიღიმა ზეინაბმა, — ვნახოთ აგერ...

ქალის უკანასკნელი სიტყვები ტაშმა დაფარა. ხალიჩაზე განთქმული მოჭიდავე გამოვიდა.

— დიქტორმა სადღესასწაულოდ გამოაცხადა მისი სახელი და ტიტულები.

— ხალიჩის ლურჯ კუთხეში, საქართველოს ხუთგზის ჩემპიონი, საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეერთებული შტატების შეხვედრაში გამარჯვებული, საბჭოთა კავშირისა და ევროპის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ანზორ მაჩაბელი... „ანზორ მაჩაბელი“ — თითქმის იკვილა დიქტორმა.

— ო,ო,ო, — აღმოხდა მთელ დარბაზს.

ყველაზე მეტად როდენი იყო აღტაცებული.

— ხალიჩის წითელ კუთხეში, — საგრძნობლად დაუწია ხმას დიქტორმა, — სპორტის ოსტატი სერგეი დერეგაჩოვი...

განსმა გონვის ხმა და დაიწყო კლასიკური სტილის მოქიდავეთა პაექრობა.

დერეგაჩოვმა უკან დაიხია, ცდილობს თავი აარიდოს პირდაპირ შეტევას. ანზორმა პირდაპირი და ოდნავ შესამჩნევი ღიმილით შეხედა მოწინააღმდეგეს თვალბში. მოულოდნელად დერეგაჩოვმა წელზე მოხვია ხელები ქართველ მოჭიდავეს, მაგრამ იმ წამშივე მოასწრო ანზორმა კონტრ-ილეთის ჩატარება, ხელი მოჰკიდა მოწინააღმდეგის მასიურ ტანს და ისეთი ილეთები აჩვენა ერთმანეთზე მიყოლებით, რომ მაყურებელი ფეხზე წამოდგა. აღტაცებულმა როდენმა მუშტები გასასვავა პაერში.

სხვადასხვაგვარი ტექნიკური ილეთებისა და ფინტების დემონსტრაციის შემდეგ მაჩაბელმა ეფექტურად გადაიგდო ზურგზე მოწინააღმდეგე და ორივე ბეჭებით ხალიჩაზე დააწინა.

დარბაზი თითქოს აფეთქებდნო ოვაციებისაგან... ზეინაბმა მორცხვად გაიღიმა. როდენმა ამაყად გადახედა დარბაზს.

რედაქცია... ლიტერატურულმა თანამშრომელმა უკმაყოფილო სახით აუხსნა საბრძოლველად განწყობილ როდენს:

— ასე არ შეიძლება, ამხანაგო ბაქანიძე... ამ თვეში სამი წვრილი დავიბეჭდეთ ჩვენს გაზეთში ანზორ მაჩაბელზე... თუ ასე ძალიან გინდათ, ხვალ იხსნება რესპუბლიკური პირველობა ცურვაში და იმაზე დაწერეთ...

— თქვენ, გესმით, რას ამბობთ? — არ დაამთავრებინა როდენმა სათქმელი, — რა დროს ცურვაა, როდესაც სამი თვის შემდეგ ბუდაპეშტში იხსნება მსოფლიო ჩემპიონატი, და საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში გამოდის ჩვენი განთქმული... — კარგით, დატოვეთ ეს ინფორმაცია და ვნახოთ, — გააწყვეტინა ლიტმუშაკმა როდენს.

— მე დღის ბოლოს დაფრუყავ, — მტკიცედ თქვა როდენმა და ოთახიდან გავიდა.

ლამაზად მოწყობილ თავის ვრცელ-ბინაში, დივანზე იჯდა ანზორ მაჩაბელი და სპორტულ ეურნალს ათვლიერებდა. ეურნალში მისი დიდი სურათი იყო დაბეჭდილი.

რალაცხე გამრავებული ზეინაბი იასამნის ტოტებს აწყობდა ლარნაკში.

— ნახე, რას სწერენ ჩემზე, — იღიმებოდა თვითკმაყოფილი ანზორი.

— არ მაინტერესებს, — მშრალად უბასუხა ცოლმა.

— მე ვიცი, შენ რაც გაინტერესებს, — წარბები მოღუშა და ეურნალი გვერდზე გადადო ანზორმა. — საზღვარგარეთულ ტურისტებთან სირბილი ქალაქში და ფრანგულად ლუღუნა, ასეა ხომ?

— ეს ჩემი პროფესიაა გახლავთ, ბატონო, — ხმას აუწია ზეინაბმა.

— დაიფიქვე მეგ პროფესია! — ხმას აუწია ანზორმა.

— აბა, რა გავაყეთო?

— რა და, წადით შენ და როდენი კინოში, — შესთავაზა ქმარმა.

— ო, როგორ მომბეზრდა, რომ იცოდე მეგ შენი როდენის ყურება.

— სს, — ტუჩებზე საჩვენებელი თითი მიიღო ანზორმა, — ჭერ ისევ აქ არის...

— მთელ დღეს მაცივარს უტრიალებს, არც შემეკეთებელი გამომაძახებინა, ვერც თვითონ აკეთებს... სულელი...

ანზორი თავშეკავებულად იღიმებოდა.

სამზარეულოში როდენი მაცივარს ჩაჰკირკიტებდა.

— როდენ! — მოისმა მეზობელი ოთახიდან. როდენი სასტუმრო ოთახში შემოვიდა, ცალ ხელში ჩაქუჩი ეჭირა, მეორეში მავთული.

— როგორ არის საქმეები? — გაიღიმა ანზორმა.

— ერთი პატარა დეტალი მაკლავ, ხვალ ვიშოვი საღმე და მაცივარი მზად იქნება.

— ნუ გეშინია, არსად არ გაგეჭყევა მეგ მაცივარი, ახლა ზეინაბს წაჰყევი კინოში.

— დიდი სიამოვნებით.

— შენ, მგონია, ხშირად აცდენ ლტქციებს. ასე არ შეიძლება. რომელ კურსზე ხარ?

— მეოთხეზე გადავდივარ, — უხერხულად უბასუხა როდენმა, — აბა, მე ბილეთებზე გავიქცევი! — დაუმატა და ოთახიდან გავარდა.

ანზორმა გაიცინა და ეურნალის თვალიერება განაგრძო.

რუსთაველის პროსპექტზე თავისი დიდი ბათინკებით ენერგიულად მოაბიჯებდა როდენი.

— გამარჯობა, როდენ! — შორიდან მიესალმა ნაცნობი ბიჭი და ირონიულად განაგრძო: — აგერ გიფი ამტკიცებს, რომ კარტოზია, ისეთი, როგორც იყო თავის დროზე, ცოცხლად შეჭამდა ანზორ მაჩაბელსო.

— მართალია, ვამბობ, — არ იუარა ბიჭმა.
— წადი, წადი, ბებიაშენი აპამუღე, — არ წამოეგო ანკესზე როდენი და გზა განაგრძო.

როდენი სავარჯიშო დარბაზში შევიდა, აქ ის შინაური ყაცი იყო.

— გამარჯობა, როდენ! — მხიარულად მიესალმენ მოჭიდავეები, — ანზორმა უკვე დაამოკვრა ვარჯიში და ახლა შხაპს იღებს...

როდენი გასახდელ თათხში შევიდა და დაიწყო ანზორის სავარჯიშო ნივთების ჩალაგება ჩემოდანში.

— როდენ, შენა ხარ? — თქვა ანზორმა და ცხელ შხაპს მიუშვირა უზრუნველი სახე, — როგორ არის, ბიჭო, დედაშენი, ადგა?

— კარგად არის, გმადლობთ, უკვე ადგა.

— აბა, ერთი ჩქარა წადი დოლონაძეებთან, ზეინაბია იქ და წაიყვანე სახლში. უთხარი, რომ კომიტეტში ვარ, დღეს გამარჯვებულებს ავიღლოებენ. მოიცა, ტაქსის ფული ამოიღე ჰაკაიდან.

— როგორ გეკადრებათ. ანზორ, ტაქსის ფულს ვშოვნე. როგორმე, — გაიცინა როდენმა.

— თუ მოასწრებ, მიდი კომიტეტში! — მიაძახა ანზორმა.

— მოვასწრებ! — კარგებში დაიძახა როდენმა და ოთახიდან გაეარდა.

...კვლავ სპორტის სასახლე. ანზორ მაჩაბელი შევეგვრემან გიგანტთან კიდაობდა, ბობოქრობდა დარბაზი. მსაჯის მაგიდის გვერდით პატარა გასასულელ სკამზე როდენი იჯდა და ექსტაზში შესულ პუშტებს ასავსებდა ჰაერში. ანზორმა ერთმანეთის მიყოლებით გააქეთა რთული ილეთები, ეფექტურად გადაისროლა ზურგზე მოწინააღმდეგე და ორივე ბეჭით ხალჩაზე გააქრა.

არბიტრმა მალა ასწია გამარჯვებულის ხელი. დარბაზი დღესასწაულობდა, ხალჩაზე ახლაგზრდა ბიჭი გამოვარდა, უშველებელი თაიგული გადასცა ანზორს და ლოყაზე აკოცა.

ანზორი უკვე კულისებში იყო, თაიგული მისცა როდენს და უთხრა:

— ეს ყვეილები ზეინაბს მიუტანე. რალაც ვერ გრძნობს თავს კარგად. გინდა თუ არა, ბანკეტზე წამოდი, მეუბნებიან... ჰო, მართლა, შენც მოდი ძეგრ ბანკეტზე...

— შემიშვებენ? — ეჭვით ჰკითხა როდენმა.

— რას ჰქვია არ შეგიშვებენ, — გაიცინა ანზორმა, — მე არ ვსვამ და შენ მაინც დალოე ჩემს მაგივრად.

— მაშინ ფოტოპარატს წამოვიღებ. — თვალები გაუნათდა როდენს, უშველებელი თაიგული გულზე მიხუტა და ოთახიდან გიყვირთ გაეარდა

დივანზე წამოწოლილი ანზორი ტელეფონით ელაპარაკებოდა ვილაცს. ზეინაბი შუა ოთახში იდგა და აღლვებული სახით უსმენდა ანზორს.

— მოკლტად, თქვენ არ დაანებებთ თავს ამ ნომერზე რეკვას? კი თუ არა? — უხეშად ეკითხებოდა ანზორი.

— ანზორ, ანზორ, რა მოვივიდა, სირცხვილია...

— რამდენჯერ უნდა გითხრათ, რომ ჩემი ცოლი კნოში არ ითამაშებს. გადაეცით ასე იმ თქვენს რეკისორს, გასაგებია? სრულებით არ მაინტერესებს თქვენთან უხეში ლაპარაკი. მაგრამ თუ გამომიყვანთ მოთმინებიდან, აღულებული ვიქნებოდა სხვა ტონით მოგმართოთ. ანზორმა ტელეფონი

მილი დაჰკიდა. — ის მაკლია ახლა. ჩემმა ცოლმა კნოში რომ ითამაშოს...

— მე მინდა კნოში გადავდებ, ძალიან მინდა, ზეინაბს ხმაში ტრალი გაერიო.

კვლავ დარეკა ტელეფონმა. ანზორმა მილი აიღო.

— ა, როდენ! რა კარგია, რომ დარეკე. სასწრაფოდ მოდი, საქმე მაქვს. ანზორმა მილი დაჰკიდა და ცოლს მიუბრუნდა.

— ვაჟისეირნოთ სადმე.

...გზატყვეილის მოშორებით „ვოლგა“ იდგა. გზის აქეთ მწვანე ტყე, გზის იქეთ კი წითელი ყაყაჩოებით მოფენილი პატარა გორაკი. ტყესთან ახლოს ანზორ მაჩაბელი ვარჯიშობდა. მანქანასთან ზეინაბი იდგა. როდენი ყაყაჩოებს აგროვებდა გორაზე.

თბილისს აეროდრომი. ანზორ მაჩაბელი ბუდაპეშტში მიფრინავდა მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას მისაღებად. მისი შესანიშნავი გუნდგანწყობილება დალადებდა, რომ მოჭიდავე ბრწყინვალე სპორტულ ფორმაში იყო. ანზორს მარცხენა ხელი ცოლისთვის მოეხვია, მარჯვენათი კი ხელს ართმევდა მის გასაცილებლად მოსულ სასპორტო დელეგაციის წევრებს. ცოტა მოშორებით როდენი იდგა და აღფრთოვანებული უყურებდა თავის კერპს.

— უფროხილდი მახმუდ-ოღლუს. ეუბნებოდა მწვრთნელი ანზორს.

— არც ერთი წამით არ მოადუნო ყურადღება, — ურჩია სოლიდური შეხედულების სპეციალისტმა.

— ყველაფერს გაეკეთებ. — უზრუნველად გაიცინა მოჭიდავემ. ანზორი ტრაპზე ავიდა, ცოლს დაუქნია ხელი.

— თუ დაგპირდეს რამე, როდენს დაურეკე. აბა შენ იცი, როდენ, ზეინაბს როგორ მოხედავ, დაიძახა ანზორმა ტრაპიდან.

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. — ზეინაბთან მიიჭრა როდენი. უზომოდ ბედნიერი იმ ვარჯიშებით, რომ გამომშვიდობების უღიდეს წუთში მისი სახელიც ასხენეს.

ზეინაბი და მისი მეგობარი, ლამაზი ქუჩუნა დევანზე ისხდნენ და პაპიროსს აბოლბდნენ. ქალებს, როგორც ჩანდა, საქმე არ ჰქონდათ და გასართობად ათასნაირ სსულელებს იგონებდნენ.

— დაუძახე რა, შენს როდენს, ერთი ვიცინოთ. — თქვა ქუჩუნამ და პირდან პაპიროსის ბოლო გამოუშვა.

— როდენ! — მხიარულად დაიძახა ზეინაბმა.

კარები გაიღო და როდენმა შემოყო დაე.

— რას აკეთებ მანდ? — ეკლუცად თქვა ზეინაბმა.

— ბორჯობი მოვიტანე ყუთით. ახლა ცარიელი ბოთლები უნდა წავიღო.

— როდენ, დარწმუნებული ვარ, არ ეტყვი ანზორს პაპიროსით რომ ვთამაშობ.

— როგორ გეკადრებათ...

— ახლა ეს მითხარი, რატომ არ ესალმები ქუჩუნას. ხომ იცნობ ქუჩუნა დოლონაძეს?

— ეჰ, რას იზამ. ალბათ ძალიან ბებერი ვარ მაგისთვის, რომ ზედაც არ მიყურებს. — ირონიულად იქვა ლამაზმა ქალმა.

— რას ბრძანებთ, მე მივესალმე ქალბატონ ქუჩუნას. — დაიბნა როდენი.

— რალაც ვერ შევამჩნიე, — ეკლუცად გადასწია თავი ქუჩუნამ.

— მე ბოთლებს წავიღებ. — ძლივს მოახერხა უხერხულ მდგომარეობიდან თავის დაღწევა როდენმა და ოთახიდან დამდულრულავით გაეარდა. ნასამოვნებმა ქალებმა კისკისი დაიწყეს.

— ღმერთო, რა მორცხვია. — ლამაზი თვალბეჭეტა ქუჩუნამ.

— მაგ ასაქმი საერთოდ მორცხვები არიან ლამაზი ქალები.

ბუდაპეშტის ქუჩაში მოჭიდავეთა ერთი ჯგუფი პოლის.

— ბუჭებო, მოდი შევიდეთ ამ მაღაზიაშიც. — შესთავაზა ამხანაგებს ანზორმა დამტკრეული რუსული.

— ალბათ, კვლავ საჩუქარი გინდა იყილო ცოლი-სათვის!

— შენ, ძმაო, ქმარი კი არა, ნამდვილ საუნჯე ხარ, — სიცილით უთხრა ანზორს უმსუბუქესი წონის რუსმა მოჭიდავემ.

...ქალათებთა და ქალაღში შეხეული ათასნაირი პროდუქტებით დატვირთულმა ზეინაბმა და როდენმა ძლივს მოახერხეს გზის გაკაფვა ბაზარში.

— როდენ, ეს ნესვი მომწონს...

— თქვენ მანქანაში დამელოდეთ, ყველაფერს მე ვიყიდო

ნახატი ლ. პრინსაპისა



... მაგრამ, მეც მიანტერესებს ბაზარში სიარული და ვაჭრობა. ბიძია, რა ღირს თქვენი ქათამი? — მიუბრუნდა ზეინაბი მოხუცს.

— ათი მანეთი.

— რა ამბავია, ათი მანეთი? — აღშფოთდა ზეინაბი.

— იქით უფრო იაფია ქათამები, წავიდეთ თქვა როდენმა.

ზეინაბი და როდენი ბაზრიდან გავიდნენ, მანქანაში ჩააწყვეს პროდუქტები.

— თქვენ რომ არა, ოჩქერი ნაკლებს დაეხარჯავდი ყველაფერ ამში, — უკმაყოფილოდ თქვა როდენმა.

— სამაგუროდ მე ვარ კმაყოფილი, — გაცივნა ზეინაბმა.

მანქანა დაიძრა ადგილიდან.

„ზეინაბი და როდენი ტელევიზორთან ისხდნენ და გაფაციცებით აღევნებდნენ თვალს ცისფერ ეკრანს. მიმდინარეობდა მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლაცია ბუდაპეშტიდან კლასიკურ ჰიდაობაში. ანზორ მაჩაბელი ეჭიდებოდა თურქ მოჭიდავეს.

— ვინ გახდება ამჯერად ჩემპიონი, — აცხადებდა დიქტორი, — შარშანდელი ჩემპიონი მახმედ-ოღლუ, თუ ჩვენი განთქმული ანზორ მაჩაბელი?

როდენმა ეკრანს მოაშორა თვალი და ზეინაბს შეხედა. მის გამოხედვაში დაიხატა საოცარი აღლვება და განცვიფრება. ქალმა იგრძნო ვაჟის მზერა და მანაც შეხედა როდენს. ორთავემ რაღაც უხერხულობა იგრძნეს და უცხად ტელევიზორზე გადაიტანეს მზერა. ანზორ მაჩაბელი ორივე ბეჭით აწვევდა ხალიჩაზე თურქ მოჭიდავეს. გაისმა ალტაცების შეძახილები...

...ეროდრომზე ნელ-ნელა დაეშვა ტუ-104. ივითფრინავზე მიდგმული კიბიდან ანზორ მაჩაბელი ჩამოდიოდა, მის მკერდზე ბრწყინავდა მსოფლიო ჩემპიონის მედალი. გამოჩენილ მოჭიდავეს ცალ ხელში დიდი თასი ეჭარა, მეორეთი კი ესალმებოდა მასთან შესახვედრად მოსულ დელეგაციას. ავტომანქანა „ვოლგა“ თავგამეტებით მიჰქროდა ქალაქის ქუჩებში.

მაჩაბელმა აირბინა სახლის კიბეები, შეჩერდა თავის ბინასთან, გაიღმა და კარი შეაღო: თასი სასადილო მაგიდაზე დადო და თითის წვერებზე შემდგარი სძინებელ ოთახში შევიდა.

ზეინაბს ღრმად და უზრუნველად ეძინა როდენის მკლავზე. ბედნიერ სახეებზე ეტყობოდათ, რომ ისინი შესანიშნავ სიზმრებს ხედავდნენ.

თვითონ თურქი მახმად-ოღლუ რომ დაენახა ანზორს თავის ლოგინში, ალბათ ასე არ გაოგნდებოდა. მაჩაბელს გაცოფებული სახე გამოუთქმელი ღარდით შეეცვალა. ანზორმა გონება მოიკრიფა და ოთახს შეავლო თვალი. სკამზე როდენის ტანსაცმელი იყო გადაკიდებული. ოთახის კუთხეში იდგა მისი ჩემოდანი. მაგიდაზე ეყარა სასწავლო წიგნები. კედელზე ჯერ კიდევ ეკიდა ანზორის ფოტო. მოჭიდავეს ამაყად ჰქონდა გამოწვეული წინ თავისი დაკუნთული, ლამაზი მკერდი, ანზორი მიხვდა, რომ ის ახლა აქ ზედმეტი იყო. ფეხბურთით დატოვა ოთახი და ნელა დაიწყო ჩასვლა კიბეებზე. რაღაც ვაახსენდა, მიბრუნდა, შევიდა ოთახში, მაგიდიდან ჩემპიონის თასი აიღო და კარით გამოვიდა...



თავარ ნუსხიძე

ირლანდიის ხალხის ბრძოლას ინგლისელი დამპყრობლების წინააღმდეგ ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი მთელ საუკუნეებს მოიცავს. მაშინაც კი, როცა გარკვეული მიზეზების გამო მე-19 საუკუნის დამლევს პოლიტიკური წინააღმდეგობა შენედა, ბრძოლა არ შეწყვეტილა, მან ახალი სახე მიიღო.

ეს ის დრო იყო, როდესაც ირლანდიის სულიერი კულტურის განვითარება აღმაშავ ფაზაში შედიოდა; დღეს ეს პერიოდი ირლანდიის რენესანსის სახელთაა ცნობილი. საქმე ისაა, რომ ირლანდია, რომელიც ინგლისელმა დამპყრობლებმა კოლონიად აქციეს, საუკუნეების განმავლობაში რჩებოდა ნაციონალური ლიტერატურისა და თეატრის გარეშე. ახლა წინა პლანზე წამოიწია კულტურის, ხელოვნების და ენის საკითხებმა. აღორძინების მთავარი რგოლი ე. წ. თეატრალური მოძრაობა იყო.

1898 წელს დუბლინში იხსნება „ლიტერატურული თეატრი“. 1902 წელს იქმნება ირლანდიის ნაციონალური თეატრალური საზოგადოება, რომელიც შემდეგ გადაიქცა ცნობილ „საბატო თეატრად“. ამ თეატრში რეპერტუარის საკითხზე დიდი დავა იყო. ერთი ჯგუფი თავგამოდებით მოითხოვდა პოლიტიკურ აქცენტს რეპერტუარში — თეატრი უნდა აღვივებდეს სიძულვილს ინგლისისადმი. მეორე ჯგუფი ამის საპირისპიროდ მოითხოვდა პოლიტიკისაგან თავისუფალ თეატრს.

ამ დროს სამშობლოში ბრუნდება ჯონ სინგი და ორი პიესა მიჰქვს თეატრში.

პარიზში ყოფნის დროს სინგს ესტუმრა უკვე სახელმწიფოებრივი ირლანდიელი პოეტი იეიტსი და ურჩია სამშობლოში დაბრუნებულიყო. „ირლანდია ჩემთვის სიკვდილია“, — უპასუხა სინგმა, მაგრამ იეიტსმა ფანტიკოსის უღმობულოებით მოუქრა: „სანამ მოკვდებით, თქვენ მოასწრეთ ჩვენი თეატრისათვის რამდენიმე კარგი პიესის დაწერას“. ამ მკაცრმა განცხადებამ დაიმორჩილა სინგი, თუმცა მისი ჯანმრთელობა — იგი სახედისწერო სენით იყო შეპყრობილი, — ამის უფლებას არ აძლევდა.

ირლანდიელი დრამატურგი ჯონ მილინგტონ სინგი გვიან მიხვდა თავის ნამდვილ მოწოდებას. მისი ცხოვრების პირველი 27 წელი — ეს იყო ძიება; იყო გატაცება მუსიკით — რისთვისაც ვაიმგავრა გერმანიაში. შემდეგ გატაცება ლიტერატურით — რამაც ჩაიყვანა საფრანგეთში. იყო მოგზაურობის დაუკლებელი სწრაფვა — ზეტილობა ევროპაში. ყველაგან რაღაცას სწავლობდა. მაგრამ ვერც პარიზში და ვერც რომში ვერ გააღვიძეს მასში მწერალი. ეს გააკეთა ირლანდიაში — მისმა ნაცრისფერმა, ფართოდ გაშლილმა ველებმა, მისი ნაიბრების უსაზღვრო სეველამ, პირველ რიგში კი, თავისი ხალხის მგზნებარე და ნაწმა ფანტაზიამ. სახელი სინგი — მას, ვისაც წაუეითხავს ან უნახავს მისი პიესები — მოგაგონებს მის სამშობლოს, ბურუსიანი ირლანდიას.

„თეატრალური მოძრაობის“ ძირითად ამოცანად სინგს მიაჩნდა შექმნა ნაციონალური ირლანდიური

დრამისა; რაც შეეხება იდეურ მრწამსს, სინგი საკუთარი გზით წავიდა. იგი უარს აცხადებდა ირლანდიის წარსულის იდეალიზაციაზე. მწერალი მწვავე ირონიით ვეხება რეალურ ირლანდიას, მის გაღატაკებულ ხალხს, რომელსაც სჩაგრავს ეკლესია და ნაციონალური ბურჟუაზია.

სინგის პირველ პიესას, რომელსაც „ზღვისკენ მსვროლი“ ეწოდება, ანტიკურ ტრაგედიებს ადარებენ და არცთუ უსაფუძვლოდ. თუ ძველ ელიზებთან დმერთები განაგებდნენ ადამიანთა ბედს, სინგის პიესაში ზღვაა დმერთი და ბედისწერა, რომლისგან თავის დაღწევა არავის არ ძალუძს. ისევე როგორც ბერძნულ ტრაგედიაში წინასწარი იყო გადაწვეტილი გმირთა ბედი, აქაც თავიდანვე ნათელია როგორი იქნება დასასრული.

ადამიანის ბრძოლა ბუნების ძალებთან — ამ თემას მიუძღვნა ჯონ სინგმა ხსენებული პიესა, სადაც აჩვენა უღმობელი ზღვა და ადამიანთა უსაზღვრო მორჩილება ბედისწერის წინაშე.

„არანის კუნძულებზე“, — წერდა სინგი, — არ იყო ოჯახი, რომელიც ზღვაში დაღუპულს არ გლოვობდა“. უბედურება მოულოდნელად კი არ ატყდებოდათ თავს, ის საიდანადაც კი არ მოდიოდა, არამედ მუდმივად უცვლელი და უძლეველი იყო. წყალი სიცოცხლეს, არანის კუნძულებზე კი იგი მოასწავებდა სიკვდილს.

პიესის მთავარი ფიგურა — მოხუცი მოსა, ქალი, რომელმაც ერთმანეთის მიყოლიებით დაკარგა ექვსი ვაჟი. პიესაში მწერალი იღებს უკვლავ ტრაგიკულ მომენტს ქალის ცხოვრებაში, როცა იღუპება მისი უკანასკნელი შვილი. ჩვენ წინასწარ ვიცით, რომ ის დაიღუპება. თითქოს ავტორს აღარაფერი რჩება სათქმელი.

მაგრამ ტრაგედია უკანასკნელი ვაჟის დაღუპვაში არ არის და არც საერთოდ ადამიანის სიკვდილში — ადრე თუ გვიან ყველა კვდება. სინგის პიესაში საინტერესოა დედის რეაქცია, ე. ი. ის, თუ როგორ შეხვდება დედა შვილის სიკვდილს. როდესაც მოას წინ უკანასკნელი შვილის გვამი დადეს, რომლიდანაც მარლიანის ზღვის წყალი წვეთავდა, ყველას გასაკვირად საოცარი სიმშვიდე დაეუფლა მას, სიკვდილის მსგავსი სიმშვიდე — ამაშია ტრაგედია. შიშითა და ძრწოლით აღსავსე ცხოვრება დამთავრდა: „ყველა წაიყვანა და ველარაფერს მიწამს ზღვა“... — ეს არის დედის სიტყვები. მან თითქოს შევბა იგრძნო, სასწარელი შევბა.

ავტორს თვითონ აწუხებდა ბედის გარდღუვალობა, იცოდა, რომ მისთვისაც არსაიდან არ იყო ხსნა. მან თავისი შემოქმედება ტრაგედიით დაიწყო და ტრაგედიით დაამთავრა. ამიტომ აქვე გვინდა ვილაპარაკოთ მის უკანასკნელ პიესაზე „დიდრდრე, მწუხარე“. იგი აგებულია ძველ ირლანდიურ საგებზე.

„დიდრდრე, მწუხარე“ — სიყვარულის ტრაგედიაა. სინგი თვითონაც შეუვარებული იყო მას უუვარდა საბატო თეატრის მსახურსა მოლი ოღ-

გული, რომელიც მწერალზე ბევრად უფრო ახალგაზრდა იყო.

ძველი საგა დეირდრეუე ძალიან პოპულარული იყო. არსებობდა მისი მრავალი ვერსია და ვარიანტი. ცნობილი იყო იეტიუსისა და ჯონ რასელის პოეტური პიესები; მაგრამ სინგი თავისებურად მიუღდა ამ ლეგენდას — შეცვალა დეირდრეუს ხასიათი და ნაწარმოებმაც სულ სხვა ვაზარება მიიღო. ძველ საგაში დეირდრეუე მხოლოდ მწუხარებას განასახიერებდა, განიცდიდა თავის მომავალ უბედურებას. სინგის დეირდრეუე არ არის მარტო შევნიშნული ძალებების მსხვერპლი, იგი ძლიერი და გამბედავი პიროვნებაა, დედოფალია, რომელსაც უსიყვარულოდ სიცოცხლეს არ უნდა. ის უარს აცხადებს მეფე კონსტანტინის ცოლობაზე და გარბის შოტლანდიაში ახალგაზრდა ნაისისთან ერთად. ნაწარმოებში ისეთ სიყვარულს გვიჩვენებს ავტორი, რომელიც თხოვლად უვლადფერს, ან არაფერს. დეირდრეუს როლი პირველად მოლი ოლგუდმა ითამაშა. ამჟამად იყო რადაც სიმბოლიური.

ახალგაზრდა ქალის სულიერ ტრაგედიაზეა აგებული სინგის ერთმომქმედებანი დრამა „ველის მწუხრში“. პიესის სიუჟეტი, რომელიც სინგმა არანის კუნძულებზე ჩაიწერა, ბოკარის მხიარული ნოველებისთვის გამოდგებოდა, მაგრამ სინგი ქმნის დრამას, აღსავსეს მარტოობისა და სევდის განცდით. ეს არის ამზავი იმის შესახებ, თუ ერთი მოხეტიალე როგორ მიაღწა ღამით განმარტოებულ ქობს ველზე, სადაც წააწყდა მარტოებელი ქალს და მის მიცვალბულ ხნიერ ქმარს; მაგრამ ბერკეცი თურმე ცოცხალი იყო, და როცა ეს ქალი ახალგაზრდა მოხეტიალესთან ერთად წასვლას აპირებდა, წამოხტა და სცემა ორივეს.

მოხეტიალე უღარესად პოეტური სახეა. ესაა თითქოს იდეალური, ოცნებების სამყაროდან მოსული ადამიანი. ქალის და მისი საუბრიდან ნათელი ხდება როგორ ჰგავს ამ ორი ადამიანის მისწრაფებები ერთმანეთს. მათგან სრულიად განსხვავდება ქმრის სახე — ესაა გონებაზეწაღებული, ავი ადამიანი, ფულზე შეყვარებული კაცი. ავტორი გვიჩვენებს ორ საწინააღმდეგო ბანაკს, რომელთა ერთად არსებობა შეუძლებელია. ამიტომ ნორა და მოხეტიალე ტოვებენ სახლს და ერთად მიდიან. სინგის ნორას მომავალი გაურკვეველია. დაუმთავრებელი დასასრული საერთოდ დამახასიათებელია სინგისათვის.

გარდა ტრაგედიისა „ზღვისკენ მსრბოლნი“, სინგის ყველა ნაწარმოებმა განიცადა პრესისა და საზოგადოების უარყოფითი რეაქცია. განსაკუთრებით აღშფოთებულნი იყვნენ ნორას სახით, ავტორს უწინაშეს სწამებდნენ და ირლანდიელი ქალის შეურაცხყოფაში ადანაშაულებდნენ. სინგის კომედიის „მკლავის ქორწინება“ საერთოდ ვერ დაიდგა მწერლის სიცოცხლეში და როცა დაიდგა, ისიც დუბლინის გარეთ. ამ პიესის პერსონაჟი — მღვდელი თამაშობს ბანქოს, სვამს, შრუშობს, არ იცავს მარხვას და სხვ. სიხარბემ მოსპო წმინდა მამაში ქრისტიანული სათნოება. მას სრულიად არ აღუვლებს, რომ „ქორწინების გარეშე მკლავი და მისი ცოლი ჯოჯოხეთში მოხვდებიან“. იგი უარზეა მათ ჭვარი დასწეროს, თუ ფულს არ მისცემენ.

კათოლიკე მღვდლის ასე მხილება სინგის დიდი გმირობა იყო. ამისათვის მარტო მოქალაქეობრივი გამბედაობა არ იქნებოდა საკმარისი, საჭირო იყო გარკვეული პოპოციაც; სინგი ღრმა რელიგიურ გარემოცვაში გაიზარდა, მაგრამ თავიდანვე გაიტაცა ბუნების მეცნიერებამ. თავის ავტობიოგრაფიულ თხზულებაში იგი წერს: „18-17 წლისამ მე უარი განაცხადე ქრისტიანულ რწმენაზე... თუცა არა მგონია ვინმესთვის განმეცხადებინოს ეს იმ დროს“.

პიესაში „წმინდანთა წყარო“ ნაჩვენებია ორი ბრმა. მოხუცებული, ცოლი და ქმარი, რომლებიც რაღაც სასწაულით იბრუნებენ მხედველობას, რის

შემდეგაც აღმოაჩენენ, რომ მათი წარმოდგენა სინამდვილეზე სრულიად ეწინააღმდეგება რეალობას. შემდეგ ისინი კვლავ ბრმადვებიან და როცა შესაძლებლობა ეძლევათ ისევ დაიბრუნონ სინათლე, კატეგორიულად უარს აცხადებენ, — ისევ სიბრმავე ურჩევნიათ, ისინი ცდილობენ შეიქმნან ილუზია და მით იცხოვრონ.

ამ პიესასაც ძალიან ცივად შეხვდა ფავის დროზე პრესა და მაყურებელი. მაგრამ ყველაზე დიდი სკანდალური ისტორია სინგს გადახდა მისი „გმირის“ დადგმასთან დაკავშირებით.

„გმირი“ ეს ის პიესაა, რომლითაც იცნობენ მსოფლიოში სინგს. სწორედ ამ პიესამ მოუპოვა პოპულარობა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში, ხოლო გარდაცვალების შემდეგ იგი მსოფლიოს მთელი რიგი თეატრების რეპერტუარში შევიდა.

1928 წელს „გმირი“ ქართული თეატრის სცენაზე დადგა კ. მარჩანიშვილმა.

პიესის სიუჟეტი ასეთია: მთავარი გმირი ნაწარმოებისა, რომელიც აღმოჩნდება მიყრუებულ პატარა სოფელში, უყვება მცხოვრებლებს თუ როგორ მოკლა მან ბარით თავისი მამა. სოფლელები აღტაცებაში მოდიან, გოგონები გარს ეხვევიან და ყველაზე მომხიბლავს მათ შორის იგი შეუყვარდება. მაგრამ შემდეგ გამოიკვევა, რომ მამა ცოცხალია, იგი დაეძებს შვილს და იპოვის კიდევ ამ სოფელში. სოფლელები განდევნიან ჭაბუკს, რადგანაც მან ტყუილი თქვა.

უჩვეულო და გაუგებარი კონფლიქტია, პარადოქსული ამბავია — მამის მკვლეელი აღიარებულია გმირად. მას ისეთ მიღებას უწყობენ, რომ იგი წამოიბახებს: „ახლა ვხვდები რა სულიერი ვიყავი, უფრო ადრე რომ ვერ მოვუღე ბოლო მამაჩემს“.

ყოველივე ეს, ცხადია, აღმშაფოთებელია და დაუჭრებელ შთაბეჭდილებას სტოვებს. მართლაც, უცნაურია დამნაშავეს მიმართ ასეთი დამოკიდებულება. თუ მივმართავთ თვით სინგს, მის ჩანაწერებში, რომლებიც შემონახულია დღიურებისა და უბის წიგნაკების სახით, ვნახავთ ამ საკითხის ასეთ განმარტებას — „დამნაშავეს დაფარვის ცდა ძალიან გავრცელებულია დასავლეთ ირლანდიაში. ნაწილობრივ ალბათ იმიტომ, რომ სამართალი აქ საძულველ ინგლისურ კანონებთან არის გაიგივებული. მაგრამ უფრო იმიტომ, რომ ირლანდიელები დარწმუნებულნი არიან—დანაშაული ხდება ბრმად და ის ძალა, რომელიც ჩაადენინებს დანაშაულს, ისეთივე უპასუხისმგებლოა, როგორც ზღვის ქარიშხალი. თუ კაცმა უკვე მოკლა მამა და განიცდის სინდისის ქენჯნას, ისინი ვერ ხედავენ მიზეზს რისთვისაც ის უნდა დაისაჯოს“.

როცა ირკვევა, რომ კრისტის თავისი მამა არ მოუკლავს, სოფლელები მას ზურგს შეაკეცივენ. შეიძლება მწერალი ცდილობდა ხაზი გაეხვა იმისათვის, რომ კრისტის მოქმედება იყო გაბრძობება მშობლისგან შევიწროებისა და ძალდატანების წინააღმდეგ (მამა აპირებდა მის დაქორწინებას ბებერ ქვრივზე). კრისტი სათაყვანებელ გმირად იქცა იმიტომ, რომ ერთი მოქნევით ის კანონები დაამსხვრია, რომლებიც ბოკილებივით ეღო ხალხს. პიესის აზრიც სწორედ ამ პრბოლემის დაყენებაშია — პიროვნების განთავისუფლება მშობლების, ეკლესიისა და ტრადიციული ცრურწმენის ტირანისაგან.

მაგრამ იდეა ავტორისა ისეთი ფორმით იყო გადმოცემული, რომ მაყურებელი ვერაფრით ვერ შეურიგდებოდა მას. პრესა მოუტირებლად ლანძღავდა დრამატურგს, ნაციონალურ თეატრს და ყველა მათ, ვინც მხარს უჭერდა მის პიესებს.

ჯონ სინგმა სულ ექვსი პიესა დატოვა. ეს ცოტაა რაოდენობის მხრივ, მაგრამ მასში, მიუხედავად მრავალი პარადოქსული სიტუაციისა, მანაც გამოჩნდა ეს თავისებური ქვეყანა — ნისლიანი ირლანდია თავისი ბუნებითა და ადამიანებით.

ვიქტორი შინ გვიან ღამით დაბრუნდა, მაგრამ მანაც ძილი გაუტყდა, თვალი ვერ მოხუტა. აბა რა დააძინებდა? ბოლო ხანებში ქალაქში რამდენი სერიოზული დანაშაული მოხდა, კვალს კი ვერ მიაკვლიეს. რაღაც უნდა დაუჭდეს, უნდა მოძენოს, მონახოს დამნაშავე. მიქნელი სახავდა გემებს, ერთ ვარიანტს მეორე მოსდევდა, მეორეს — მესამე...

სამმართველოში დილაადრიან მივიდა, ბექაური კაბინეტში დაუხვდა. ვიქტორი მიხვდა, რომ არც მას ასვენებდა მომხდარ დანაშაულზე ფიქრი.

ნებართვა ითხოვა და უფროსის კაბინეტში შევიდა. ბექაური მორიგის მოხსენებას ისმენდა დღე-ღამის განმავლობაში მომხდარ შემთხვევებზე.

— არ მოწონს მე ეს ამბები, ვიქტორ, — უთხრა მიქნელს უფროსმა, როცა მორიგე გავიდა, — არსაიდან არაფერი არ ისმის, ეტყობა, მილიციის თანამშემუშევთან ცუდად ვმუშაობთ!

— რა მეტქმის, სამართლიანი საყვედურია. ვითომ გუშინდელ მკვლელობასა და მანამდე მომხდარ დანაშაულთა შორის არის რაიმე კავშირი?

— კიდევ უარესი ჩვენთვის, თუ სხვადასხვა ჭკუფი მოქმედებს!

— ერთი პირი გამოჩნდა არსენალზე, წუხელის გავიგე ზოგი რამ. იქნებ ძაფი ვაიშალოს.

— მითხარი, რა გაიგე? — დაინტერესდა უფროსი.

— ბოჭორმის ქუჩაზე ცხოვრობს ერთი საექვეო კაცი, ზედმეტ სახელად „არნოლდი“. არსად არ მუშაობს. ამბობენ, ძალზე გაქნელი ვინმეაო საძარცვეად უფრო თბილისის გარეუბნებს ეტანება, რა თქმა უნდა, შიგნითაც თუ მოიხელთა რამე, უკან არ დაიხვს. მითხარეს ცეცხლსროლები იარაღიც აქვსო.

— ქალაქში ჩაწერილია?

— ჩაწერილი ყოფილა. ჩვენი მონაცემებით არნოლდი იგივე მოსე ცოტაქია. საჭირო ცნობები მასზე სამისამართო ბიუროში მომცეს.

— უბნის რწმუნებულს არ ესაუბრე? რა თქვა, რატომ არ მუშაობსო?

— ჯერ ვერ მოვაწყარი გარკვევა. ისე, გარეგნული ნიშნებით თითქოს წააგავს ნამორაძის მკვლელს.

— რატომ უნდა მისულიყო ჩხეიძის ქუჩაზე?

— საქმეც ის არის, სწორედ მაგ ქუჩაზე ცხოვრობს ვინმე არსენ ოსიაშვილი, მასავით საექვეო პიროვნება, მე მგონი, მკვლელი მასთან მიდიოდა და შოფრის წაუსვლელობა საეჭვოდ მიიჩნია. იფიქრა, მე მითვალთვლებსო, აილო და ესროლა.

— შენ ასე ფიქრობ? საინტერესოა. ოთახში ოპერარწმუნებული მელითაური შემვიდა. ბექაურმა გააცნო მას საუბრის შინაარსი.

— აღწერილობის მიხედვით შეიძლება ჩავატაროთ უარული ამოცნობა. მოქალაქეები ხომ აღწერენ მკვლელს, — თქვა მელითაური.

— ცოტაძის ფოტოსურათი უნდა ვიშოვოთ, მგონი, საქმე დაიძრას ადგილიდან, — დაუდასტურა ბექაურმა, — ასე აჯობებს ხომ? — უფროსი ისევ ვიქტორს მიუბრუნდა.

— მართალი ხართ. ფოტოსურათი დღეს ხელს შექნება.

— მამ აბა მოვეთხობიროთ აზნაგებს, დრო აღარ იცდის, — ბექაურმა მდივანი იხმო. კაბინეტში ოპერამუშაეები შემოვიდნენ. ბექაურ-

* იხ. „დროში“, № 11.

მედიკალიზაცია

მა ტელეფონის ყურმილი აიღო, ნომერი აკრივდა და როცა გაავიწყდა, იკითხა:

— როგორ არის საქმე?

— თხუთმეტ-ოც წუთში თქვენთან ვიქნები, ამხანაგო პოლკოვნიკო, — მოისმა ყურმილიდან ხმა.

— სამეცნიერო-ტექნიკური განყოფილების დასკვნას ველოდები, — მოუბრუნდა იქ მყოფებს ბექაური, — წუხელ სხეულში ჩარჩენილი ტყვია ამოიღეს...

დაახლოებით თხუთმეტი წუთის შემდეგ კარი ტანმორჩილმა კაცმა შემოაღო და ბექაურს წერილობითი დასკვნა გადასცა, თან დასძინა:

— როგორც უკვე იცით, მოკლულს თავის არეში აქვს მოხვედრილი ერთი ტყვია... იმის გამო, რომ მკვლელმა ახლო მანძილიდან ესროლა, ტყვია ჩარჩა თავში. დადგინდა, რომ ტყვია გასროლილია ნაგანის სისტემის რევოლვერიდან. ცოტა მოშორებით რომ ყოფილიყო მოკლული, ტყვია თავს გაუხვრეტდა. სამკებრო განყოფილების კოლექციაში აღმოჩნდა მეორე ტყვია, რომელიც იმავე რევოლვერიდან არის ნასროლი. რევოლვერი კი კარგა ხნის წინ წაართვეს ღამის დარაჯს და მძიმედ დაჭრეს.

— ეს უკვე ცოტას არ ნიშნავს, — ჩილაბარაკა ვიქტორმა.

ბექაურმა ყველას გადახედა და თქვა:

— მაშ ასე... ჩვენი მუშაობის ყველა არხი ამოქმედებულია. ახლა მთავარია დრო მოვიგოთ, ცხელ კვალზე მივყვეთ. მოგეხსენებათ, გაცივებული რკინა ცუდად იჭედება, აბა, ახლა ყველამ მიხედეთ საქმეს!

ოთახი სწრაფად დაიცალა.

იმ დამეს მილიციის მუშაკები უფრო უარეს საგონებელში ჩააცივდნენ: არდონის ქუჩაზე, საკუთარ სახლში გაძარცვეს და მოპკლეს დედაშვილი ლუბა და თებრო ლეკაბიძეები. მძარცველებმა სახლიდან გაიტაცეს ყველაფერი, რაც მოახელეს. წაღებული იყო ტანსაცმელი, ქალის ძვირფასი სამკაულები; დათვლიერებისას ოთახში იპოვეს „ტეტეს“ სისტემის რევოლვერიდან გასროლილი ორი ჭურვი, კარადის კარზე აღმოჩნდა თითების ანაბეჭდები. მილიციის მუშაკებს მთელ დამეს მუხლი არ ჩაუხვრიათ, ვიქტორს აშკარად ეტყობოდა ნერვიულობა. სად არ იარა, ვინ არ ნახა, მაგრამ არსებითი რამ ვერაფერი გაიგო.

არდონის ქუჩაზე მომხდარ მკვლელობის მერე, დილით, ვიქტორი ავტოვაგზალში აღმოჩნდა. მას ოსიაშვილზე ფიქრი არ ასვენებდა, სად არ ეძებდა, დიდხანს უტრიალა ჩხეიძის ქუჩას, მერე სადგურზე გავიდა, ბოლოს აქეთ გამოსწია. დაღლილი იყო, თვალები ებლანდებოდა. მგზავრთა ხმაურმა გამოაფხიზლა; ხალხი ირეოდა, ყველა ჩქარობდა, ერთი წყება ავტობუსებისა მიდიოდა, ამდენივე ბრუნდებოდა. ვიქტორი ყველა მანქანას მძებნელის ფხიზელი თვალით შესცქეროდა. და თითქოს ბედზე, ერთი კაცი, ლაგოდესში მიმავალ ავტობუსს უკან ხეს რომ მიყრდნობოდა, შორიდან ოსიაშვილს მიაშვავსა. უცნობი ზურგშექცევი იდგა, შუბლზე ქუდი ჩამოეფხატა, მგზავრებს თვალს არიდებდა. ვიქტორი შორიასლო ზეერავდა მას, უნდოდა სახე დაენახა, მაგრამ ვერ მოა-

ხერხა. ბოლოს მინც იცნო — ეს ნამდვილად ოსიაშვილი იყო, ცოტაძის ახლობელი და, ალბათ მეგობარიც.

მძებნელმა აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. ამ კაცის უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლებოდა, მისი ასე უცნაური ქცევა რაღაც საიდუმლოს ჰფარავდა. „არა, ამას ხელიდან ვერ გავუშვებ“, — გადაწყვიტა, სასწრაფოდ ავტოვაგზლის კანტორაში შევიდა, ტელეფონით მელითაური გამოიძახა. როცა მანქანა მოგრიადლა, ვიქტორი სწრაფად მიიჭრა, კარი გამოაღო და მანქანაში ჩაჯდა.

— რა მოხდა, ვიქტორ? — ჰკითხა მელითაურმა.

— არსენ ოსიაშვილი დგას ავტობუსთან, ეტყობა სადღაც მიმგზავრება, უნდა მივყვეთ.

— კარგი! — დაეთანხმა მელითაური.

— ავტობუსს ავედევნებთ. პავლე უნდა აიყვანოს. ჩვენ შეიძლება გვიცნოს, ან ეჭვი აიღოს. შოფერი პავლე სხირტლაძე უსიტყვოდ გადმოვიდა მანქანიდან.

— პავლე, თვალი არ მოაშორო, ოღონდ ისე, რომ არ შეგნიშნოს.

— სად მიდის?

— არ ვიცი, რომელ ავტობუსშიც შევა, შენც იქ შეხვალ. ბილეთს მე მოგიტან. თუ ვინცობაა, სადმე ჩამოვიდა, შენ მაშინვე არ ჩამოხვიდე. ცოტას გაივლით, გააჩერებინებ და მერე ჩამოხვალ. ავტობუსთან უკან, მოშორებით ჩვენი მანქანა იქნება, გაიგე?

— გავიგე, უფროსო, სწორედ მასე მოგიქცევი. შოფერმა ოსიაშვილი „ჩაიბარა“, რადიომ ყვარლის მიმართულებით მიმავალი ავტობუსის გასვლა აუწყა მგზავრებს:

ოსიაშვილი სწრაფად მოტრიალდა და იმ ავტობუსზე ავიდა, რომელიც ყვარელში უნდა წასულიყო. უკან, კუთხეში დაჯდა. ვიქტორმა სხირტლაძეს რაღაც ანიშნა, ის უმაღლეს ავტობუსში ავიდა და შოფრის უკან, მისთვის განკუთვნილი ადგილი დაიჭირა, ავტობუსი ნელა დაიძრა. ვიქტორი ისევ სადგურის უფროსის კაბინეტში დაბრუნდა, კალამი მოიშარჯა და ქაღალდზე დაწერა:

„ამხანაგო სანდრო, მივიღვართ ყვარლისაკენ. ჩემთან არიან ობერპრემუნებული მელითაური და შოფერი პავლე სხირტლაძე. ვიქტორი“.

ქაღალდი ოთხად გაკეცა, კონვერტში ჩალო, დააწება და სადგურის უფროსს სთხოვა სასწრაფოდ გადაეცა მილიციის უფროსისათვის. მერე სირბილით მივიდა მანქანასთან.

ყვარლისაკენ მიმავალ ავტობუსს მილიციის მუშაკები ავტობუსის მიდამოებში დაეწვივნენ.

მილიციის მსუბუქ მანქანას მელითაური მართავდა. შორიასლო მისდევდნენ ავტობუსს. გზაზე დიდი მოძრაობა იყო და ამან ხელსაყრელი პირობები შექმნა, ოსიაშვილი არ შეშფოთებულყო, დამშვიდებულად ეგრძნო თავი, დარწმუნებულიყო, რომ არავინ მიაიცილებდა. ავტობუსმა ალაზანი რომ გადალახა, შოფერმა წყენით გადაიქნია თავი, მანქანა გააჩერა და მგზავრებს უთხრა: მოტორში რაღაც მოიშალა, ახლავე გავარკვევო. მგზავრები ჩამოვიდნენ. ვინ რას ამბობდა და ვინ რას. ოსიაშვილი ყველაზე ბოლოს ადგა, ჩემოდანი შოფრის კაბინაში ჩალო, შოფერს რაღაც დაუბარა. მანქანიდან ჩამოვიდა და ნელი ნაბიჯით ბუჩქებში შევიდა.

სწორედ იმ წუთებში პავლემ დრო იხელო და ოსიაშვილს ჩემოდანი შეუცვალა.

მელითაური წუთით შეჩერდა ავტობუსთან. შოფერს მანქანის გაჩერების მიზეზი ჰკითხა, მერე სხირტლაძეს შეხედა, და როცა მან თვალით რაღაც ანიშნა, თავის მანქანაში დაბრუნდა და იმავე წამს მანქანა დაიძრა ყვარლისაკენ.

ავტობუსის მგზავრებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს.

არსენ ოსიაშვილი ჩემოდანით ძველ ადგილზე დაჯდა. ავტობუსი ყვარელში ჩავიდა და ავტოსადგურის მოედანზე გაჩერდა, ავტობუსი უმაღლესი დაიცალა, ოსიაშვილმა ჩემოდანს ხელი დასტაცა, სასაილოში შევიდა და კუთხეში, მაგიდასთან დაჯდა.

სხირტლაძე ავტოსადგურის წინ იდგა და ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს ვიღაცას ელოდებო.

— ოსიაშვილი ცნობილი ბოროტმოქმედი, მეტსახელად „გადაბმულს“ ეძახიან. ჯერ იყო, აქ ავგიკლო, ახლა თბილისში უნდა ცხოვრობდეს ნათესავთან, ალბათ ჩაუწერავდა, — განუბარტა თბილისიდან ჩასულ მუშაკებს ყვარლის მილიციის უფროსმა.

— არა, თბილისში ჩაწერილია. უმუშავნია კიდეც.

— უბნის რწმუნებულს „გადაბმულს“ მშობლებთან სტუმრად ვიღაც უცხო კაცი დაუნახავს ეს იყო ორი დღის წინ. რაკი დღეს „გადაბმულიც“ ჩამობრძანებულა, მაშ, ეტყობა, რაღაცას აპირებენ.

ვიქტორმა და მელითაურმა ერთმანეთს გადახედეს.

— შეიძლება მასეც იყოს, მაგრამ მე მგონია, ამჟამად თბილისს თავი მოარიდეს. ეჭვი გვაქვს, რომ მათ მძიმე დანაშაული ჩაიდინეს. ორ დღეში სამი ადამიანი მოკლული, ბინა გაძარცვეს; მართალია, ეს მხოლოდ ვარაუდია, — თქვა ვიქტორმა.

— ავტობუსს ჩვენი კაცი გამოვყოფეთ, — დაიწყო ახლა მელითაურმა, — მას, თუ მოახერხებდა, ჩემოდანი უნდა შეეცვალა ოსიაშვილისათვის.

— მერე, მოახერხა?

— იცი, რა მარჯვე ბიჭია! ის რას არ შეიძლებს! გზაში მოასწრო და თვალით მანიშნა ყველაფერი რიგზეაო...

— ვინ არის ეგ კაცი, არ იტყვი?

— ჩვენი შოფერია, სხირტლაძე.

— სად არის ახლა?

— საცაა გაჩნდებო. ეს ჩემოდანი ბევრ რამეს გვეტყვის... საცაა პავლემ გამოჩნდება და ვნახოთ.

ყვარლის მილიციის უფროსიც, ვიქტორიც და მელითაურიც მოუთმენლად ელოდნენ სხირტლაძის გამოჩენას. პირველად მას ვიქტორმა მოჰკრა თვალი, პავლე ეზოზე მოდიოდა, ხელთ ჩემოდანი ეჭირა; გულუბრყვილო გამომეტყველება ჰქონდა და ისე არხეინად და დინჯად მოდიოდა, თითქოს არსად არ ეჩქარებო.

— გადმოადგი, ბიჭო, ფეხი! რა ზოზონით მოდიხარ! — ველარ მოითმინა და ფანჯრიდან გასძახა მელითაურმა.

პავლემ ფეხი ააჩქარა, შემოვიდა და ჩემოდანი მაგიდაზე დადგა.

ყველანი ერთბაშად მისცივიდნენ, გახსნეს, და სახურავი რომ ახადეს, გოცებულებმა გადახედეს ერთმეორეს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

მეფანიკა



გაუმარჯოს ცხენს!

პარიზში, ამასწინათ, საავტომობილო და საავიაციო სალონების მსგავსად, პირველად ამუშავდა ცხენების სალონი. მაყურებელი ტკბობდა დოლით, კაზაკურ ცხენზე ვარჯიშით, მრავალნაირი შეჯიბრებით და ა. შ. სალონის შესამე დღეს სამასმა მხედარმა ბულონის და ვენსენის ტყეების გავლით ჩაუარეს ქალაქის თვითმმართველობის შენობას, სადაც გამართული იყო მიტინგი ავტორტრანსპორტის გამოყენების წინააღმდეგ და გაკრული იყო ასეთი მოწოდებანი: „მანქანა ჰკლავს, მანქანა სწამლავს ადამიანს! გაუმარჯოს ცხენს!“



ალაჰის კანონით

პაკისტანის ჩრდილო-დასავლეთის სახანჯლო პროვინციის მთავარი მინისტრის მალუიან მუფტი მამმუდის აზრით, სპირტიანი სასმელების ზომავზე მეტად სმისთვის არსებული დასჯის ზომა (ექვსი თვით პატიმრობა) არახაყოფიერად მკაცრია და ვერ აშინებს ბახუსის თაყვანისმცემლებს.

მინისტრმა წინადადება წამოაყენა, რომ ყოველ მუსულმანს, რომელიც სპირტიან სასმელს დაღვევს, ოთხმოცი როზგი დაჰკრან, როგორც ამას ალაჰის რჩული მოითხოვს. მამმუდის ამ წინადადებას ახლა გაცხოველებით იხილავენ პაკისტანელი ლოთებიც და არამსმელებიც.



მოსამართლემ განაცხადა, რომ ბრალდებული, ჯარიმის გადახდის შემდეგ, ხდება ქალის სრულუფლებიანი ბატონ-პატრონი, ვინაიდან ყოფილი ქმრისაგან ქალი „კანონიერი გზით“ შეისყიდა.



მეცვში

მეცვში (საფრანგეთი) ფეხბურთის ერთ-ერთი მატჩის დროს დიდი მუშტი-კრივი გაიმართა. ადგილობრივი გუნდის ცენტრალური თავდამსხმელი, რომელიც მეტოქეებმა უმოწყალოდ დააღლიავენ, მინდვროდან გონებადაკარგული გაიყვანეს საკაცით. რამდენიმე წუთის შემდეგ, თითქოსდა არაფერი მომხდარაო, დაზარალებული ცენტრალური თავდამსხმელი ისევ მინდვრზე გამოვიდა და მეტოქეებს გამეტებით დაუწყო ჩეხვა. თამაში შეწყვიტეს. როგორც გამოირკვა, შურისმაძიებელი ცენტრალური თავდამსხმელი კი არ იყო, არამედ მისი ტყუპის ცალი ძმა.

უფლავის შესყიდვა

ირლანდიის კანონით, ქმარი ცოლის „კანონიერ მეპატრონედ“ ითვლება. ამ კანონის საფუძველზე, დუბლინის სასამართლომ ერთ დონუელანს დააკისრა, დიდი თანხა გადაეხადა იმ ქმრის სასარგებლოდ, რომლის ცოლი მან მოიტაცა.



ავტორი სპამს თავის წარიღს

მონრეალში საბჭოთა და კანადელი ჰოკეისტების შეხვედრების წინ ტორონტოელი სპორტული მიმობილველი დიკ ბედოუზი წერდა: „რუსები ჩქარები არიან, მაგრამ ისინი ციგურტებზე დაჰკრიან ისე, როგორც გაშვებული ფუტკრების გროვა. მათი გადაცემა ზუსტია, მაგრამ ისინი იგვიანებენ ისე, როგორც მატარებლები ციბირის რკინიგზებზე. ვინც უნდა მოისურვოს, ვერ დაასაბუთებს, რომ სტარშინოვი უკეთესია ფრენე მახოვლიჩზე, ანდა ვიკა პადვილზე. ჩვენი დამცველი ბრედ პარკი სულ ადვილად გაუმკლავდება იური ბლინოვს. დანისომეთი კანადა გაიმარჯვებს ყველა რვა თამაშში. თუ რუსები მოიგებენ თუნდაც ერთ თამაშს, მე მზად ვარ დღისით, მზისით ნაკუწებად ვაქციო ჩემი ეს წერილი და საქვეყნოდ შევქაშო, მხოლოდ ბორხთან ერთად. მინაწერი რედაქტორისათვის: ყოველ შემთხვევაში, არაუანის წამოღება არ დაგავიწყდეთ.“ როგორც ცნობილია, არაუანი საკირო გახდა. ბედოუზი, კანადელების პირველი წაგების შემდეგ, იძულებული იყო შეეჭამა ბორხი, რომელშიც ჩაურჩილი იყო პატარა ნაფლეთებად დახეული მისი წერილის ამონაჭერი გაზეთიდან. წერილი კი პატარა როდი იყო — 120 სტრიქონს შეიცავდა.

სივართლე და... ზარალი

ინგლისის საკურორტო ქალაქის კლიტოპის მუნიციპალიტეტმა გადაწყვიტა, სამუშაოდან დაითხოვოს ადგილობრივი მეტეოროლოგიური სადგურის უფროსი რეია კემრი, რომელიც მეტად პესიმიზტურ, თუმცა, სამწუხაროდ, ყოველთვის სწორ პროგნოზებს იძლევა. საქმე ისაა, რომ ამ პროგნოზებს დიდი ზარალი მოაქვთ იქაური ბიზნესმენებისათვის.

„გაუთავებელი ნისლი და მოხალღენელი წვიმა, — აი რა აფრთხობს ტურისტებს ჩვენი ქალაქიდან. მოგების მიზნით კი მათი მოზიდვა საკირო“, — განაცხადეს ქალაქის მესვეურებმა.

ადმინისტრაციამ სასწრაფო ზომები მიიღო ახალი, სასურველი მეტეოროლოგის მოსაძებნად.

„ვეძებთ წესიერ ადამიანს, რომელიც პატიოსნად გამოაცხადებს ჩვენს ქალაქში მოხალღენელი კარგი ამინდის შესახებ“, — იუწყება მეტეოროლოგიური სადგურის კედელზე გაკრული განცხადება.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: სადღესასწაულო პლაკატი, მხატვარ თენგიზ სამსონაძისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურშიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. სააკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

საქკვც-ის გამომცემლობა

ტიქრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის ბრ. № 42, III სართ. ტელ. — რედაქტორის — 99-54-66, პ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებების — 93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/XI-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/XI-72 წ. ქაღ. ზომა 70x108, ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 3. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 2,7. საადრიცხო-საგამომცემლო თაბახი 3,4 ტირაჟი 51.100. შეკვ. № 3656. უფ. 02054.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კვ. ც-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина. 14



რიწა-ავადხარის გზაზე.

ფოტო, ზ. დათუაშვილისა.

